

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე

II

თბილისი  
2019

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შრომების კრებულია. მასში ასახულია, აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხები.

**რედაქტორი: პროფესორი ემზარ მაკარაძე**

**ტომის რედაქტორი: ასოც.პროფესორი ლილე თანდილავა**

**სარედაქციო საბჭო:** პროფესორი გოჩა ჯაფარიძე (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველო), პროფესორი გიორგი სანიკიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველო), პროფესორი მარინე აროშიძე, ასოცირებული პროფესორი ლილე თანდილავა, ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე, ასოცირებული პროფესორი მანუჩარ ლორია, ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარტენაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი იულია გორჯელაძე, დოქტორანტი ბექა მაკარაძე, დოქტორანტი ნონა ნიქაბაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), აკადემიკოსი შაჰინ მუსტაფაევი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი), ასოცირებული პროფესორი ჰარუნ ჩიმქე (რ.თ.ერ-დოღანის უნივერსიტეტი, თურქეთი).

**რეცენზენტები: პროფ. ნუგზარ მგელაძე; ასოც. პროფ. გიორგი ჭიდვარია; ჯემალ კარალიძე.**

**კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს.**

© აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
მისამართი: საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35.  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი №46.  
E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge  
გამომცემლობა „დანია“ 2018  
ქ. თბილისი ა. წერეთლის 112  
ტელ: 599 789 003

ISSN 2587-490X  
ISBN 978-9941-0-4439-7

**BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY**

**Faculty of Humanities**

**Department of Oriental Studies**

**HERALD OF ORIENTAL STUDIES**

**II**

**Tbilisi  
2019**

**3**

Herald of Oriental Studies is the collection of papers of the department of Oriental Studies at the faculty of Humanities at Batumi Shota ProfessRustaveli State University. The papers are about the noteworthy issues of history, politics, archaeology, ethnology, introduction to linguistics and literary studies of the Eastern countries.

**EDITOR: Professor Emzar Makaradze**

**VOLUME EDITOR: Associate Professor Lile Tandilava**

**EDITORIAL BOARD:** Professor Gocha Japaridze (Institute of Oriental Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia), Professor Giorgi Sanikidze (Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University, Georgia), Professor Marine Aroshidze, Associate Professor Lile Tandilava, Associate Professor Zaza Shashikadze, Associate Professor Manuchar Loria, Associate Professor Natela Partenadze, Academic Doctor of Philology Iulia Gorjeladze, Ph.D. Beka Makaradze, Ph.D. Nona Nikabadze (Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Academic Shahin Mustafaevi (Azerbaijan National Academy of Sciences, Azerbaijan), Associate Professor Harun Chimke Recep Tayyip Erdogan University, Turkey).

**REVIEWERS:** Professor Nugzar Mgeladze, Associate Professor Giorgi Chighvaria, Associate Professor Jemal Karalidze.

© Department of Oriental Studies

Address:

Rustaveli/Ninoshvili Str. 32/35, Batumi, Georgia, 6010, Batumi Shota Rustaveli State University, Department of Oriental Studies, Room 46

E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge

Publishing House „Dani” 2018

Tbilisi, A. Tsereteli Str. 112

Tel.: 599 789 003

**ISSN 2587-490X**

**ISBN 978-9941-0-4439-7**

ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

**ჯემალ ბერიძე**

პირველი თურქული პარტიები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში-----9

**Jemal Beridze**

The First Turkish Parties in the late 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> Centuries

**ემზარ მაკარაძე**

კულტურათათმცოდნეობის დიალოგისა და ეროვნული იდენტობის საკითხები თანამედროვე თურქეთში-----23

**Emzar Makaradze**

Issues of intercultural dialogue and national identity in modern Turkey

**მაია კაპანაძე**

თურქეთისა და ირანის თანამედროვე ურთიერთობები-----31

**Maia Kapanadze**

Modern relations of Turkey and Iran

**სიმონ გურეშიძე**

ევგვიპტისა და სირიის „არაბული გაზაფხული“ შედეგებითი ანალიზის კრილში -----47

**Simon Gureshidze**

Arab Spring“ in Syria and Egypt - Comparative Analysis

**ოთარ გოგლიშვილი, ემზარ მაკარაძე**

უცნობი საარქივო მასალები, უცხოელების მიერ შეფასებული XIX-XX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ-----63

**Otar Goglishvili, Emzar makaradze**

Unknown Archive Materials about XIX-XX Century Southern–Western Georgia Evaluated by Foreigners

**ზაზა ბერიძე**

მთიანი ყარაბაღის პრობლემა, როგორც თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორი -----83

**Zaza beridze**

The Problem of Nagorno-Karabakh, as the Factor of Defining Turkey-Azerbaijan Relations

**ბეკა მაკარაძე**

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევები -----94

**Beka Makaradze**

The Modern Challenges of the Turkish-Georgian Relations

**მაია მანჭხაშვილი**

ირანი და სამხრეთ კავკასია-----103

**Maia Manchkhashvili**

Iran and South Caucasus

**მადონა გოგიტიძე**

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების გავლენა და როლი ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში-----113

**Madona Gogitidze**

Impact and role of national/ethnic minorities in the Middle East and Georgia

**არქეოლოგია, ეთნოლოგია  
ARCHEOLOGY, ETHNOLOGY**

**მანუჩარ ლორია, თამილა ლომთათიძე, როინ მალაკმაძე**  
თურქეთის ქართველთა ეთნოვიზუალური ატლასის შექმნის პერსპექტივები-----124

**Manuchar Loria, Tamila Lomtadze, Roin Malakmadze**

Prospects for creating an ethno-visual atlas of Turkish Georgians

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

**ლილე თანდილავა**

ლაზური ლექსიკა აჭარული კილოს სალექსიკონო  
მასალებში-----149

**Lile Tandilava**

Laz vocabulary in Ajarian dialect dictionary resources

**ვარდო ჩოხარაძე**

ფონეტიკური ცვლილებანი თურქულიდან ნასესხებ  
ლექსიკაში -----156

**Vardo Chokharadze**

Phonetic changes in the borrowings from the Turkish language

**ნონა ნიკაბაძე**

მისტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა სუფიზში და რუმის  
შემოქმედებაში ღვინის სიმბოლიკა-----166

**Nona Nikabadze**

Mystic-Philosophical Direction Sufism and Wine Symbology in Rumi's  
Works

**ნორა კახიძე**

ლაზური ჩანაწერები-----178

**ზეინაბ ახვლედიანი**

სპეციალიზირებული ლექსიკონები და ქართულ-თურქული  
ლექსიკოგრაფია -----183

**Zeinab Akhvlediani**

Specialized dictionaries and Georgian-Turkish lexicography

**Анна Тенишвили**

«Английский язык для специальных целей как основа  
профессиональной коммуникации специалистов соответс твенных  
отраслей» -----193

## რეცენზია REVIEW

---

---

### გიორგი სანიკიძე

რეცენზია - ემზარ მაკარაძის ნაშრომზე: თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები). გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019. -----214

### ჯემალ კარალიძე

რეცენზია - ემზარ მაკარაძის, ოთარ გოგოლიშვილის და დავით ანდლულაძის ნაშრომზე - „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“. გამომცემლობა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2019. -----217

## იუბილე JUBILEE

---

---

ნოდარ ბარამიძე - 90 -----221

ნორა კახიძე - 70 -----226

ციალა ლაგვილავა - 65 -----229



## The First Turkish Parties in the late 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> Centuries

**Jemal Beridze**

Doctor of History

### **Abstract**

Given article considers the formation and development of political parties in Turkey before it has acquired the status of republic. Article deals with the reasons of creation of the first political organisation in the Ottoman Empire and discusses their part in the state's future positive changes. It also discusses certain aspects of the establishment of “Youth Ottoman Turk Society”, which had played significant role in the forming of constitution.

The last part of the Article is concerned with the first parliamentary elections in 1877 and its first gathering. It mentions that the parliament was trying to act as a truly democratic representative body.

**Keywords:** Ottoman Empire; Turkey.

---

## პირველი თურქული პარტიები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში

ჯემალ ბერიძე

ისტორიის დოქტორი

### აბსტრაქტი

პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება ამა თუ იმ ქვეყანაში დაკავშირებულია საზოგადოების მოდერნიზაციასა და განვითარებასთან. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზეც, სადაც პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა ოსმალეთის სახელმწიფოში რეფორმატორული მოძრაობის დაწყების შემდეგ. პირველ ასეთ გაერთიანებად შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობა და ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა და პროგრესი“.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური პარტიები; ერთიანობისა და პროგრესის პარტია.

## მსჯელობა

პარტიების ჩამოყალიბება ამა თუ იმ ქვეყანაში დაკავშირებულია საზოგადოების მოდერნიზაციასა და განვითარებასთან. გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, იგივე შეიძლება ითქვას ოსმალეთზეც, სადაც პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები ჩნდებიან ოსმალეთის სახელმწიფოში ფართო რეფორმატორული მოძრაობის დაწყების შემდეგ. პირველ ასეთ გაერთიანებად შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობა, რომელსაც მოსდევს ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა და პროგრესი“ (ლებანიძე, 2004:3).

როდესაც ვსაუბრობთ ფართო რეფორმატულ მოძრაობაზე, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში დაწყებული ე.წ. „თანზიმათის“ რეფორმები. მართალია, ცვლილებები სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ სელიმ III-ის (1789-1807) მიერ იქნა დაწყებული, მაგრამ ყოვლისმომცველი და სისტემური ხასიათი რეფორმებმა მხოლოდ სულთან აბდულმეჯიდ I-ის (1839-1861) დროს მიიღო. ამის მთავარი ინიციატორი იყო დიდი ვეზირი მუსტაფა რეშიდ ფაშა, რომელიც კარგად გრძნობდა, რომ თუ არ მოხდებოდა სახელმწიფო მართვის სისტემაში ძირეული ცვლილებები და იმპერია მხარს არ აუბამდა ევროპაში დაწყებულ სამრეწველო და ტექნოლოგიურ გარდაქმნებს, იგი საბოლოოდ დაიშლებოდა.

სულთნის ბრძანებულება-რესკრიპტი, რომელიც გულჰანე ჰათი ჰუმაიუნის სახელით არის ცნობილი, ოთხ მთავარ სიახლეს აკანონებდა: 1. პიროვნების სიცოცხლის, ქონების, ღირსების კანონის ძალით დაცვა და გარანტირება; 2. კანონზე დაქვემდებარებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება; 3. საყოველთაო და სავალდებულო სამხედრო სამსახურის დაწყება; 4. ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომის, განურჩევლად

---

რასისა, ენისა და რელიგიისა კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა.

რეფორმების დაწყება, უპირველეს ყოვლისა, ევროპული სახელმწიფოების ზეწოლის და ჩარევის შედეგად განხორციელდა. საყურადღებოა, რომ გულჰანე ჰათის გამოცხადებამდე ერთი წლით ადრე, 1838 წელს გაფორმდა თურქული-ინგლისური სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ინგლისელ ვაჭრებს გარკვეულ შეღავათებს ანიჭებდა. აღნიშნული ბრძანებულება კი შეიძლება მივიჩნიოთ ამ სავაჭრო ხელშეკრულების გაგრძელებად, ანუ ევროპული ბურჟუაზია თურქეთში ლიბერალური კანონების, უფლებათა აღიარების და თანასწორობის პრინციპის დანერგვით ცდილობდა საკუთარი კაპიტალის, რესურსების და ბიზნესის დაცვასა და განვითარებას.

„თანზიმათი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო აღიარების საწყისად, ამ მოძრაობის მთავარ წარმატებად კი უნდა აღინიშნოს მიღწევები საკანონმდებლო სფეროში. ტრადიციული, შარიათის კანონმდებლობის პარალელურად გაჩნდა ევროპული სამართლის გათვალისწინებით შექმნილი საერო კანონები.

1856 წელს გამოქვეყნდა სულთნის კიდევ ერთი ბრძანებულება - ჰათი შერიფი, რომელიც ძირითადად იმეორებდა წინა ბრძანებულებების მთავარ დებულებებს. თუმცა, ეს რეფორმები რჩებოდა უბრალო დეკლარაციებად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი რეფორმათა გატარებისათვის საჭირო მყარი სოციალურ-ეკონომიკური ბაზა. ვაჭრობა, მრეწველობა და საბანკო საქმე უმეტესწილად არათურქების ხელში იყო. ინტელიგენციის შორისაც უმეტესობას არათურქული ფენა შეადგენდა. ინჟინერები, ექიმები, ადვოკატები, როგორც წესი, იყვნენ ბერძნები, სომხები ან ებრაელები.

ასეთ სიტუაციაში ახლად ფეხადგმული თურქული ბურჟუაზია უშუალო დამნაშავედ მიიჩნევდა სულთანს, რომელმაც თურქები უუფლებო მასად აქცია თავისსავე ქვეყანაში. პირველ ხანებში ამ უკმაყოფილების გამოხატველი გახდა წარმოშობით ფეოდალ-ბიუროკრატიული, იდეოლოგიით კი უკვე ბურჟუაზიული თურქული ინტელიგენცია, რომელსაც „თანზიმათის“ რეფორმების შედეგად შესაძლებლობა მიეცა განათლება ევროპის ქვეყნებში მიეღო და რომელიც შემდგომში გახდა პირველი თურქული პოლიტიკური ორგანიზაციის-ახალგაზრდა ოსმალთა დამაარსებელი და მისი იდეოლოგიის შემქმნელი.

ეს პოლიტიკური ორგანიზაცია არსებული რეჟიმის მიმართ საპროტესტო ტალღის სახით ჩამოყალიბებას იწყებს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და თავის თავში ითავსებს რელიგიურ-ნაციონალურ მოთხოვნებს, ანუ გამოხატავს ერთდროულად როგორც პროგრესულ, ასევე რეგრესულ ფაქტორებს.

ახალგაზრდა ოსმალები კონსტიტუციური მონარქიის საშუალებით ცდილობდნენ გაეტარებინათ ისეთი ბურჟუაზიული რეფორმები, რომლებიც ხელს შეუშლიდა იმპერიის დაშლას. პარლამენტი, მათი აზრით, უნდა შემდგარიყო ორი პალატისაგან: დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. დეპუტატთა პალატაში გათვალისწინებული იყო წარმომადგენლების არჩევა იმპერიის ყველა კონფესიური დანაყოფისგან, მაგრამ დეპუტატთა პალატის საყრდენად ისინი მოიაზრებდნენ არა ხალხს, არამედ სენატს, რომელშიც უნდა შესულიყვნენ უფლისწულები, გამოჩენილი ულემები, სამხედრო მეთაურები. ასეთი იდეები ცხადყოფს, თუ რაოდენ შორს იყვნენ ახალგაზრდა ოსმალები კონსტიტუციისათვის

მასობრივი ბრძოლისაგან. თვით კონსტიტუციურ პროექტებს ისინი ამაგრებდნენ ყურანზე და შარიათზე დაყრდნობით.

ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ოსმალური ენის პროპაგანდა, მისწრაფება მისი გაწმენდისათვის უბრალო ხალხისათვის გაუგებარი სიტყვებისაგან. ახალგაზრდა ოსმალთა გამორჩენამდე სიტყვა თურქს ოსმალეთის გაბატონებული კლასისათვის უხემის, ხეპრეს დატვირთვა ჰქონდა. ახალგაზრდა ოსმალეები ქადაგებდნენ მამულის სიყვარულს, წამოაყენეს ოსმალური ერის შექმნის იდეა, რომელსაც, მათი აზრით, უნდა გაეერთიანებინა იმპერიის როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმები.

1876 წელს ახალგაზრდა ოსმალეებმა მოახერხეს პირველი თურქული კონსტიტუციის მიღება, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიმეორა დაახლოებით იგივე ბურჟუაზიული უფლებები, რომლებიც სულთნის 1839 და 1856 წლების ბრძანებულებებში იყო. კონსტიტუციის საფუძვლად მიღებულ იქნა დიდი ვეზირის - მიღვათ - ფაშას პროექტი, რომელმაც თავის ნაშრომში გამოიყენა დასავლეთევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, ძირითადად ბელგიისა და პრუსიის, თუმცა თავისი შემადგენლობის მიხედვით თურქული კონსტიტუცია უფრო ახლოს იდგა პრუსიულთან.

1876 წლის თურქული კონსტიტუცია უზრუნველყოფდა მთელი ძალაუფლების სულთნის ხელში შენარჩუნებას და იგი მონარქიული რეჟიმისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. პირველსავე მუხლებში სულთან-ხალიფას „წმინდად და ებლად“ აცხადებდა. ის იყო განსაკუთრებული ფართო უფლებებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი, შეეძლო: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (დიდი ვეზირი) და მინისტრების, პალატათა თავმჯდომარეების და მუდმივი სენატორების

დანიშნვა; პარლამენტის დათხოვა და ახალი არჩევნების დანიშნვა, სამხედრო მდგომარეობის, ასევე ომის გამოცხადება და ზავის დადება; სამხედრო და საზღვაო ძალების მზედართმთავრობა; სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციონირების კონტროლი; სასამართლო გადაწყვეტილების კონტროლი.

პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი იურიდიულ ძალას იღებდა მხოლოდ სულთანის დამტკიცების შემდეგ. ამავე დროს სულთანი სრულიად გათავისუფლებული იყო თავისი ქმედებების გამო რაიმე პასუხისმგებლობიდან (**ლებანიძე, 2004:7**).

პირველი საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტი შეიკრიბა 1877 წლის 19 მარტს. აღსანიშნავია, რომ პირველივე მოწვევის პერიოდში დეპუტატთა პალატა ცდილობდა მოქცეულიყო ჭეშმარიტად დემოკრატიული წარმომადგენლობითი ორგანოს მსგავსად. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატებს არ გააჩნდათ მინისტრების იმპიჩმენტის კომპეტენცია, მათ მოახერხეს კონსტიტუციის ჩარჩოების დარღვევით მთავრობისა და ადმინისტრაციის კონტროლის გარკვეულწილად უზრუნველყოფა. ყოველივე ამან სულთან აბდულ-ჰამიდის უკმაყოფილება გამოიწვია. მან დეპუტატთა აქტიურობის საპასუხოდ პარლამენტი 1877 წლის 28 ივლისს დაითხოვა. კონსტიტუციის შესაბამისად გაიმართა ახალი არჩევნები, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბებული ახალი პარლამენტი შეიკრიბა 1878 წლის იანვარში. თუმცა იგივე მიზეზით სულთანმა ისიც მალევე, 1878 წლის 14 თებერვალს, უვადო არდადეგებზე გაუშვა. ეს არ ყოფილა დაშლა ან დათხოვნა, როგორც ხშირად აღნიშნავენ. სულთანმა უბრალოდ გამოიყენა „არდადეგების“ უფლება, რის გამოც პარლამენტმაც შეწყვიტა მუშაობა და შესაბამისად კონსტი-

---

ტუციის მოქმედებაც შეჩერდა. ამით ოსმალეთში სახელმწიფო წყობა კვლავ შეუზღუდავ მონარქიას, ანუ აბსოლუტურ რეჟიმს დაუბრუნდა.

სულთანმა უმკაცრესი ღონისძიებები გაატარა პრესისა და ყოველნაირი ლიბერალური და ნაციონალური აზროვნების აღკვეთის მიზნით. გავრცელება დაიწყო ცენზურის უპრეცედენტო მექანიზმმა, გასაქანი მიეცა ოპოზიციური ინტელიგენციის დევნა-გასახლებას (**ლებანიძე, 2004:7**).

ასეთი ძალადობისდამკვიდრებამ კარგი წინაპირობა შექმნა ორგანიზებული ოპოზიციური ფრთის შესაქმნელად, რასაც მალევე შედეგად მოჰყვა იმპერიაში ახალგაზრდა ოსმალთა გაერთიანების, ამ შემთხვევაში კი უკვე პარტიის ჩამოყალიბება. ეს გახლავთ 1889 წელს იატაკქვეშეთში შექმნილი ერთიანობის ოსმალური გაერთიანება, რომლის სახელწოდება მოგვიანებით შეცვლილ იქნა ერთიანობისა და პროგრესის გაერთიანების სახელით (Ittihadî ve Terrakî Cemiyeti). იმის გამო, რომ გაერთიანება თურქეთში აკრძალული იყო, მისი ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა საზღვარგარეთ. ასე მაგალითად, საფრანგეთში გაქცეული თურქული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ცნობილი და მდიდარი ოსმალური ოჯახებიდან გამოსული აჰმედ რიზას მეთაურობით, ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია, გამოსცემდნენ თურქულ და ფრანგულ ენებზე გაზეთ „მეშვერეთს“, რომელშიც მწვავედ აკრიტიკებდნენ სულთან აბდულ-ჰამიდის რეჟიმს (**სვანიძე, 2007:336**).

ოპოზიციურ გაერთიანებაში თავიდანვე არ იყო ერთიანი მსოფლმხედველობა. გამოიკვეთა ცენტრისტული და ლიბერალური მიმდინარეობები. ლიბერალური ფრთის ლიდერი გახდა სულთან აბდულ-ჰამიდის ახლო ნათესავი პრინცი საბაჰათინი (1878-1948), რომელიც თურქეთში პირველ



---

სისტემურ ლიბერალად შეიძლება მოვიხსენიოთ. მეორე ფრთას კი წარმოადგენდა აჰმედ რიზა.

1902 წელს, პარიზში, პრინციმა საბაჰითმა დააარსა ოსმალთა ლიბერალთა გაერთიანება, შემდეგ კი, 1906 წელს - კერძო ინიციატივითა და დეცენტრალიზაციის გაერთიანება. უფრო მძლავრი გაერთიანება შეიქმნა აჰმედ რიზას ხელმძღვანელობით, რომლის გარშემოც შემოიკრიბა ახალგაზრდა თურქთა მთელი ნაციონალური ელიტა. მოგვიანებით ერთიანობისა და პროგრესის დამფუძნებელთა შორის ვხედავთ თალაათ ფაშას და 1906 წელს სალონიკში დაფუძნებულ ოსმალური თავისუფლების გაერთიანებას. სწორედ ეს ჯგუფი გახდა შემდეგში ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის სახელით ცნობილი მოვლენების ინიციატორი...

ერთიანობის და პროგრესის ორგანიზაციამ კონსტიტუციის ხელახლა ამოქმედებისათვის და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად კარგად გამოიყენა ოსმალეთის სამეფო კარის უსუსურობა ევროპული ქვეყნების ზეწოლის განეიტრალებაში. 1908 წლისათვის ოსმალეთი რეალურად დადგა მთელი ბალკანეთის დაკარგვის საშიშროების წინაშე. ასეთ სიტუაციაში ერთიანობისა და პროგრესის ორგანიზაციამ, რომლის მთავარი შტაბი სალონიკში იყო განთავსებული, გადაწყვიტა ამბოხის გზით იძულებული გაეხადა სულთანი უარი ეთქვა აბსოლუტურ მონარქიაზე. სულთანი მიხვდა, რომ ამბოხის ჩახშობა წარუმატებლად დასრულდებოდა და 1908 წლის 23 ივლისს აღადგინა კონსტიტუცია, რაც ცნობილია თავისუფლების დეკლარაციის სახელით.

კონსტიტუციის ამოქმედებიდან პირველსავე არჩევნებში, 1908 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მათ მოახერხეს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, მაშინ როდესაც პრინცი საბაჰათინის მიერ დაფუძნებულმა ოპოზიციურმა ოსმალეთის

---

ლიბერალურმა პარტიამ მხოლოდ ერთი დეპუტატის გაყვანა შეძლო (ლეზანიძე, 2004:13).

1909 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა პროგრესულ-ლიბერალური პარტია; ერთიანობისა და პროგრესის ყოფილმა მოწინააღმდეგეებმა პარიზში დაარსეს ოსმალეთის საკონსტიტუციო რეფორმათა პარტია. ერთიანობისა და პროგრესის ყოფილმა წევრებმა 1910 წელს სახალხო პარტია, ხოლო 1911 წელს კი ახალი პარტია ჩამოაყალიბეს (ლეზანიძე, 2004:15).

ოპოზიციური პარტიები კიდევ უფრო გამლიერდნენ 1910 წლის 9 ივლისს ოპოზიციური ჟურნალისტის - აჰმედ სამიმის მკვლელობის შემდეგ. ერთიანობა და პროგრესი მიხვდა, რომ ოპოზიციის მომძლავრებას ვერ შეაჩერებდა და გადაწყვიტა მას გარიგებოდა, დათმობაზე წასულიყო. ასეც მოხდა, მიღებულ იქნა ახალი პროგრამა, რომელიც ოპოზიციის გარკვეულ მოთხოვნებსაც ითვალისწინებდა. მაგრამ ოპოზიციის გაფართოება კვლავ გრძელდებოდა. 1911 წლის 21 ნოემბერს მთავარმა ოპოზიციურმა პარტიებმა (სახალხო პარტია, პროგრესულ-ლიბერალური პარტია და ოსმალეთის დემოკრატიული პარტია) გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და ისე შეიქმნა პირველი მძლავრი ოპოზიციური პარტია - თავისუფლებისა და ერთობის პარტია. ეს პარტია, გარდა იმისა, რომ პოლიტიკურ კოალიციას წარმოადგენდა, გამოხატავდა აგრეთვე ოსმალეთში არსებული არათურქული ეთნიკური წარმონაქმნების (არაბები, ბერძნები, სომხები და სხვები) ერთიანი ოსმალური პლატფორმით შემაკავშირებელ ერთობას.

თავისუფლებისა და ერთობის პარტიამ დაარსებიდან სამი კვირის თავზე, 1911 წლის 11 დეკემბერს სტამბოლში გამართულ შუალედურ არჩევნებში წარმატებას მიაღწია და დეპუტატთა პალატაში 100 წევრის გაყვანა მოახერხა, რასაც

---

ერთობისა და პროგრესის მხრიდან რეაქციის აღზევება მოჰყვა. პარლამენტის დროებითი დათხოვნის, ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრების, ნაწილის კი სიკვდილით დასჯის შედეგად საბოლოოდ, 1913 წლიდან ხელისუფლებას მთლიანად ერთიანობისა და პროგრესის სამეული - ენვერი, თალათი და ჯემალი დაეპატრონა. პოლიტიკურ არენაზე უკონკურენტოდ დარჩენილი ერთიანობა და პროგრესი აღნიშნული ტრიუმვირატის ხელმძღვანელობით ქვეყანას პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე ერთპარტიული რეჟიმში მართავდა.

1914 წელს ტრიუმვირატმა გერმანიასთან საიდუმლო გარიგებას მოაწერა ხელი, შედეგად თურქეთი გერმანიის სასარგებლოდ აღმოჩნდა ომში ჩაბმული. 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა რუსეთს, მაგრამ ოსმალეთი მაშინვე არ ჩაება ომში, მან ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ოსმალეთს სურდა დრო მოეგო და დაემთავრებინა არმიის მობილიზაცია. ასევე მას სურდა მიეღო გერმანიისაგან ფინანსური დახმარება და თანხმობა კაპიტულაციების გაუქმებაზე (სვანაძე, 2004: 353).

მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად წინა პლანზე წამოიწია ერთიანობისა და პროგრესის ახალი იდეოლოგია - თურქიზმი. ოსმანიზმისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებდა იმპერიის მრავალეროვნულობას, თურქიზმი მიმართული იყო იმპერიის ყველა ხალხის სრული თურქიზაციისაკენ.

საბოლოოდ ეს გერმანულ-თურქული მოკავშირეობა და ერთიანობა და პროგრესის არსებობა სრული კრაჩით დასრულდა. ოსმალეთი ომში დამარცხებული გამოვიდა და იძულებული შეიქნა 1918 წლის 30 ოქტომბერს მოკავშირეებთან ხელი მოეწერა მუდროსის ხელშეკრულებაზე, რომლის შედეგად,

---

გარდა იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია ფაქტობრივად დამოუკიდებელ არსებობას წყვეტდა, ერთიანობისა და პროგრესის სახით თურქეთის ისტორიაში პირველი პოლიტიკური პარტიაც ასრულებდა თავის მოღვაწეობას.

რესპუბლიკამდელ თურქეთში პოლიტიკური პარტიების ისტორია ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ პერიოდად უნდა იყოს. პირველი, ეს არის 1876 წლის საკონსტიტუციო წყობის დამყარება და მეორე - 1908 წელს ხალგაზრდა თურქთა მოძრაობის მიერ რევოლუციური გზით აღდგენილი საპარლამენტო მმართველობა.

საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის რეალური ნიშნები სწორედ ამ მეორე პერიოდში შეინიშნება. თუ 1876 წლის სისტემა პარლამენტს ფორმალურ ფუნქციას აკისრებდა და არანაირად არ ზღუდავდა მონარქის უფლებამოსილებას, 1908 წლის ცვლილებების შემდეგ განსაზღვრულ იქნა პარლამენტის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები, რომელსაც კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, დაევალა მთავრობისა და მინისტრების გაკონტროლება. მთავარი სიახლე კი ის იყო, რომ ახალი წყობა უფლებას იძლეოდა თავისუფლად ჩამოყალიბებულიყო სხვადასხვა გაერთიანება და პოლიტიკური პარტია. შედეგად, მცირე დროით მაინც რეალურად მოხერხდა მრავალპარტიული სისტემის შემოღება.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, განსხვავებით ევროპის ქვეყნების და აშშ-სგან, მთავარი დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ როგორც ახალგაზრდა ოსმალები, ასევე ერთიანობისა და პროგრესის ორგანიზაციები არ გამოხატავდნენ ფართო საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ამას გარდა, ისინი არ ეყრდნობოდნენ არც ერთ სოციალურ თუ საზოგადოებრივ ფენას. საპარლამენტო თუ პარტიული სისტე-

მეტი თურქეთში შექმნა და განავითარა მცირერიცხოვანმა ოსმალურმა ბიუროკრაციამ და ინტელიგენციამ. ისინი მოკლებულნი იყვნენ ხალხის მხარდაჭერას. მოუმწიფებელი, ჩამოყალიბებული ბურჟუაზიის პირობებში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ნიადაგი იმისთვის, რათა ხალხს გაეთავისებინა კონსტიტუციის, პარლამენტარიზმის თუ პოლიტიკურ პარტიათა სისტემის უპირატესობა.

ამიტომ ეს ინსტიტუტები და იდეები, ხალხის კონტროლის პრინციპისაგან განთავისუფლებული პირველი თურქული პოლიტიკური დაჯგუფებების ხელში, აღმოჩნდა ბრმა იარაღი ხელისუფლების ხელში ჩასაგდებლად. ეს განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა ერთიანობისა და პროგრესის პარტიის მოღვაწეობის მაგალითზე.

თურქეთის პოლიტიკურ პარტიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თურქეთის სახალხო რესპუბლიკურ პარტიას (თურქ. Cumhuriyet Halk Partisi). ეს პარტია 1923 წლის 9 სექტემბერს დააარსა მუსტაფა ქემალ ათათურქმა, ოფიციალურად კი ჩამოყალიბდა სივასის კონფერენციაზე. თურქეთში რესპუბლიკის დამყარების შემდეგ, 1924 წლის 10 ნოემბერს მას ეწოდა სახალხო-რესპუბლიკური პარტია.

### **დასკვნა**

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიუხედავად მოჩვენებითი მრავალპარტიული სისტემებისათვის დამახასიათებელი წყობის დამყარებისა, ამ ეპოქის პარლამენტარიზმის და კონსტიტუციონალიზმის შეფასებისას, მართებული იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ოსმალეთის იმპერიაში აღმოცენებული პირველი პოლიტიკური პარტიები შორს იყვნენ ამ ცნების ჭეშმარიტი გაგებისგან.

---

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lebanidze, T'. (2004). *P'art'iebi da P'olit'ik'uri Mdgomareoba Turketshi XIX Sauk'unis Bolos da XX Sauk'unis P'irvel Nakhevarshi*. Tbilisi. (ლეზანიძე, ტ. (2004). *პარტიები და პოლიტიკური მდგომარეობა თურქეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში*. თბილისი);
2. Lebanidze, T'. (2011). *Turketis P'olit'ik'uri P'art'iebis Ist'oriuli Mimokhilva*. Tbilisi. (ლეზანიძე, ტ. (2011). *თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა*. თბილისი);
3. Svanidze, M.(2007). *Turketis Ist'oria*. Tbilisi. (სვანიძე, მ. (2007). *თურქეთის ისტორია*. თბილისი);
4. *Political parties in Turkey, CHP* (The Republican People's Party) <http://www.allaboutturkey.com/parti.htm>.

## Issues of intercultural dialogue and national identity in modern Turkey

**Emzar Makaradze**

Professor  
Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies,  
Georgia, Batumi,  
emzar.makaradze@bsu.edu.ge

### Abstract

At the present stage, when all the humanity faces new threats and challenges and there occur the irreversible processes of globalization, the preservation of national identity has become an issue of great importance especially on the background of intensive cultural and religious dialogue between civilizations.

Georgia is a country located on the crossroads of civilizations. Representatives of different religions (Muslims, Christians, Gregorian and Jews) live side by side there. Its neighbors are Turkey, Armenia, Azerbaijan and Russia. No peace is possible without a dialogue between cultures and civilizations and these two important factors lead to the major outcome of what is called the Union of Civilizations. In this regard, we focus our interest to the issues of intercultural dialogue in the political life of modern Turkey.

The events occurred on 15 July 2016 in our neighboring Turkey, a failed state coup attempt, have attracted the attention of the whole world. Naturally, these events were particularly important for Georgia and had an inevitable impact on it.

**Key words:** intercultural dialogue; modern Turkey.

---

## კულტურათაშორისი დიალოგისა და ეროვნული იდენტობის საკითხები თანამედროვე თურქეთში

ემზარ მაკარაძე

პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

საქართველო, ბათუმი,

emzar.makaradze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის გარეშე არ არსებობს მშვიდობა და ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტს მივყავართ იმ უმთავრეს შედეგამდე, რასაც ერებს შორის ცივილიზაციათა კავშირი ჰქვია. ამ მხრივ საინტერესოა კულტურათაშორისი დიალოგის საკითხები XXI საუკუნის რესპუბლიკურ თურქეთში.

XXI საუკუნის თურქეთის მომავალი დემოკრატიის, კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებისა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის.

რესპუბლიკურ თურქეთში, კულტურათაშორისი დიალოგის საკითხების წინ წამოწევას დემოკრატიული ღირებულებების წინ წამოწევა სჭირდება, ამისათვის კი საჭიროა ევროპელი მოკავშირეებისა და აშშ-ს მხარდაჭერა.

**საკვანძო სიტყვები:** თურქეთი; ეროვნული იდენტობა.



## მსჯელობა

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მთელი კაცობრიობა ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას, გლობალიზაციის პროცესის შეუქცევადი ხასიათის გათვალისწინებით, ცივილიზაციათა შორის ინტენსიური კულტურათა და რელიგიათშორისი დიალოგის ფონზე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია.

კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის გარეშე არ არსებობს მშვიდობა და ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტს მივყავართ იმ უმთავრეს შედეგამდე, რასაც ერებს შორის ცივილიზაციათა კავშირი ჰქვია. ამ მხრივ საინტერესოა კულტურათაშორისი დიალოგის საკითხები XXI საუკუნის რესპუბლიკურ თურქეთში.

XXI საუკუნის თურქეთი მომავალი დემოკრატიის, კულტურათაშორის დიალოგის გაღრმავებისა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის.

რესპუბლიკურ თურქეთში, კულტურათშორისი დიალოგის საკითხების წინ წამოწევას დემოკრატიული ღირებულებების წინ წამოწევა სჭირდება, ამისათვის კი საჭიროა ევროპელი მოკავშირეებისა და აშშ-ის მხარდაჭერა.

ბოლო თვრამეტი წელია, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ინტერესით და გარკვეული შემფოთებითაც ვადევნებთ თვალყურს თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერის, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და ისლამური ხასიათის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებზე „ახალი თურქეთი“ დააფუძნა,

---

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანწილად იქცა ამ პრინციპსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე. წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად.

არის თუ არა თანამედროვე თურქეთი მისი დამფუძნებელი მამის მუსტაფა ქემალ ათათურქის იდეური მემკვიდრე?

უკვე დიდი ხანია თურქეთში პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანის ხელისუფლების მიერ ქემალიზმის რიგი დებულებების ცვლილებაზე საუბრობენ, რომ იგი თავიდან ახდენს სეკულარული საზოგადოების ისლამურ ტრადიციულ საზოგადოებად გარდაქმნას და უარს ამბობს სოციალურ მოდერნიზაციაზე. თავად რ. თ. ერდოღანს კი შემოაქვს ახალი კონცეფცია, ე.წ. „ახალი თურქეთი“, რომელიც ნაციონალიზმს, ისლამიზმს, ანტიელიტიზმისა და მორალიზმის პრინციპებს ეფუძნება:

1. **ქემალიზმი:** რესპუბლიკანიზმი, ლაიციზმი, ნაციონალიზმი, ხალხოსნობა, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი.
2. **ერდოღანის „ახალი თურქეთი“:** ისლამიზმი, თურქული ნაციონალიზმი, ანტიელიტიზმი, მორალიზმი.

სულ ახლახანს კი ერდოღანის მთავრობამ რევოლუციური დარტყმა მიაყენა ათათურქის მიერ შექმნილ თურქი ერის იდენტობას, რაც თურქული საზოგადოებისათვის შოკი აღმოჩნდა.

თურქეთის ისლამიზაცია: მუსტაფა ქემალ ათათურქის თურქეთი კონსტიტუციური და სეკულარული რესპუბლიკა იყო, სადაც ისლამის როლი საზოგადოებაში მინიმუმადე იყო

---

დაყვანილი. მიუხედავად ამისა, ისლამი თურქული საზოგადოებიდან არსად წასულა. თურქეთში ისლამმა ფარული მოძლიერება 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყო. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, თურქეთის სულიერი ლიდერი ფ. გიულენი იყო (მაკარაძე, 2016:45).

ისლამმა თვალსაჩინო გაძლიერება 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ისლამური ორიენტაციის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია და მისი ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მოვიდა (მაკარაძე, 2019: 231). ამ პერიოდიდან გაფართოვდა ფ. გიულენის საგანმანათლებლო დაწესებულებები, გიულენის მიმდევრები შევიდნენ სახელმწიფო სისტემაში, სასამართლო და ძალოვან სტრუქტურებში და წამყვან მედია საშუალებებში. ამ პერიოდში თურქეთში 17 ათასი ახალი მეჩეთი აშენდა. დღეისათვის თურქეთში ორჯერ მეტი მეჩეთია, ვიდრე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

2011 წელს, თურქეთში „გეზის“ პარკის მოვლენების შემდგომ, რ. თ. ერდოღანისა და ფ. გიულენის გზები გაიყო, მაგრამ ერდოღანს ისლამის გაძლიერების იდეა არ შეუწყენია, შეიძლება ითქვას, რომ მან ისლამი თურქული ეროვნული იდენტობის მთავარ რეკვიზიტად დააბრუნა.

სამხედრო გადატრიალებებით დაღლილი თურქეთისა და მისი ლიდერისათვის ისლამი ინსტრუმენტია, რომლითაც მას პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია და თურქეთის ტრადიციულ, კონსერვატიულ საზოგადოებად გარდაქმნა სურს, სადაც ნაკლებია სოციალური, ეთნიკური და სხვა სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული პროტესტის გენერირების შესაძლებლობა.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, რომელიც მულტიეთნიკური წარმონაქმნი იყო, მ. ქ. ათათურქმა, დასუსტებული თურქეთის კიდევ უფრო დაშლა თავიდან რომ აეცილებინა, „ახალი თურქი“ ერის მშენებლობა დაიწყო. ნებისმიერი, ვინც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ამ ქვეყნისათვის იღვწოდა იყო თურქი. ათასწლეულების განმავლობაში ამ პარადიგმას ემყარებოდა თურქული ნაციონალიზმი, თურქეთის ერის მონოლითურად ქცევის პროცესს ფარულად ეწირებოდა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები და მათი წარმომავლობის საკითხი ნელ-ნელა ტაბუირებული ხდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა თურქეთის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული მოსაზრება. ერდოღანი ერთ-ერთ ინტერვიუში დასძენდა: „კითხულობდნენ თუ საიდან ვიყავი, ერთმა ქართველიაო, მეორემ ბოდიში და უფრო საშინელი რამ თქვა - სომეხიო, მაგრამ მე მამით და ბაბუით, ყოველმხვრივ თურქი ვარ“.

თურქეთის პრეზიდენტმა, ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოქალაქეთა რეგისტრაციის საიდუმლო საინფორმაციო ბაზა საჯარო და ყველასათვის მისაწვდომი გახადა. თურქეთის ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცა, გაერკვია მისი წინაპრების წარმომავლობა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. ბაზის გახსნიდან, მხოლოდ რამდენიმე დღეში 8 მილიონმა თურქმა გამოიკვლია საკუთარი გენეალოგიური შტო. აღმოჩნდა, რომ აქამდე ეროვნებით თურქთა ნაწილს სომხური, ბერძნული, ებრაული, ლაზური და არაბული წარმომავლობა ჰქონდა.

ამ მოვლენამ, ათათურქიდან მოყოლებული, ერთიანი თურქი ერის იდენტობის შექმნის პოლიტიკა თავდაყირა დააყენა.

გაურკვევლობაში მყოფ თურქულ საზოგადოებაში არაერთი კონსპირაციული თეორია გაჩნდა, თუ რატომ გადადგას ნაბიჯი რ. თ. ერდოღანის ხელისუფლებამ, მაშინ როცა არაერთ საერთაშორისო კონფლიქტში ჩართულ ქვეყანას ნაციონალისტური ნარატივის გაძლიერება, ისე როგორც არასდროს ესაჭიროება. ერთ-ერთი მოსაზრებით, ეს შიდა საკითხია, რითაც რ. თ. ერდოღანს ეთნიკურად თურქების კონსოლიდირებული მხარდაჭერის მოპოვება და ეთნიკური უმცირესობის დანაწილება სურს.

ქემალიზმსა და ერდოღანიზმს შორის დაპირისპირებამ საგარეო პოლიტიკაშიც ჰპოვა ასახვა. ათათურქის ვესტერნიზაცია ერდოღანის მკვეთრმა ანტიდასავლურმა რიტორიკამ და დასავლური სამყაროსგან დაშორებამ ჩანაცვლა.

რ. თ. ერდოღანი დღეს განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებს, რომელმაც თურქეთი დასავლეთის ჩრდილიდან უნდა გამოიყვანოს და დასაბამი მისცეს ახალ, სუვერენულ რესპუბლიკურ თურქეთს, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი ინტერესები ამოძრავებს.

## დასკვნა

თურქეთის მოვლენებმა, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, გვაჩვენა, რომ ქვეყანა ყალიბდება ძლიერ სახელმწიფოდ, რაც გვამღევეს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ შემდგომშიც ის ხელიდან არ გაუშვებს მოპოვებულ წარმატებას და გაააქტიურებს ქვეყნის როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mak'aradze, E. (2019). *Turk'etis Ist'oria 1918-2018 Ts'lebshi (Salektsio Chanats'erebi)*. Tbilisi. (მაკარაძე, ე. (2019). *თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები)*. თბილისი);
2. Mak'aradze, E. (2016). *Turk'etis Sashinao P'olit'ika 2000-2015 Ts'lebshi*. Tbilisi. (მაკარაძე, ე. (2016). *თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში*. თბილისი).

---

## Modern relations of Turkey and Iran

**Maia Kapanadze**

Doctor of History  
Caucasus International University  
maia.kapanadze@ciu.edu.ge

**Shorena Sigua**

Caucasus International University  
Sh.sigua@gmail.com

### Abstract

Turkey and Iran are the two largest Middle Eastern countries that are constantly striving for leadership. Due to their political interests in the region, there are often contradiction between the two countries. In spite of their counteract, there are cases when Turkey and Iran find a common language.

This process facilitated to finding a common language between Turkey and Iran, the difficult political situation created in the Middle East over the last few years, which threatened both countries.

Here is the Syrian crisis we mean. Although the two countries had a different vision at the beginning of the Syrian crisis, further development of events allowed them to reconcile the common sense, as events in Syria directly impact negatively not only on this country, but also in the region wholly and between Turkey and Iran.

The closer relations of these two countries have also been conditioned through the position of the United States, which has taken a negative attitude towards both Turkey and Iran as one of those expressions of are the sanctions.

**Keywords:** Kurdish Workers' Party; Turkey.

## თურქეთისა და ირანის თანამედროვე ურთიერთობები

**მაია კაპანაძე**

ისტორიის დოქტორი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
maia.kapanadze@ciu.edu.ge

**შორენა სიგუა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
sh.sigua@gmail.com

### აბსტრაქტი

თანამედროვე თურქეთის ურთიერთობები ირანთან ხასიათდება წინააღმდეგობებით. რომლის დასტაბილურებას ხელს უშლიდა თურქულ-ამერიკული სამხედრო კავშირები და ირანისაგან, მკვეთრი რელიგიური, პოლიტიკური და ისტორიული განსხვავებანი. ორივე ქვეყანას ისტორიულად ჰქონდა მუდმივი კონკურენციის განცდა იმისა, თუ რომელი მოიპოვებდა უფრო მეტ გავლენას რეგიონში.

**საკვანძო სიტყვები:** „ნულოვანი პრობლემა“; ქურთების მუშათა პარტია.



## მსჯელობა

თურქეთის ურთიერთობები ირანთან ხასიათდება წინააღმდეგობებით. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დასტაბილურებას ხელს უშლიდა თურქულ-ამერიკული სამხედრო კავშირები და ასევე მკვეთრი რელიგიური, პოლიტიკური და ისტორიული განსხვავებანი ირანისაგან. ორივე ქვეყანას ისტორიულად ჰქონდა მუდმივი კონკურენციის განცდა იმისა, თუ რომელი მოიპოვებდა უფრო მეტ გავლენას რეგიონში. მათ შორის ორმხრივი თანამშრომლობა დაიშალა 1980-1990 წლებში, რაც განპირობებული იყო უთანხმოებით PKK - ზე, კერძოდ PKK იყენებდა ირანის ტერიტორიას, და ასევე ირანი თურქ ისლამისტებს უჭერდა მხარს.

თურქეთი ატარებს „ნულოვანი პრობლემის“ პოლიტიკას მიზობლებთან, რომელიც ხორციელდება AKP მთავრობის ეგიდით, თურქეთი ამ პოლიტიკის გატარებით ცდილობდა შეეცვალა დამოკიდებულება რეგიონის სახელმწიფოების მიმართ, მათ შორის ირანის მიმართაც. ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები მკვეთრად გაიზარდა ირანთან და დღესდღეობით ირანი არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით თურქეთისათვის. ირანზე თურქეთის საგარეო ვაჭრობის 3.6% მოდის (მის წინ მხოლოდ ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი და აშშ-ია). გააქტიურდა ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ვიზიტები მათ შორის სახელმწიფო მეთაურთა დონეზეც.

ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო მათ დაახლოებას უსაფრთხოების სფეროშიც, 2002 წელს ისინი შეთანხმდნენ ეთანამშრომლათ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მოიცავდა თეირანის მიერ PKK-ს ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებას. 2009 წლის დეკემბერში მათ კოორდინირებულად შეუტყეს PKK-ს ნაწილების განლაგებას თურქეთის

---

საზღვარზე ირანთან და ერაყთან. 2011 წლის ივნის-ივლისში ირანმა განახორციელა რეიდები თურქეთის საზღვართან მთიან რეგიონში PKK (ქურთების მუშათა პარტია) ნაწილების წინააღმდეგ.

თურქეთსა და ირანს აქვთ განსხვავებული აღქმა რეგიონული უსაფრთხოებისა და ძალთა ბალანსის. როდესაც სირიაში 2011 წელს აჯანყებების ტალღა აგორდა, ირანმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებას და უწევდა მას დიპლომატიურ და სამხედრო მხარდაჭერას. მაშინ, როდესაც თურქეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი რ.თ.ერდოღანი ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებას აფასებდა, როგორც „დანაშაულს“.

აშშ-სა და თურქეთს ახლაც განსხვავებული მიდგომა აქვთ ირანის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებაში.

თურქეთი და ირანი, სირიის ომის საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთის საპირისპირო პოზიციებზე იდგნენ, თუმცა ურთიერთობების დათბობა მათ შორის მალევე აშკარა გახდა, რადგანაც მათ ერთნაირად აღელვებთ კონფლიქტის დროს გაზრდილი რელიგიური დაპირისპირებების ფონი და ამიტომაც შეძლეს თანამშრომლობა იმისათვის, რომ მეზობელ ქვეყანაში მშვიდობა დამყარდეს.

ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი ერთ-ერთი პირველი იყო მსოფლიო ლიდერთაგან, ვინც თურქეთში წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ (2016 წლის ივლისი) რ.თ. ერდოღანს მხარდაჭერის გამოსახატად დაურეკა.

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებისადმი ირანის მიერ დაკავებული პოზიციის გამო თურქეთი მაღლიერი დარჩა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ თეირანის დამოკიდებულება დასავლეთის მდუმარებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. გადატრიალების მცდელობის შემდეგ ანკარისადმი

მოსკოვის მიერ უმაღლეს დონეზე გამოხატულმა მხარდაჭერამ და რუსეთისა და ირანის ხელისუფალთა განცხადებებმა გააჩინა ვარაუდები ანკარას, მოსკოვსა და თეირანს შორის „ახალი ღერძის“ ჩამოყალიბების თაობაზე. მალე, ამ სამეულმა სირიის კრიზისის დასასრულებლად ერთობლივი მოქმედება დაიწყო.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი 2016 წლის 9 აგვისტოს მოსკოვში პუტინ - ერდოღანის უმაღლეს დონეზე შეხვედრიდან რამდენიმე დღეში შედგა, წინა დღეს კი რუსეთის პრეზიდენტი ირანელ კოლეგას ბაქოში შეხვდა.

სირიის პრეზიდენტის მიმართ მათი დამოკიდებულება იმ დროს ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ანკარას პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებაში დარჩენა არ სურდა, თუმცა, ის მაინც დათანხმდა სირიის ახალ მთავრობაში ასადის მხარდამჭერთა ყოფნას. რაც შეეხება მოსკოვს და თეირანს, მათ ნათლად აჩვენეს, რომ ასადის მომავალზე „ვაჭრობისთვის“ მზად არ იყვნენ. ანკარა ასევე მაშინ უკმაყოფილო იყო რუსეთის სამხედრო ოპერაციებით და ირანის ფარული თუ აშკარა მცდელობებით, შეენარჩუნებინა სირიის რეჟიმი.

თავის მხრივ, რუსეთსა და ირანს კვლავ სწამდათ, რომ სირიაში რადიკალ სუნიტთა ჯგუფებს, რომლებსაც ისინი ტერორისტულ ორგანიზაციებს უწოდებენ, ანკარა უჭერდა მხარს, რამაც, მათი აზრით, სირიის კრიზისი გააჭიანურა. მაგრამ, ზოგიერთ საკითხში თურქეთ-ირანის ინტერესები მაინც დაემთხვა. მაგალითად, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯავად ზარიფის ვიზიტისას ორი ქვეყნის ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს სირიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობა. ასევე ორივე ქვეყანა ჩრდილოეთ სირიაში ქურთთა ავტონომიური რეგიონის შექმნის წინააღმდეგობას, მაგრამ ანკარაში გამართულ პრესკონფერენ-

ნციაზე ჩავუშოდლუსა და ზარიფს აშკარად არაფერი უთქვამთ.

ჩავუშოდლუ ამ საკითხს გაკვრით შეეხო და მხოლოდ ის თქვა, რომ ანკარა ირანის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ისევე ეკიდება, როგორც თურქეთისას და ქურთისტანის მუშათა პარტია თურქეთში, ქურთისტანისათვის უფლად ცხოვრების პარტია ირანში და დემოკრატიული კავშირის პარტია სირიაში საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ ორ ქვეყანას, არამედ მთელ რეგიონს.

თურქეთი და ირანი ისლამურ სახელმწიფოსთან და სირიასა და ერაყში მოქმედ მსგავს დაჯგუფებებთან ბრძოლის საჭიროებაზეც შეთანხმდნენ.

დასავლეთთან მისი სამხედრო-სტრატეგიული კავშირებით, რაც ამჟამინდელი დამაბულობის მიუხედავად, შენარჩუნდა და ირანის რეგიონულ მეტოქე საუდის არაბეთთან და თან განვითარებადი ურთიერთობის ფონზე ანკარამ სიფრთხილე გამოიჩინა, რათა ისეთი შთაბეჭდილება არ შექმნილიყო, თითქოს ის თავის საგარეო პოლიტიკას სხვა ქვეყნებისთვის საზიანოდ აგებდა.

2017 წლის აპრილში სტამბოლში გამართული ისლამური სახელმწიფოების კონფერენციის სამიტზე თურქეთმა იგრძნო, რამდენად დამაბულია თეირან-ერ-რიადის ურთიერთობა: დამაბულობა მაშინ იმდენად გამოაშკარავდა, რომ ანკარა ორ მხარეს შორის აღმოჩნდა.

როგორც მალე გამოჩნდა, „სტარტეგიული კავშირების“ ნაცვლად თურქეთი და ირანი სირიის კრიზისის გამო მათი ურთიერთობის დამაბვამდე არსებული სტატუს-კვოს აღდგენისკენ მისწრაფვოდნენ. თურქეთმა ირანთან ურთიერთობა გააუმჯობესა და იმავდროულად საუდის არაბეთთანაც დაამყარა კავშირები. ეს რეგიონში იმ შუალედური პოზიციის

---

აღდგენის სურვილზე მიანიშნებს, რაც ანკარას „არაბულ გაზაფხულამდე“ ეკავა და მას რეგიონული კრიზისების მოგვარებისას შუამავლობის საშუალების მისაცემად გამოიყენებდა.

საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თურქეთი და ირანი ალბათ თავიანთ ტრადიციულ პოზიციას დაუბრუნდებიან: ზოგჯერ ერთმანეთს დაეთანხმებიან, ზოგჯერ - არა, თავიანთ ინტერესებს განუხრელად დაიცავენ, თუმცა ისე, რომ უთანხმოებებმა მთლიანობაში მათი კავშირები არ მოშალოს. ამასობაში ისინი რეგიონულ საკითხებში შეძლებისდაგვარად თანამშრომლობენ.

თურქეთისა და ირანისთვის აქტუალურია ასევე ქურთისტანის პრობლემაც, რაშიც ისინი ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

2017 წელს ირანში ვიზიტით მყოფი თურქეთის პრეზიდენტი, რეჯეფ თაიფ ერდოღანი ირანის პრეზიდენტს, ჰასან როუჰანის შეხვდა. ერთობლივ პრესკონფერენციაზე ერდოღანმა ერაცში ჩატარებულ რეფერენდუმს არალეგიტიმური უწოდა და თქვა, რომ მას მხოლოდ ისრაელი აღიარებს. თურქეთის პრეზიდენტის თქმით ის რეფერენდუმის საპასუხოდ ერაცის და ირანის მთავრობებთან შეთანხმებით უფრო მკაცრ ზომებს მიიღებს.

2018 წლის ზაფხულიდან თურქეთიც და ირანიც აშშ-ს მხრიდან ეკონომიკური სანქციების განსაკუთრებულ სამიზნეებად იქცნენ. რატომ მოხდა ასე და რა არის ამის მიზანი.

2015 წელს მთელი დასავლური სამყარო ზეიმობდა ირანთან მრავალწლიანი კრიზისის დასასრულს და გრძელვადიანი საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერას. გავიდა მხოლოდ სამი წელი და კრიზისი ხელახალი ძალით შემო-

---

ბრუნდა-2018 წლის აგვისტოში აშშ-მ ცალმხრივად დატოვა შეთანხმება და ირანის წინააღმდეგ სანქციები განაახლა.

რატომ დატოვა აშშ-მ შეთანხმება და რატომ განაახლა ირანის წინააღმდეგ სანქციები. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, 2016 წელს ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკის მხრიდან ირანის გარიგებაში მონაწილეობის თაობაზე მუდმივად უარყოფით აზრს გამოხატავდა. ტრამპი ირწმუნებოდა, რომ ირანი გარიგების საკუთარ ნაწილს არ ასრულებდა და მას არაერთხელ განუცხადებია, რომ ეს აშშ-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უარესი გარიგება იყო.

ის, რომ აშშ ბირთვულ გარიგებას დატოვებდა, ამის შესახებ ტრამპმა 2018 წლის 8 მაისს განაცხადა, ამ მომენტიდან ირანული ვალუტის რიალის ვარდნა დაიწყო. ტემპი, რომლითაც ის უფასურდებოდა, ექსპერტების აზრით იმაზე მიუთითებს რომ ირანი უაღრესად არასტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება და ქვეყანას ღრმა ეკონომიკური კრიზისი ემუქრება. თუ კი ერთი კვირის წინათ დოლარი 90 ათასი რიალი ღირდა, ამჟამად ამ ციფრმა 117 ათას რიალს მიაღწია.

1 აგვისტოს დაპირება რეალობად იქცა, აშშ-მ ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. სანქციები ამერიკის კომპანიებს ირანთან ოქროთი, ალუმინით, ნახშირით და მთელი რიგი სხვა საქონლით ვაჭრობას უკრძალავს.

ევროპამ და დიდმა ბრიტანეთმა ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს და განაცხადეს, რომ 2015 წელს ხელმოწერილი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში გააგრძელებენ მუშაობას.

---

ამავდროულად აშშ-მ უკვე გაამზადა სანქციების მეორე პაკეტი, რომელიც 2018 წლის 4 ნოემბერს შევიდა ძალაში. თუკი ირანი აშშ-სთან მოლაპარაკებებზე უარს იტყვის.

დ. ტრამპი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს მოკავშირეების გაერთიანებას ცდილობს და ხვდება, რომ საამისოდ ერთადერთი კომპონენტი-ირანისადმი მათი ერთობლივი, ნეგატიური დამოკიდებულებაა.

ირანში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების ფონზე უმუშევრობა მატულობს, იგრძნობა წყლისა და ელექტროენერჯის ნაკლებობა, იზრდება იმფლაცია. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტები მასობრივ ხასიათს იღებს.

2018 წელს თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გაართულების ნიადაგზე აშშ-მ თურქეთის იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ დააწესა სანქციები-აბდულაფმიტ გიულისა და სულეიმან სოილუს ყველა ამერიკული აქტივი და ანგარიში გაყინულია.

სანქციები დაწესდა თურქეთში ამერიკული პასტორის, ენდრიუ ბრანსონის პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით. თურქეთის ხელისუფლებამ მას ბრალი დასდო ფეთულა გიულენთან თანამშრომლობაში, რომელიც მათი აზრით, ორი წლის წინათ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორი იყო. ბრანსონი ციხეში 2016 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა (ის ამჟამად უკვე თავისუფალია).

ბოლო წლებში ანკარასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობა რამდენიმე მიზეზით გაუარესდა. თურქეთი უკმაყოფილოა, რომ აშშ მათთვის ფ. გიულენის გადაცემაზე უარს აცხადებს, ასევე თურქეთი უკმაყოფილოა სირიაში აშშ-ს მიერ ქურთი მეამბოხეების მხარდაჭერითაც. ბოლო პერიოდში კი ამ ორ ქვეყანას შორის უკმაყოფილება უფრო მეტად გაღრმავდა.

---

ამის მიზეზი თურქეთის მხრიდან რუსეთიდან S400-ის შეძენის გამო.

თურქეთმა და ირანმა რუსეთთან ერთად მყიდვე და მოულოდნელი ალიანსი შექმნეს სირიაში. მათი პოზიცია მთავარ საკითხებზე რეგიონში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შეთანხმებადი გახდა. თუმც მათ შორის გარკვეული წინააღმდეგობებიც იყო: როგორცაა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის გაგრძელება, რეგიონალური და ადგილობრივი აქტორების როლი სირიის კრიზისის მოგვარებაში, დროთა განმავლობაში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ომის შეწყვეტა სირიაში, ანკარისა და თეირანის (მოსკოვთან ერთად) ურთიერთობებში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. მათ მხარი დაუჭირა ე.წ. ასტანას პროცესს, რომელმაც შეაჯერა და გააზავა გაერთიანებული ერების მხარდაჭერით განხორციელებული დიალოგი ჟენევაში. დამატებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2017 წლიდან, პრეზიდენტ პუტინმა, როუჰანმა და ერდოღანმა სამხრეთი სერიული მოლაპარაკებები და შეხვედრები მოაწყვეს სოჭში, ანკარაში და მალევე თეირანში და მას ეს უცნაური სახელი - „სოჭის ტრიო“ უწოდეს, რომელიც აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში.

რეალობაა რომ რუსეთი, ასადის რეჟიმის დიდი საყრდენია, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური პროცესების დაწყებას ამ ქვეყანაში. დამასკოს დამოკიდებულება ირანზე არანაკლებია. თეირანი არა მხოლოდ ჯარით ამარაგებს ასადის რეჟიმს, არამედ მჭიდროდ ურთიერთობს სირიის ეკონომიკასთან, სავაჭრო ურთიერთობის გზით. თურქეთმა კი თავის მხრივ - სამხედრო ოკუპაცია მოახდინა მოსაზღვრე რაიონებისა, რომელიც ქურთების კონტროლქვეშ იმყოფება, სირიის ჩრდილოეთით კი - გავლენის სფერო კონსოლიდირ-



---

რებულია. მშვიდობა უნდა დამყარდეს რაც შეიძლება მალე, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად. ამ ეტაპზე ეს არის რუსეთის, ირანისა და თურქეთის პოზიციის შეჯამება სირიის ომთან დაკავშირებით.

ირანის და თურქეთის ლიდერებმა რუსეთის პრეზიდენტთან ერთად სოჭში მოლაპარაკება აწარმოეს სირიის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე. ამ მოლაპარაკებებში განსაკუთრებით ხაზგასასმელია თურქეთისა და ირანის როლი. ერდოღანისა და როუჰჰანის პოზიციამ საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე იქონია გავლენა და შეიქმნა დეესკალაციის ზონები.

ამ კონფლიქტის დარეგულირების საკითხში აუცილებელია არა მარტო გარედან ჩარევა, არამედ სირიის შიგნით დიალოგის გაფართოება და მოსახლეობის ყველა ეთნიკურ-კონფესიური თუ პოლიტიკური ჯგუფის ჩართულობის აუცილებლობა.

მოლაპარაკებების შედეგად მხარები შეთანხმდნენ, რომ აქტიურ ძალისხმევას არ დაიშურებდნენ მთავარი ამოცანის გადასაჭრელად - სირიაში სტაბილურობისა და მშვიდობის დასამყარებლად, რაც პირველ რიგში მათ ინტერესებში შედის. ამ შეხვედრის მიზანი ის იყო რომ მათ მხარი დაუჭირა მასშტაბური და თავისუფალი პოლიტიკური პროცესების განვითარებას სირიაში რუსეთთან ერთად. მოლაპარაკებები სოჭში დასტური გახდა იმისა, რომ თურქეთმა და ირანმა სირიის კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საკითხის გადაჭრაზე პასუხისმგებლობა და ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო, რათა სირიაში განვითარებული მოვლენები სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ორივე მათგანს კონფლიქტის მასშტაბურობიდან გამომდინარე.

---

დამასკოში გარკვეული პოლიტიკური ძალები მიესალმნენ მათ ერთობლივ მოლაპარაკებებს სოჭში სირიის საკითხთან დაკავშირებით.

სირიის ოპოზიციამაც სოჭის მოლაპარაკებებს ძალზედ მნიშვნელოვანი უწოდა. მათი აზრით, ამ მოლაპარაკებებმა სირიაში პოლიტიკური პროცესის დაწყებას პრაქტიკული საფუძველი დაუდო.

სირიაში ომის დაწყების შემდეგ, როგორც უკვე ზემოთ ავლნიშნეთ ირანმა ასადის რეჟიმს დახმარება აღუთქვა, უზიარებდა სადაზვერვო ინფორმაციას, ეხმარებოდა სამხედრო ძალების წვრთნებში, სესხებსა და საბოლოოდ კი ჯარით-ცოცხალი ძალით.

რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ასადის მთავრობის ბიუჯეტი უმთავრესად ფინანსდებოდა ირანის რესპუბლიკის ხაზინიდან. თეირანი, ომის დაწყების დღიდან მრავალმხივ ეხმარებოდა ასადის რეჟიმს პირდაპირი თუ ირიბი გზით.

ირანული კომპანიების სწრაფმა დაფუძნებამ სირიაში, უფრო გააძლიერა ქვეყნის დამოკიდებულება თეირანზე.

აღსანიშნავია, რომ ანკარას და თეირანს ქურთების მიმართ არაერთგვაროვანი შიში გააჩნიათ, რადგანაც ქურთების პრობლემა განსხვავდება ამ ორი ქვეყნისათვის. თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქურთების მუშათა პარტიაზე (PKK), ირანის, მოსახლეობის 6,5 მილიონი ქურთია. ისინი ძირითადად თავმოყრილნი არიან პროვინცია „ირანის ქურთისტანში“.

ირანი ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას სირიაზე ამით ის მკვეთრად ხაზს უსვამს მის აუცილებელ მონაწილეობას ნებისმიერი სახის შემდგომ მოლაპარაკებებში სირიის პრობლემასთან დაკავშირებით.

სირიის ომის საწყისს ეტაპზე, ანკარამ ეს კონფლიქტი დაინახა როგორც შანსი იმისა, რომ დაეწყო მოქმედება როგორც შუამავალს და ასევე განევრცო მისი პოლიტიკური გავლენა რეგიონზე. მაგრამ ანკარას სტრატეგია სირიაზე პირდაპირ ირანის სტრატეგიას დაეჯახა, როცა თურქეთმა დაიწყო წვრთნები, მატერიალური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა სხვადასხვა ისლამისტური ოპოზიციური ჯგუფებისა, რომლებიც ებრძოდნენ ასადის რეჟიმს, კერძოდ კი- თავისუფალი სირიის არმიას (FSA).

ამჟამად, თურქეთის მთავრი მიზანი, სირიაში ქურთების და (PYD)-ის და სირიისა და ერაყის საზღვარზე მათი დომინირების და კონტროლის თავიდან აცილებაა.

2017 წლის 22 ნოემბერის, მოლაპარაკებების შედეგად, თურქეთისა და ირანის ლიდერები რუსეთთან ერთად სირიის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთანობის შენარჩუნებაზე შეთანხმდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოს ის ფაქტი, რომ თურქეთისაგან განსხვავებით, ქურთების საკითხი სირიისა და ირანისთვის ისეთი აქტუალური არ არის, როგორც თურქეთისათვის. თუმცა აშკარაა, რომ ასადის რეჟიმსა და ირანს, სურთ ქურთების წინსვლის შეფერხება იმ ფაქტის გამო, რომ მათაც ჰყავთ ქურთული მოსახლეობა თავიანთ საზღვრებთან.

მათ შორის წინააღმდეგობისდა მიუხედავად (ქურთების საკითხთან დაკავშირებით), თურქეთი და ირანი სირიის კრიზისის მოგვარებასთან დაკავშირებით აქტიურად თანამშრომლობს, რათა მათ შესაბამისი გავლენის სფერო ჰქონდეთ სირიაში.

შემდეგი მოლაპარაკება მათ შორის 2018 წლის აპრილში ანკარაში მოხდა. მიუხედავად მათი გარკვეული განსხვავებული შეხედულებისა, სირიის კონფლიქტის ცალკეულ

---

ელემენტებზე, მათ იპოვეს ის ოქროს შუალედი, რომელზეც ისინი შეჯერდნენ.

ამჟამად მათი მთავარი პრობლემა უკავშირდება იმ დაძაბულობასა და ინცინდენტებს, რაც ისრაელსა და ირანს შორის წარმოიქმნა. უკვე ავლნიშნეთ, რომ აშშ-მ ირანთან ბირთვული შეთანხმებაზე უარი თქვა, რამაც მათ შორის კიდევ უფრო გააურესა და დაძაბა მდგომარეობა.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, ამჟამად ნურსულთანში გასულ წელს კვლავ შედგა ამ სამი სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრა სირიის კრიზისთან დაკავშირებით. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს იდლიბის პროვინციაში არსებულ სიტუაციაზე და სირიის საკონსტიტუციო კომიტეტის შექმნაზე.

მათთვის, სირიის კრიზისის დარეგულირებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზეც სოჭის ფორმატში შემდგარი არაერთი შეხვედრა მეტყველებს, სადაც ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ საერთო ენა გამონახათ და აღნიშნული კრიზისი მეტნაკლებად დაერეგულირებინათ. ამის დასტურია თურქეთის პრეზიდენტ - რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანის სტუმრობა სოჭში, 2018 წლის 14 თებერვალს, სადაც აღნიშნული ქვეყნის ლიდერებმა სირიის პრობლემის მოგვარებაზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს. მათ სირიის კონფლიქტის მოგვარებასა და გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნებაზე სამომავლო გეგმები დასახეს.

### **დასკვნა**

ამრიგად, თურქეთმა და ირანმა, მიუხედავად იმისა რომ ორივე მათგანი რეგიონში ლიდერობისათვის იბრძვის, მაინც მოახერხეს მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება. ეს ქვეყნები ამ შეთანხმებამდე ახლო აღმოსავლეთში მკვეთრად დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ მიიყვანა, რაც ორივე

---

მათგანისათვის საკმაოდ არახელსაყრელია. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ურთიერთობა არამარტო ირანსა და აშშ-ს, არამედ თურქეთსა და აშშ-ს შორისაც დაიძაბა. ის ორივე მატგან სანქციებს უწესებს, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკაზე საკმაოდ მძიმედ აისახა. ეს ვითარება კი საშუალებას აძლევს რუსეთს გააძლიეროს თავისი პოლიტიკური გავლენა, როგორც ირანსა და თურქეთზე, ისე მთლიანად რეგიონზეც.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gachechiladze, R. (2019). *Akhlo Aghmosavleti (Geop'olit'ika)*. Tbilisi. (გაჩეჩილაძე, რ. (2019). *ახლო აღმოსავლეთი (გეო-პოლიტიკა)*. თბილისი);
2. Mak'aradze, E. (2019). *Turk'etis Ist'oria 1918-2018 Ts'lebshi (Salektsio Chanats'erebi)*. Tbilisi. (მაკარაძე, ე. (2019). *თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები)*. თბილისი);
3. Aras, Bulent. (2002). *The New Geopolitics of Eurasia and Turkey's Position*. London: Frank Cass;
4. Bodgener, D. (1994). *Ankara's Pipe Dreams Come True*. Meed;
5. *Сочинский формат: Путин, Эрдоган и Роухани провели переговоры по Сирии*. (2019). <https://ria.ru/20171123/1509395837.html>;
6. *Russia, Iran, Turkey to Hold Furth Round of Syria Talks in Sochi*.(2019). <https://www.aljazeera.com/news/2019/02/russia-iran-turkey-hold-fourth-syria-talks-sochi-190213135429737.html>;

7. *Russia, Turkey and Iran – Why the US Has Declared Economic war Against Them.* (2019). <https://jam-news.net>);
8. *Rusetis, Iranis da Turketis Liderebi Soch'shi Siriis Sak'itkhebze Msjeloben.* (2019). (რუსეთის, ირანისა და თურქეთის ლიდერები სოჭში სირიის საკითხებზე მსჯელობენ. (2019). <http://ghn.ge/com/news/view/220895>);
9. *New formats of Syria Talks Help Resolve Conflict – Putin.* (2019). <http://tass.com/world/1028195>.

## „Arab Spring“in Syria and Egypt – Comparative Analysis

**Simon Gureshidze**

Ilia state university  
G. Tsereteli Institute of Oriental Studies  
Georgia, Tbilisi  
simongureshidze@gmail.com

### **Abstract**

The article discusses the processes of the "Arab Spring", starting in December 2010 in Tunis, how the protest march affected region's countries, were after the revolutionary process, the ruling regimes have lowdown (Tunisia, Egypt, Libya). The focus is on the impact and role of the regional actors which were involved in the Syrian civil confrontation.

Further in the article is compared the processes in Egypt and Syria before "Arab spring". Resemblance and differences are separated from each other and also in detail reviewed the methods and reactions of both states against the protests.

The last part of the article is devoted to discussing the details of supporting the regime of Syria president Bashar Al-Assad. Namely the main factors which maintained the viability of the ruling elite, the role of the multi-confessional armed forces in the state and

their financial and economic interests. Also what led to the unification of reviving Sunni and Alawi militaries on concrete locations, which has become one of the main factors for the regime's enforcement.

The final part summarized the factors, how the privileged castes established by autocratic regimes on ethnic, religious and political soil; are leading country to the civil war and bloodshed when internal and external political challenges emerging.

**Keywords:** „Arab Spring“; Tunisia; Egypt; Libya.



---

## ეგვიპტისა და სირიის „არაბული გაზაფხული“ შედარებითი ანალიზის კრილში

**სიმონ გურეშიძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი  
simongureshidze@gmail.com

### აბსტრაქტი

XXI საუკუნის ათიან წლებში, „არაბული გაზაფხულის“ სახელით დაწყებული ცნობილი რევოლუციების ტალღა მეტ-ნაკლები სიმძაფრით მოედო მთელ არაბულ სამყაროს და გრძელდება დღემდე.

სწორედ ამ მოვლენით გამოწვეული სირიის სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. არ გადაწყვეტილა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციის უკანასკნელი ბასტიონის, იდლიბის ბედი. რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ალ-ასადის სამხედრო ნაწილები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ თურქეთის დახმარებით გაძლიერებულ აჯანყებულებს.

**საკვანძო სიტყვები:** „არაბული გაზაფხული“; ბაშარ ალ-ასადი.

## მსჯელობა

2010 წელს თუნისში დაწყებული „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი რევოლუციების ტალღა მეტ-ნაკლები სიძაფრით მოედო მთელ არაბულ სამყაროს და დღემდე გრძელდება. ვინაიდან სწორედ ამ მოვლენით გამოწვეული სირიის სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. არ გადაწყვეტილა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ოპოზიციის უკანასკნელი ბასტიონის, იდლიბის ბედი. რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ალ-ასადის სამხედრო ნაწილები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ თურქეთის დახმარებით გაძლიერებულ აჯანყებულებს (1, 2019). თურქეთსა და რუსეთს შორის სირიაში დაპირისპირების ტემპერატურამ 2015 წლის დეკემბერში მიაღწია პიკს, როდესაც თურქულმა მხარემ რუსეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილი მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდო. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ მრავალი ექსპერტი ორ ქვეყანას შორის სრულ მასშტაბიან სამხედრო კონფლიქტს და მოვლენათა უფრო მძიმე განვითარებასაც არ გამოორიცხავდა. ყოველივე ზემოთ თქმულს თან დაერთო, ერთი წლით ადრე გააქტიურებული ტერორისტული „ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენა, რომელმაც თავის სისასტიკითა და აქტივობის მასშტაბებით მანამდე არსებულ ყველა მსგავს დაჯგუფებას გადააჭარბა. „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეული სირიის სამოქალაქო დაპირისპირება კიდევ იმით გახდა მრავალი მკვლევარისთვის საინტერესო, რომ თუნისის, ეგვიპტისა და ლიბიისგან განსხვავებით (სამივე ქვეყანაში რევოლუციის შედეგად დაემხო ზინ ალ-აბიდინ ბენ ალის, ჰუსნი მუბარაქისა და მუამარ კადაფის დიქტატორული რეჟიმები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მართავდნენ ჩამოთვლილ ქვეყნებს), ოპოზიციამაც და მმართველმა რეჟიმმაც გარე ძალები ჩართეს შიდა კონფლიქტის გადასა-

წყვეტად. გამომდინარე იქიდან, რომ სირიის მმართველ ალავ-იტურ (2, 2009:334-335) რეჟიმს რუსეთის გარდა შიიტური ირანიც ეხმარებოდა, ვინაიდან ამ ქვეყანას საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ გააჩნია ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენის გაძლიერების სურვილი, ამ ფაქტორმა გამოიწვია სუნიტური თურქეთისა და სპარსეთის ყურის არაბული მონარქიების (ყატარი, საუდის არაბეთი) გააქტიურება, რათა ხელი შეეშალათ ირანის გეგმის სისრულეში მოყვანისთვის. მოვლენათა განვითარების ჯაჭვმა თავის მხრივ რეგიონალური უსაფრთხოება სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა. სწორედ ამიტომ „არაბული გაზაფხული“ და მისი თანამდევო პროცესები მრავალი დარგის სპეციალისტის, არაბისტების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა და ა.შ. ყურადღების ცენტრში მოექცა. ვინაიდან თუნისის შემდეგ ეგვიპტე იყო მეორე ქვეყანა, რომელშიც რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს და სწორედ ეს ფაქტორი გახდა სირიელი ხალხის ნაწილის შთაგონების წყარო, რასაც ზემოთ აღწერილი პროცესები მოჰყვა, სტატიის მიზანია ეგვიპტესა და სირიაში მომხდარი საპროტესტო აქციებისა და შედეგების შედარებითი ანალიზი; რისი მეშვეობითაც უნდა გაშუქდეს ის მთავარი კითხვები თუ რატომ განვითარდა მოვლენები ეგვიპტეში სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე და დაემხო მმართველი რეჟიმი, ხოლო სირიაში რამ გამოიწვია საპროტესტო აქციების გადაზრდა არნახულ სისხლის ღვრაში და გარე ძალების დახმარების გარდა, რა შიდა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს ხელისუფლების სადავეების შენარჩუნებაში.

ორივე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ბევრი საერთო მიზეზი გააჩნდა. ჰუსნი მუბარაჟი 30 წლის განმავლობაში მართავდა ეგვიპტეს, ასადების ოჯახი კი თითქმის ნახევარი

საუკუნის განმავლობაში იმყოფება სირიის სათავეში. ჰაფიზ ალ-ასადმაც და მუბარაქმაც თავიანთ მემკვიდრეებად საკუთარი შვილები შერაჩიეს (**გურემიძე, 2017:62**). თუმცა ეგვიპტის პრეზიდენტის ჩანაფიქრი წარუმატებელი აღმოჩნდა. ასევე ორივე ქვეყნის ლიდერების მართვის სტილი სრული ავტორიტარიზმის გამოხატულება იყო. კიდევ ერთი მსგავსება არის ის, რომ ეგვიპტეშიც და სირიაშიც ძალოვანი სტრუქტურები სრულად დომინირებდნენ ქვეყნის მმართველ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სტრუქტურებში. ყოველივე ზემოთ თქმულს თან ერთვოდა ორივე ქვეყანაში მრავალი ათწლეულის განმავლობაში მოქმედი საგანგებო კანონი (**4, 2006**), რომელიც პრეზიდენტებს, მმართველ პარტიასა და ძალოვნებს განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა, რაც პარალელურად ხელს უწყობდა სოციალური უთანასწორობის გაღვივებასა და ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოხატვის ჩახშობას. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს მასობრივი საპროტესტო აქციები და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნები მუბარაქისა და ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ. რევოლუციური პროცესების გამომწვევი მიზეზები ჩანს, რომ მსგავსი და თითქმის ერთნაირი იყო, თუმცა ხელისუფლებების მხრიდან გადადგმული საპასუხო ნაბიჯები აბსლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა, რამაც თავისთავად განაპირობა „არაბული გაზაფხულის“ დიამეტრალურად საპირისპირო შედეგები ეგვიპტესა და სირიაში.

ყველაზე საგულისხმო განმასხვავებელი ნიშანი ამ ორ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს შორის არის ის, რომ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც სამოქალაქო დაპირისპირება აქტიურ რეჟიმში გადავიდა და კულმინაციას მიაღწია, რეჟიმს დაუპირისპირდნენ სალაფიტური (**5, 608**) დაჯგუფებებიც. ხელისუფლების მხრიდან დათმობა და პრეზიდე-

ნტის გადადგომა, ავტომატურად ნიშნავდა არა მხოლოდ ძალაუფლების სადავეებისა და ბერკეტების დაკარგვას, არამედ მთელი მმართველი ელიტის ფიზიკურ განადგურებასაც. ეგვიპტეში კი ჰუსნი მუბარაქის გადადგომის შემდეგ, გარდამავალ ხელისუფლებასთან ერთად ქვეყანას ისევ მართავდა სამხედრო საბჭო, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელისუფლებო შტოებში მოხვედრილი ელიტური კლანების ინტერესები მეტწილად წინანდებურად იყო დაცული. „მუსლიმი ძმების“ წევრის პრეზიდენტ მუჰამმად მურსის შიდა პოლიტიკურმა კურსმაც ხელი შეუწყო იმას, რომ მმართველი კლანები არ გახდნენ იძულებული თავიანთი გავლენის სფეროებისა და ბიზნეს ინტერესების შენარჩუნების მიზნით, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებები, რაც ქვეყანას საბოლოოდ სისხლის მღვრელ დაპირისპირებაში ჩაითრევდა. კერძოდ, მურსი მხარს უჭერდა სამხედროების პრივილეგირებულ მდგომარეობას. გადამდგარი ოფიცრები იკავებდნენ მინისტრების, გუბერნატორებისა და მაღალი ადმინისტრაციული მუშაკების თანამდებობებს. „ძმებმა“ სამხედრო ელიტას შეუნარჩუნეს ნახევრად ავტონომიური სტატუსი 2012 წელს შემუშავებულ ახალ კონსტიტუციაში; რომლის თანახმადაც არმიას უნარჩუნდებოდა საკუთარი ბიუჯეტი, სამოქალაქო ბიზნესიდან შემოსული მოგება, სამთავრობო და სამოქალაქო კონტროლის გარეშე (6).

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ ეგვიპტეში „არაბული გაზაფხულის“ შედეგად სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილება განაპირობა ქვეყნის სამხედროებში არსებულმა ერთსულოვნებამ. კერძოდ იმ გარემოებამ, რომ მთლიანად სამხედრო ელიტა შეთანხმდა ჰუსნი მუბარაქის პოსტიდან გადაყენებაზე (გურეშიძე, 2017:62). ასევე იმანაც, რომ მიუხედავად იმისა, „მუსლიმი ძმები“ ილსამისტური ორგანიზაც-

იას და მათ თავის დროზე გამოეყო რამოდენიმე ექსტრემისტული დაჯგუფება, ეს ასოციაცია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მთლიანად პოლიტიკურ აქტივობაზე გადავიდა და უარი თქვა ძალადობრივ ქმედებებზე.

სირიაში კი სწორედ სამხედროებს შორის არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია სამოქალაქო ომი და ჯიჰადისტური ორგანიზაციების გაძლიერება. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას ამყარებენ შემდეგი ფაქტები: ჯერ კიდევ ჰაფიზალ-ასადი, მიუხედავად მისი უზარმაზარი გავლენისა და სახელუფლებო ბერკეტების ფლობისა, სამხედრო ელიტის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ თავისუფლად მოქმედებას მუდმივად ვერ ახერხებდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია თავის დროზე სამხედროების ზეწოლის შედეგად მისი ძმის, რიფატის თანამდებობიდან გათავისუფლება და საფრანგეთში დროებით საცხოვრებლად გაგზავნა, ვინაიდან ჰაფიზ ალ-ასადის სამხედრო გარემოცვა მის ძმას ხელისუფლების უზურპაციაში ადანაშაულებდა (8). 1963 წლის რევოლუციის შემდგომ და 60-იანი წლების ბოლომდე ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ელიტის ძირითად ბირთვს ალავიტები შეადგენდნენ, კერძოდ ჰაფიზ ალ-ასადის ნუმაილითილაჰების კლანიდან და მათავირაჰების ტომიდან (9, 2016:119-143). მაღალი რანგის ოფიცერთა კორპუსში სუნიტებიც შედიოდნენ, რომლებიც თავიანთი ნათესაური კავშირებით ნახევრად ალავიტები იყვნენ და ჰაფიზ ალ-ასადის უახლოეს და უერთგულეს გარემოცვას წარმოადგენდნენ. ვიცე პრეზიდენტი 1984-2005 წლებში აბულ ჰალიმ ხადამი იყო სუნიტი, მისი ცოლი მათავირაჰების ტომიდან, პრემიერ-მინისტრი აბდ არ-რაუფ ალ-კასიმი, სახალხო საბჭოს ვიცე-სპიკერი, მაჰმუდ აზ-ზუბი, ბაასის პარტიის გენერალური მდივნის თანაშემწე აბდ ალ-ლაჰ ალ-აჰმარი, შეაიარაღებული ძალების მეთაური

ჰიქმათ შიჰაბი იყვნენ ის სუნიტები, რომელთაც მაღალი პოსტები ეკავათ 1987 წელს. თავდაცვის მინისტრი მუსტაფა თლასი შერეული ოჯახის წარმომადგენელი იყო, მამით სუნიტი, დედით ალავიტი. სუნიტთა უმრავლესობას, რომლებიც დაწინაურდნენ შეიარაღებულ ძალებში, ქვეყნის სათავეში ბაასის პარტიის (10) მოსვლის შემდეგ, ერთნაირი წარმომავლობა გააჩნდათ. შიჰაბი და თლასი დაიბადნენ და გაიზარდნენ სოფელში და მათი ოჯახები არა ძველ, პრივილეგირებულ სუნიტურ ზედა ფენას, არამედ უმცირესობის მიერ ახლად ჩამოყალიბებული სოციოეკონომიკური კლასის ელიტას წარმოადგენდნენ (11).

1963 წლიდან, ქვეყნის სათავეში ბაასის პარტიის მოსვლას მოჰყვა სერიოზული ცვლილებები არმიის რიგებში და მოხდა მისი როლის ტრანსფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში. ახალმა ხელისუფლებამ ინტენსიურ რეჟიმში დაიწყო შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, ფუნქციებისა და სტრუქტურის ცვლილებები - ახლად დანიშნული ალავიტი ოფიცრების რაოდენობამ 90%-ს გადააჭარბა, ბაასის პარტიული და იდეოლოგიური ელემენტების ჩართვამ არმიის რიგებში, ფაქტობრივად არმიისა და ბაასის პარტიის შერწყმა მოახდინა, რამაც აღნიშნული სტრუქტურა აქცია ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ძალად სირიაში (12).

ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდიდან სამხედროები და განსაკუთრებით ოფიცერთა კორპუსი, სარგებლობდნენ პრივილეგიებით. მათ შეეძლოთ საბაზრო ფასზე იაფად შეეძინათ სასურველი უცხოური და ძვირფასი საქონელი სამხედრო კოოპერატივებში, რომელთა ყიდვა შეუძლებელი იყო სხვა სავაჭრო დაწესებულებებში. ასევე ეძლეოდათ უპროცენტო სესხები სახლების და ვილების დიდი მიწის ნაკვეთებთან ერთად შეძენისთვის. მათ საკუთრებაში ჰქონდათ გადაცე-



მული ნაყოფიერი მიწები და სხვა სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით სარგებლობდნენ უფასო სამედიცინო მომსახურებით, ტრანსპორტით, საწვავით. ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ სირია 1967 წლიდან საომარ მდგომარეობაში იმყოფება ისრაელთან, ხელისუფლება მუდმივად აკმაყოფილებდა არმიის მხრიდან საზღვარგარეთული ძვირად ღირებული თანამედროვე იარაღისა და ტექნიკის შეძენის მოთხოვნებს. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის ქვეყანა 11 მილიონ 338 ათასიანი მოსახლეობით, 404 ათას კაციანი შეიარაღებული ძალების საჭიროებებისთვის ხარჯავდა ბიუჯეტის 30-35%-ს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 11%-ს შეადგენდა (**13, 2002:160**). ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად საგულისხმო ინფორმაციებზე წვდომის საშუალებას იძლევა კარნეგის ცენტრი. აღნიშნული მასალა კრავს მსჯელობას და პასუხს იძლევა იმ შეკითხვაზე, თუ რატომ დაიცვა ბოლომდე სამხედრო ელიტის ნაწილმა არსებული რეჟიმი. კერძოდ, საუბარია დაპიეთ ალ-ასადზე ან „ასადის გარეუბანზე“, რომელიც მდებარეობს დამასკოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ქვეყნის უმსხვილესი სამხედრო საცხოვრებელი კომპლექსია, რაც თავის მხრივ ნათლად წარმოაჩენს თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა. საცხოვრებელი კომპლექსი, სასაუბრო ენაზე დაპიად ცნობილი, ოფიცრებს საშუალებას აძლევს მათ საკუთებაში იქონიონ უძრავი ქონება დამასკოში. მათი უმრავლესობა სირიის სოფლებიდან გამოსული ღარიბი ოჯახებიდან არიან, რომელთაც ქალაქში საცხოვრებელი ადგილის შეძენის საშუალება არ გააჩნიათ. სამხედრო დასახლებამ მათ საშუალება მისცა სოციალური წინსვლისთვის, მაგრამ სირიისდან-არჩენი საზოგადოებისთვის, თავიანთი პროვინციული წარმომავლობის გამო, მაინც მიუღებლებად რჩებიან და მათ მიმართ



არსებობს დამამცირებელი ეპითეტი „სანდღებიანი ჯარი“. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ადგილი სადაც ოფიცრები და მათი ოჯახები ცხოვრობენ, აყალიბებს მკაფიო იდენტობას, რომელიც გამოყოფს მათ სირიის დანარჩენი საზოგადოებისგან, და რჩებიან რეჟიმზე დამოკიდებულები.

ცხოვრების ყველა ატრიბუტი და გარანტირებული სოციალური რესპექტაბელობა უზრუნველყოფილია და დამოკიდებულია რეჟიმზე. 2000 წელს, როდესაც გარდაიცვალა ჰაფიზ ალ-ასადი, დაჰიეთ-ში მცხოვრებმა მრავალმა ოფიცრმა საკუთარი ოჯახის წევრები უკან სოფლებში დააბრუნეს და ელოდებოდნენ თუ რა სახისგარემოებები და სიტუაცია შეიქმნებოდა ქვეყანაში. ისინი დაბრუნდნენ მას შემდეგ, რაც ბაშარ ალ-ასადი გახდა პრეზიდენტი. ოფიცრებიც და სხვა სამოქალაქო სახელმწიფო მოსამსახურეები აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ მათი ცხოვრება დამასკოში დამოკიდებული იყო რეჟიმის არსებობასთან და არა მათ სტატუსზე.

სირიაში არსებობს სამხედრო საცხოვრებლების ორი სისტემა. პირველი უზრუნველყოფს აქტიური მოსამსახურეების ცხოვრებას საკუთრების უფლების გარეშე ისეთ სამხედრო-საცხოვრებელ კომპლექსებში, როგორებიცაა ქატანა დამასკოში, რაიანი ჰომსში და საიდა დარაში. მეორე სისტემის თანახმად კი შესაძლებელია სპეციალური ფასდაკლების შედეგად სახლის შეძენა არმიისთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროგრამის ფარგლებში. თეორიულად ნებისმიერ სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია გააკეთოს განცხადი საცხოვრებელზე, თუმცა თანხმობის მიღება დამოკიდებულია მათზე, ვისაც დე ფაქტო გააჩნია უფლება უძრავი ქონების გადაცემის ან უარის თქმაზე. მსგავსი ტიპის დასახლებები არსებობს დაირ აზ-ზურში, ალეპოსა და ტარტუსშიც. აღნიშნული დასახლებების

მშენებლობას საფუძველი 1980-იანი წლებიდან ჩაეყარა, თავდაცვის მინისტრ მუსტაფა თლასის მიერ, სადაც ოფიცრებმა ჩასახლება 1990-იანი წლებიდან დაიწყეს და 2011 წლისთვის კომპლექსი მოიცავდა 250 ჰექტარს, 100 ათასი მაცხოვრებლით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაჰია არ წარმოადგენს მაღალჩინოსანი ოფიცრების მდიდრულ საცხოვრებელ ტერიტორიას. იქ არ არსებობს სამოქალაქო მომსახურების გამართული სისტემა, ქუჩები კეთილმოუწყობელია, ხშირად ითიშებოდა ელექტრო ენერგია და წყალი, დასახლების კიდევ ერთი პრობლემაა გარეუბანში არსებული ნაგავსაყრელიც, რომლისგან წამოსული ცეცხლის კვამლი და მაწანაწალა ძაღლები, ამ დასახლების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. 2000-იანი წლებიდან დაჰიაში სამხედრო მოსამსახურეების გარდა დაიწყო სამოქალაქო პირების ნაკადის ზრდაც. 2011 წლისთვის დასახლებაში 60%-ს მოქმედი და გადამდგარი სამხედროები, ასევე სპეცსამსახურების თანამშრომლები შეადგენდნენ, დანარჩენ 40%-ს კი სამოქალაქო პირები. სამოქალაქო პირების რაოდენობის ზრდამ ისიც გამოიწვია, რომ აღნიშნულ რაიონში მაცხოვრებელმა ოფიცრებმა თავიანთი საკუთრება კიდევ უფრო მეტად აღიქვეს როგორც საკუთარი ფინანსური აქტივი, რადგან იმავე წლის მონაცემებით, რაიონის შედარებით პრესტიჟულ ნაწილში საცხოვრებელების ფასი 30 მილიონ ლირამდე (600 ათასი დოლარი) გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ „არაბულ გაზაფხულამდე“ 5 წლის განმავლობაში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა არასამხედრო პირების ჩასახლება დაჰიაში და სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა სამოქალაქო ტიპის დასახლებას, სამოქალაქო ომმა აჩვენა, რომ ეს რაიონი მაინც სამხედრო ტიპის დასახლებად დარჩა და სამხედროებისთვის არსებულმა ზემოთ აღწერილმა სარგებლებმა გამოიწვია ოფიცრების მტ-

---

კიცე შეკავშირება. ბევრი ოფიცრისთვის დაჰია წარმოდგენდა სოცალური ზრდის სწრაფ საშუალებას.

იქ მცხოვრები ოფიცრების აბსოლუტური უმრავლესობა, განურჩევლად სუნიტებისა და ალავიტებისა, საშუალოზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და ადგილზე არ გააჩნიათ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივები. ალავიტი ოფიცრები ჯაბლეჰის, ლატაკიისა და ტარტუზის სოფლებიდან არიან, სუნიტები კი ალეპოს, დარაასა და რა'ყას მსხვილი ურბანული ცენტრების სოფლებიდან. მათთვის სამხედრო სამსახური არის საშუალება, რომელიც მრავალ პერსპექტივას უხსნის ახალგაზრდებს, ესენია შემოსავლის წყარო, დედაქალაქში საცხოვრებლის შექმნა (რაც სირიელი ახალგაზრდა სამხედროებისთვის პირადი წარმატების მწვერვალად ითვლება) და მრავალი მათგანისთვის თავიანთი შვილების დედაქალაქში გაზრდისა და განათლების მიცემის ერთადერთი რეალური საშუალება. ასევე სამხედრო-საცხოვრებელ კომპლექსში მათ შეუძლიათ ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებითაც, ვინაიდან მთელ ქვეყანაში ყველაზე მოწინავე საავადმყოფო თიმრინი სწორედ ამ დასახლებაში მდებარეობს. „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ მართალია კიდევ უფრო გაღრმავდა დაპირსპირება სუნიტ და ალავიტ ოფიცრებს შორის, მაგრამ კონკრეტულად დაჰიაში მათმა უმრავლესობამ დაივიწყა კონფესიური განსხვავებულობა, რათა მყარი კავშირის მეშვეობით დაეცვათ საკუთარი თავი და საკუთრება გარე საფრთხეებისგან. საბოლოოდ რაიონი გადაიქცა მძლავრ სამხედრო ფორპოსტად, რომელიც არა მარტო თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა, არამედ მეზობელ რაიონებზე ეფექტური შეტევის განხორციელების საშუალებასაც იძლეოდა.

## დასკვნა

მასალების დამუშავებისა და გაანალიზების შედეგად იკვთება ორი ფაქტორი: 1) ორივე ქვეყნის მაგალითიდან ჩანს, რომ ეგვიპტეშიც და სირიაშიც მმართველი რეჟიმების მიერ შექმნილი პრივილეგირებული სამხედრო კასტები არ შეურიგდნენ თავიანთი გავლენის სფეროებისა და ფინანსური სარგებელის დაკარგვას. 2) ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ავტოკრატიული რეჟიმების მმართველობით და პარალელურად ყალიბდება გამორჩეული მდგომარეობის მქონე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა კასტა, რომელსაც ხელისუფლების დათმობის შემთხვევაში, არათუ ძალაუფლების ბერკეტებისა და კეთილდღეობის დაკარგვა, არამედ ფიზიკური მოსპობა ემუქრება, სახელმწიფოს ნებისმიერი ფართო მასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლების შემთხვევაში, სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე აყენებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.aljazeera.com/topics/events/idlib-battle-syria.html>  
<https://www.aljazeera.com/news/2019/05/turkey-backed-fighters-join-forces-hts-rebels-idlib190522172523064.html>;
2. <http://www.la.utexas.edu/users/chenry/pmna/coursemats/2009/batatu-4326249.pdf>;
3. Gureshidze, S.(2017). „*Egvip't'is Samkhedro Sabch'o da „Arabuli Gazapkhuli“ (Egvip't'is Samkhedro Sabch'o „Arabuli Gazapkhulis“ K'uluarebshi*“). Sakartvelo-Iranis P'olit'ik'uri, Ek'onomik'uri da K'ult'uruli Urtiertobebisadmi Midzghvnili Mesame Saertashoriso K'onferentsiis Shromebi: Tbilisi). (გურეშიძე, ს. (2017). „*ეგვიპტის სამხედრო საბჭო და „არაბული გაზაფხული“ (ეგვიპტის სამხედრო საბჭო „არაბული გაზაფხულის“ კულუარებში*“). საქართველო-ირანის პოლ-

იტვიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომები: თბილისი);

4. <http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2006/04/30/AR2006043001039.html?noredirect=onhttps://www.reuters.com/article/us-syria/syrias-assad-ends-state-of-emergency-idUSTRE72N2MC20110421http://emediatc.com/PublicFiles/File/%D8%AF%D8%B3%D8%AA%D9%88%D8%B1%20%D8%A7%D9%84%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A9%20%D8%A7%D9%84%D8%B9%D8%B1%D8%A8%D9%8A%D8%A9%20%D8%A7%D9%84%D8%B3%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A9%201973.pdf>;
5. Salapit'ebi Ech'odeba Ch'inap'arta (Al-Salapi Al-Salahis) Ideebsa da P'rakt'ik'as. Salapit'ta Midgoma Uarqops Gviandel T'raditsiebsa da Shemdgomshi Sasuliero Sk'olebis Mier Shemushavebul Ideebs, Mati Mots'odebis Mixedvit Mxolod Qurani da Suna Itvleba Islamis Autent'ur Bazisad. (სალაფიტები ეწოდებათ წინაპართა (ალ-სალაფი ალ-სალიჰის) იდეებსა და პრაქტიკას. სალაფიტთა მიდგომა უაყოფს გვიანდელ ტრადიციებსა და შემდგომი სასულიერო სკოლების მიერ შემუშავებულ იდეებს, მათი მოწოდების მიხედვით მხოლოდ ყურანი და სუნა ითვლება ისლამის აუთენტურ ბაზისად). Encyclopedia of Islam and the Muslim World. P: 608.;
6. <https://www.mei.edu/publications/egypts-military-business-ne-ed-change>;
7. Gureshidze, S.(2017). „Egvip't'is Samkhedro Sabch'o da „Arabuli Gazapkhuli“ (Egvip't'is Samkhedro Sabch'o „Arabuli Gazapkhulis“ K'uluarebshi“). Sakartvelo-Iranis P'olit'ik'uri, Ek'onomik'uri da K'ult'uruli Urtiertobebisadmi Midzghvnili

- 
- Mesame Saertashoriso K'onferentsiis Shromebi: Tbilisi). (გურეშიძე, ს. (2017). „ეგვიპტის სამხედრო საბჭო და „არაბული გაზაფხული“ (ეგვიპტის სამხედრო საბჭო „არაბული გაზაფხულის“ კულუარებში“). საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომები: თბილისი);
8. [www.public-library.uk/dailyebook/Syria%20-%20a%20country%20study.pdf](http://www.public-library.uk/dailyebook/Syria%20-%20a%20country%20study.pdf) gv.;
  9. *A HISTORY OF THE 'ALAWIS \* From Medieval Aleppo to the Turkish Republic.* (2016). STEFAN WINTER. Princeton University Press Princeton and oxford;
  10. <http://www.public-library.uk/dailyebook/Syria%20-%20a%20country%20study.pdf>;
  11. <https://www.merc.org/roots-alawite-sunni-rivalry-syria>;
  12. *Армия и власть в Ближнем Востоке:* (Сборник Статией) М., (2002). Ответственный редактор В. Ахмедов. Институт изучения Израиля и Ближнего Востока. Москва;
  13. <https://carnegie-mec.org/2015/11/04/assad-s-officer-ghetto-wh-y-syrian-army-remains-loyal-pub-61449>.

## Unknown Archive Materials about XIX-XX Century Southern - Western Georgia Evaluated by Foreigners

**Otar Gogolishvili,**

Professor

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of history, archeology and ethnology  
Georgia, Batumi  
otar.gogolishvili@bsu.edu.ge

**Emzar Makaradze**

Professor

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies,  
Georgia, Batumi,  
emzar.makaradze@bsu.edu.ge

### Abstract

The historic fate of One of the most important regions of Georgia is really special. By the wrongness of historic fate, this strong hearth of Georgian civilization was separated from the united Georgian organism and transformed as a component part of other country, but its residents did not forget the love and respect of their native language. AAs a result of the war between Russia and Ottoman Empire (1877-1878), this region returned to its motherland, but this time the Caucasian administration of Russian

empire was trying to hinder its development and confront this side to the rest of Georgia. In Russian leaders' opinion, it should transform to an important bridge-head for Russian expansion in the near east and platform for implementation of far-reaching plans of empire.

Foreigners were also interested in this region of Georgia. They visited to this region at many times and left us important information about political, social, economic and cultural-educational life of the southwestern Georgia of that time (XIX-XX cc.).

**Keywords:** Georgia; Archive Materials.



---

## უცნობი საარქივო მასალები, უცხოელების მიერ შეფასებული XIX-XX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ

### ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა  
და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.  
otar.gogolishvili@bsu.edu.ge

### ემზარ მაკარაძე

პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
emzar.makaradze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ბედი, მართლაც, გამორჩეულია. ქართული ცივილიზაციის ეს მძლავრი კერა, ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო, ძალით მოწყვეტეს ერთიან ქართულ ორგანიზმს და სხვა სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად გადააქციეს, მაგრამ მის მკვიდრთ ვერ დაავიწყეს მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა. რუსეთ-ოსმალეთს შორის წარმოებული ომის (1877-1878 წ.წ.) შედეგად, იგი კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს, მაგრამ ამჯერად, რუსეთის იმპერიის კავკასიური ადმინისტრაცია აფერხებდა მის განვითარებას და ცდილობდა ეს მხარე დაეპირისპირებინა დანარჩენი საქართველოსათვის. რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა აზრით, იგი უნდა გადაქცეულიყო ახლო აღმოსავლეთში რუსული ექსპან-

---

სიის მნიშვნელოვან სამხედრო ფორპოსტად და იმპერიის შორსგამიზნული გეგმების განხორციელების პლაცდარმად.

საქართველოს ამ რეგიონით უცხოელებიც დაინტერესდნენ. ისინი ამ მხარეს არაერთხელ ეწვივნენ და დაგვიტოვეს საყურადღებო მასალები იმდროინდელი (XIX-XXს.ს.) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ.

**საკვანძო სიტყვა:** დასავლეთ საქართველო; უცხოელთა ჩანაწერები.

### **მსჯელობა**

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ბედი, მართლაც, გამორჩეულია. ქართული ცივილიზაციის ეს მძლავრი კერა, ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო, ძალით მოწყვიტეს ერთიან საქართველოს და სხვა სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად გადააქციეს, მაგრამ მის მკვიდრთ ვერ დაავიწყეს მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა. რუსეთოსმალეთს შორის წარმოებული ომის (1877-1878 წ.წ.) შედეგად, იგი კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს, მაგრამ, რუსეთის იმპერიის კავკასიური ადმინისტრაცია ყოველმხრივ აფერხებდა მის განვითარებას და ცდილობდა ეს მხარე დაეპირისპირებინა დანარჩენი საქართველოსთვის. რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა აზრით, იგი უნდა გადაქცეულიყო ახლო აღმოსავლეთში რუსული ექსპანსიის მნიშვნელოვან სამხედრო ფორპოსტად და იმპერიის შორსგამიზნული გეგმების განხორციელების პლაცდარმად.

საქართველოს ამ რეგიონით უცხოელებიც დაინტერესდნენ. ისინი ამ მხარეს არაერთხელ ეწვივნენ და დაგვიტოვეს საყურადღებო მასალები იმდროინდელი (XIX-XX სს.) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ.

საინტერესოა ინგლისელი საქმოსნის მარტინ ბოლის 1804 წლის დოკუმენტი, რომელიც ეხება აგვისტოს თვეში მის ყოფნას ბათუმში, რომელიც სტამბულიდან ჩამოვიდა.

მარტინ ბოლი საუბრობს იმდროინდელი ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. იგი ქალაქში სამ თვეს გაჩერებულა და დაავადებულს დაუტოვებია იქაურობა.

ბოლი აღნიშნავს, რომ ბათუმი ძალიან ბინძური და უწყსრიგო ქალაქია, თუმცა ქალაქი მას არ ეთქმის, სულ სამი ქუჩაა და თითოეული ქუჩის ბოლოს სასაფლაოა. ეს სასაფლაოები იმდენად მოუვლელია, რომ სიცხეში იქაურობა ყარს. ბათუმის ჰავა აუტანელია - წერს ინგლისელი ბოლი. „ქალაქში მუდმივად არავინ ჩერდება. ვინც ჩადის მალე ტოვებს ბათუმს. მეც შემეყარა ავადმყოფობა და იძულებული ვარ დავტოვო ეს ქალაქი“. როდესაც მოსახლეობაზე საუბრობს, ბოლი აღნიშნავს, რომ ქალაქში ძირითადად თურქულად საუბრობენ, მაგრამ გაიგონებთ ბერძნულსაც და ალაგ-ალაგ ლაზურსაც. ქალაქში არ არის არცერთი საზოგადოებრივი დაწესებულება. თუ არა ჩავთვლით ორ ყავახანას, სადაც თავს იყრის ქალაქის ყველა მცხოვრები. ბათუმის პორტი მოუწყსრიგებელია და ამის გამო გემები არ შემოდის. ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში სულ ორი თურქული გემი შემოვიდა და ისიც სწრაფად უკან გაბრუნდა... ასეთია ინგლისელის შეხედულება 1804 წლის ბათუმზე (სცსია,გ.124,აღწ.14,საქმე567, ფურც.100).

1810 წლის ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ფრანგები ლუი კუპერი და მარსელ ფონტრიე. მათი ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1810 წლის ოქტომბერში ისინი ყოფილან ბათუმში. მიუთითებენ, რომ თურქებმა ბათუმში დაიწყეს კეთილმოწყობითი სამუშაოები, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ფრანგები აღნიშნავენ, რომ მუშებს შორის ზანგებიც არიან, ისინი გასაუბრებიან მათ და შეუტყვიათ, რომ ზანგები მოვიდნენ ჩრდილო აფრიკიდან, რამდენიმე მათგანი კიდევაც დასახლდა ბათუმში. თურქეთის ხელიოსუფლებამ მათ ამის ნება დართო. თურქეთის ბათუმელი ხელმძღვანელისათვის აიგო ხის ორსართულიანი შენობა.

ბათუმის ხელმძღვანელი ერთი ჩასუქებული, არასიმპატიური ადამიანი ყოფილა. როგორც თვითმხილველი აღნიშნავს, ის ხშირად გადიოდა ქალაქიდან და დიდხანს არ ბრუნდებოდა უკან. ამის გამო უკმაყოფილო მოსახლეობა საჩივრებს გზავნიდა სტამბულის ხელისუფლებასთან. ჩვენი იქ ყოფნის დროს ბათუმში მოხდა საზარელი მკვლელობა, ეჭვიანობის ნიადაგზე ქმარმა ცოლს ყელი გამოლადრა და ამოხოცა ქალის საყვარელი და მისი ოჯახის წევრები. ეს კაცი დააკავეს და გაასამართლეს სპეციალურად სტამბულიდან ჩამოსულმა მოსმართლეებმა.

სასამართლო პროცესი ქალაქის მთავარ მოედანზე გაიმართა და მას მთელი ბათუმისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა დაესწრო. მოსამართლემ ხალხს მიმართა თუ რა სახის განაჩენი გამოეტანა. მოსახლეობამ დაიყვირა, რომ მკვლელი უნდა ჩამოახრჩოთო. მართლაც მკვლელი იქვე ბოძზე ჩამოკიდეს და იგი იქ ორი დღის განმავლობაში იყო, შემდეგ ჩამოხსნეს, მაგრამ არ ვიცით სად დამარხეს...

ფრანგები აღნიშნავენ, რომ ბათუმის პორტში გემები ხშირად შემოდის და ქალაქში შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი. აი ასეთი შეხედულების არიან ფრანგები 1810 წლის ბათუმზე. ჩანაწერების დანარჩენები ნაწილი ეძღვნება შავიზღვისპირეთის სხვა ადგილებს, რა თქმა უნდა ისიც საყურადღებოა და საინტერესოა მკვლევართათვის, მაგრამ მის განხილვას ამჯერად არ შევეუდგებით (სპსია, კავკასიის ფონდი №574, საქმე 1234, ფურც. 11).

როგორც ჩანს, განსაკუთრებით გახშირდა უცხოელების ვიზიტები ბათუმში 1820 წლიდან. ეს ალბათ გამოწვეული იყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის მომავალი ომის მიზეზებით. ბათუმში ამ დროიდან საკმაო რაოდენობით რუსებიც გვხვდება. მაგალითად, 1821 წელს ბათუმში ყოფილან ნიკოლაევი, დავიდოვი და სერგეევი. მათ ბათუმის შესახებ არ დაუტოვებიათ არანაირი ჩანაწერები. ოსმალეთის ხელისუფლებას ეჭვი აუღია სერგეევზე, რადგანაც ის ყავახანის ხშირი სტუმარი ყოფილა და საუბრობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ის დაუკავებიათ, მაგრამ შემდეგ გაუნთავისუფლებიათ (სპსია, კავკასიის ფონდი № 574, საქმე 1234, ფურც. 67).

1822 წლის აპრილში ფრანგული გემით ბათუმში შემოსულა და რამდენიმე ხნით დარჩენილა ალესანდრე კოსტილევსკი. საარქივო მასალიდან არ ჩანს, თუ იგი რომელი სახელმწიფო უწყების მოხელე იყო, მაგრამ მისი ნაამბობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოსტილევსკი სამხედრო სადაზღვევო საქმიანობისათვის უნდა ყოფილიყო ბათუმში ჩასული. კოსტილევსკი აღნიშნავს, რომ: „რუსეთს ბათუმისთვის მომავალი ბრძოლის დროს დიდი წინააღმდეგობა შეხვდება. ოსმალეთის ხელისუფლება ქალაქს საგანგებოდ ამაგრებს. მის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ააგეს ხელოვნური სიმაგრე,

რომელიც აკონტროლებს აკვატორიაში მოძრავ ყველა საშუალებებს. ასეთივე სიმაგრის მშენებლობაა დაწყებული პორტის დასავლეთის მიმართულებით. ქალაქში მოძრაობენ ოსმალთა ჯარისკაცები, მოსახლეობაზე ვერ ვიტყვი, რომ ჭრელია. უმეტესობა ოსმალთაა, მაგრამ ქალაქში ზოგჯერ ოსმალეთის მეზობელი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართველებიც შემოდინან და ქალაქში ვაჭრობენ. ისინი განსაკუთრებული კონტროლ ქვეშ ყავთ აყვანილი ოსმალეთის ხელისუფლებას. ძირითადად ვაჭრობენ საყოფაცხოვრებო საქონელით. ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს პორტთან ახლოს მყოფ ორ დიდ მაღაზიას, საიდანაც ვაჭრობენ პირდაპირ გემებიდან შემოტანილი საქონლით. ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე წარმოშობით ინგლისელია, მაგრამ გათურქებული... ქალაქიდან გარეუბნებისაკენ დაწყებულია გზების მშენებლობა, მშენებლობას აწარმოებს გერმანელი ინჟინრები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს გზები სამხედრო დანიშნულებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული...“ შემდეგ კოსტილევსკი საუბრობს მოსახლეობის ჩაცმულობაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, მაგრამ მოცემულია მხოლოდ მწირი, ზედაპირული ცნობები (სპსია, კავკასიის ფონდი №574, საქმე 1234, ფურც. 99-101).

მსგავსი ცნობებია მოყვანილი 1823 წელს ბათუმში მყოფი რუსეთის ქვეშევრდომის სემიონ გინზბურგის მონათხრობიდან, რომელიც მიუთითებს, რომ მასთან საუბარში ოსმალებს აღუნიშნავთ, რომ რუსეთი ვერ შეძლებდა ბათუმის ხელში ჩაგდებას. ის იმასაც აღნიშავს, რომ ბათუმში იგი შეხვდა სომეხ და ბერძენ მოსახლეობას და გაარკვია, ისინი რუსეთისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი... აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პიროვნება, სემიონ გინზბურგი (ალბათ ეს უნდა იყოს, სახელი და გვარი ნამდვილად

ემთხვევა - ო.გ. ე.მ.) 1825 წელს ნამყოფია გურიაში და საინტერესოდ აღწერს გურიის საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობას. ის საუბრობს გურიის სამთავროზე და აღნიშნავს შემდეგს: „გურია მდებარეობს რუსეთის იმპერიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ადრე ეს სამთავრო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული ყოფილა. მას შემდეგ რაც იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა (თუმცა 1825 წელს იგი ფორმალურად მაინც დამოუკიდებლად არსებობდა ო.გ. ე.მ.), შედარებით მშვიდად დაიწყო ცხოვრება. მაგრამ სამთავროში ჯერ კიდევ არეულობა იგრძნობა. რუსეთის ჯარი განლაგებულია სამთავროს ტერიტორიაზე. ადგილობრივი ხელისუფლება დაბნეულია. რუსეთის ხელისუფლება ძირითადად აკონტროლებს სიტუაციას სამთავროში. ადგილობრივი მთავარი მამია ავადაა და სამთავროს ძირითადად მისი ცოლი სოფიო განაგებს, მაგრამ რუსეთის ჯარის მეთაურები მას ნაკლებ ანგარიშს უწყვენ. სამთავროს ცენტრი ოზურგეთია, რომელიც ქობხაებითაა მოფენილი. ოზურგეთში არ არის არც ერთი ხეირიანი საზოგადოებრივი ადგილი. მთავარმა მამიამ ერთი ორსართულიანი შენობა ააგო, რომლის პირველ სართულზე მაღაზია განათავსა, მეორეზე კი დუქანი.

გურულები ძალიან მოძრავი ხალხია, ისინი მიაშობდნენ, რომ ადრე მათ სამთავროში ტყვეთა სყიდვა ყოფილა გავრცელებული. ტყვეებს ყველანი ყიდნენ - დაწყებული მთავრის ოჯახიდან - დამთავრებული გლეხამდე. მათ სოფლებს ხშირად თავს ესხმოდა მეზობელი ქობულეთის მხარედან შეიარაღებული რაზმები და ხალხს იტაცებდნენ ოსმალეთში გაყიდვის მიზნით. ქობულეთი, - აღნიშნავს გინზბურგი, - როგორც ადგილობრივებმა მითხრეს, ადრე გურიის მთავრის მფლობელობაში შედიოდა, დიდი ხნის განმავლობაში მანამ,

სანამ ამ მხარეს ოსმალები დაისაკუთრებდნენ, ახლა იგი გადაქცეულია ავაზაკთა ბუდედ, რომლებიც ხალხით ვაჭრობს. არც გურულები რჩებიან ვალში, ისინიც ხშირად გადადიან ქობულეთის მხარეს და თვითონ იტაცებენ იქაურებს და თავიანთ სახლებში ამუშავებენ, ზოგს კი ოსმალებზე ყიდიან. თუ ეს თავდასხმა უშედეგოდ დამთავრდა, მაშინ გაბრაზებულები რომელიმე ტყვეს ხეზე ჩამოკიდებდნენ სხვების დასაშინებლად. ყველა გურული შეიარაღებული დადის, არიან სტუმართმოყვარენი, მაგრამ ამასთანავე ძალიან ბრაზიანები. გურიაში სუსტად არის განვითარებული აღებ-მიცემობა, ფული თითქმის არ ტრიალებს, ხდება ნატურით გაცვლა, საქონელი ძირითადად შემოდის მეზობელი იმერეთისა და სამეგრელოს მხარეებიდან. ასევე, მეზობელი ქობულეთის მხარიდან შემოდინება კონტრაბანდული საქონელი, რომელსაც ძირითადად მთავრის ოჯახის წევრები და შედარებით შეძლებული ადამიანები ყიდულობენ... გურია ძალიან ლამაზი მხარეა, თვალწარმტაცი ლანდშაფტი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთ-ერთმა რუსმა ჯარისკაცმა მითხრა, რომ ბევრ ადგილას უომია, მაგრამ ასეთი ლამაზი მხარე არსად არ შეხვედრია...“ ვფიქრობ, გინზბურგის ეს ცნობები საყურადღებოა იმდროინდელი გურიის ისტორიის შესასწავლად (სპსია, კავკასიის ფონდი № 574, საქმე 1234, ფურც. 118-124).

ბათუმის მხარის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1833 წელს ბათუმში მცირე ხნით მყოფი ავსტრიელი მოგზაური გერჰარდ ბუხვალდი. იგი ბათუმში თბილისიდან ჩავიდა და შემდეგ წასულა ტრაპიზონში, იქედან კი სტამბულში, როგორც ჩანაწერებიდან ჩანს ბუხვალდი ოსმალების მიმართ კეთილგანწყობილი პიროვნებაა. მათ შესახებ ის აღნიშნავს, რომ ოსმალები ცდილობენ მოაწესრიგონ საქალაქო



ცხოვრება. სადაც კი ვიყავი, - წერს ბუხვალდი, - ყველგან მშენებლობები მიმდინარეობს. ოსმალები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ევროპელებს, რომლებიც ოსმალეთის მიმართ კეთილად არიან განწყობილნი, ეს მე ყველგან ვიგრძენი. ასეთი დამოკიდებულება არ იგრძნობა რუსეთში და რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხებში, სადაც ევროპელებს ცივად ხვდებიან. ეს მე ვიგრძენი თბილისში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. ბათუმის შესახებ ბუხვალდი აღნიშნავს, რომ იგი ოსმალური ქალაქია, მცხოვრებელები ოსმალები არიან, გაჩაღებულია ალებ-მიცემობა, ხალხი ძალიან სტუმართმოყვარეა. თუმცა ავსტრიელი იმაზეც მიუთითებს, რომ ქალაქში არიან ბერძნები, სომხები, ზანგები და ევროპელებიც. ბუხვალდი ამჯერად აღნიშნავს, რომ ბათუმის ნავსადგური კეთილმოწყობილია, იქ საკმაო სამუშაოები ჩაუტარებია ოსმალეთის ხელისუფლებას. როგორც შევიტყვე ქალაქში ჩამოსულა ოსმალეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანი, მოუწვევია თათბირი, მიუცია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დავალება, რომ მოეწესრიგებინა ბათუმის პორტი, თან დიდი თანხების მიცემას დაპირებია. თანხები მართლაც წამოსულა სტამბულიდან, თან ცენტრიდან ბევრი მუშაც ჩამოსულა და დაუწყიათ პორტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. რამდენიმე ხანში სერიოზული სამუშაოები ჩაუტარებიათ, გაკეთდა პორტთან მისასვლელი გზები, გაფართოვდა პორტის მიმდებარე ტერიტორია, დაუწყიათ ახალი ნავსადგომის მშენებლობა, მიმდინარეობდა სამუშაოები ზღვასთან ახლოს მდებარე მდინარეზე ხიდის ასაშენებლად. ოსმალები ხვდებიან, რომ ბათუმის ნავსადგური ერთ-ერთი ხელსაყრელი შავიზღვისპირეთში და საჭიროა მისი კეთილმოწყობა. ეს აზრი ოსმალებში განსაკუთრებით მაშინ განმტკიცებულა, რაც ოსმალეთმა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, გადაიტანა დიდი

ომი რუსეთთან. ისინი კარგად ხვდებიან, რომ რუსეთი სწორედ ბათუმით იყო დაინტერესებული და ყველაფერს აკეთებდა მის ხელში ჩასაგდებად. ავტორი წერს: მე მქონდა საუბარი ბათუმში მყოფ მაღალჩინოსანთან და მან აღნიშნა, რომ ბათუმი უნდა გადაიქცეს მიუვალ და აუღებელ ციხესიმაგრედ, რომ აქ ვერ შემოაღწიოს მტერმა, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ბათუმს ვერავინ ვერ შეხედოს ავი თვალთ. ეს არის ჩვენი უმთავრესი პორტი და აქედან შევძლებთ ჩვენი ამოცანების წარმატებით, მოხერხებულად გადაჭრას და მოგვარებას - აღნიშნავს ბუხვალდი. საყურადღებოა ერთი მომენტი. ბუხვალდი ქალაქის მოსახლეობაზე საუბრისას, არსად არ აღნიშნავს, რომ ქალაქში ქართველებიც საკმაო რაოდენობით იმყოფებოდნენ, რაც სხვა ევროპელების ჩანაწერში ნათლად ჩანს. ამით იმის თქმა შეიძლება, რომ ბუხვალდი ისე გაბრაზებული იმჟამად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ხალხებზე, რომ ცდილობს გვერდი აუაროს ჭეშმარიტებას, ან კიდევ შეიძლება მას ბათუმში მცირე ხნის ყოფნისას, რასაც თვითონ აღნიშნავს, მართლაც არ შეხვედრია ქართველები, თუმცა ეს ძნელი დასაჯერებელია (სპსია, კავკასიის ფონდი № 578, საქმე 1235, ფურც.335).

ბუხვალდისაგან განსხვავებით, ბათუმში ქართველების დიდი რაოდენობით ყოფნაზე საუბრობს 1837 წელს ბათუმსა და ტრაპიზონში მყოფი ინგლისელი ოფიცერი დუგლას სტივენსი. აღსანიშნავია ის, რომ სტივენსი და მისი თანხმლები კიდევ ერთი ინგლისელი მარტინ ჰოვარდი ბათუმში ჩამოსულან ოზურგეთიდან. ისინი ასევე ნამყოფი იყვნენ თბილისში, ქუთაისში და ზუგდიდში. ინგლისელები მცირედ, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ამ ქალაქების შესახებ. ოზურგეთის შესახებ ინგლისელი აღნიშნავს, რომ ამ

ადგილას ის მხოლოდ სამი დღე გაჩერდა. მისი აზრით ოზურგეთს ქალაქი არ ეთქმის. სულ ერთი ქუჩაა და მხოლოდ სამი შედარებით კეთილმოწყობილი სახლი, რომელთაგანაც ერთი ოზირგეთის ხელმძღვანელს ეკუთვნის. ოზურგეთის აღმოსავლეთ მხარეს არის დიდი მინდორი, სადაც შაბათსა და კვირას იმართება დიდი ბაზრობა, ირევა უამრავი ხალხი, ვაჭრობენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნაწარმით, განსაკუთრებით ბევრი მუშტარი ჰყავს მსხვილფეხა საქონელს, რომელიც დიდი რაოდენობით ჩამოჰყავთ გლეხებს. ავტორი აღნიშნავს: „მე სწორედ იმ დროს მომიწია ოზურგეთში ყოფნა, როდესაც ასეთი ბაზრობა გაიმართა, ვაჭრებს შორის ოსმალებიც იყვნენ, რომელებიც ფარჩეულობას, ქიმიშისა და ფინიკს ჰყიდნენ. როგორც გავიგე, ჩხუბი არცთუ ისე იშვიათად იმართება მოვაჭრეებს შორის, სამწუხაროდ, არ მომეცა ამ მხარის უკეთ გაცნობის საშუალება, რადგანაც ძალიან მალე მომიწია მისი დატოვება“.

იმერეთის შესახებ სტივენსი ამბობს შემდეგს: „როგორც გავიგე, ქუთაისი, სადაც მე ვიყავი, ეკუთვნოდა იმერეთის სამეფოს და იყო მისი დედაქალაქი. ამ სამეფოს დიდი ხნის განმავლობაში მართავდა მეფე სოლომონი, რომელიც გმირულად იბრძოდა რუსთა წინააღმდეგ, იგი დამოუკიდებლობის მედროშე იყო და ხალხის უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდა, ნოსტალგია მის შესახებ ახლაც კი იგრძნობა ქუთაისში. სოლომონი დაამარცხეს და განდევნეს რუსებმა ოსმალეთში, სადაც ის გარდაიცვალა. ქუთაისი სხვა ქალაქებთან შედარებით დიდია და ასევე მოწესრიგებული. რუსულმა ხელისუფლებამ, რომელიც ქუთაისს განაგებს, დაიწყო სამუშაოების ჩატარება გზების მოსაწესრიგებლად. მდინარე რიონზე დაწყებული ხიდის მშენებლობა აქ მეტი კეთილმოწყობილი ნაგებობაა, არის საავადმყოფოს ქსენონი,

რამდენიმე სასტუმრო. აქაური მცხოვრებნი ამაყი და თავდაჯერებული ხალხია. უყვართ ქეიფი დუქნებში, რომლებიც რატომღაც ბევრი მეჩვენა. საინტერესოა აქაური ქორწილიც, რომლის დროსაც ახალშეუღლებულები ეტლით სეირნობენ მთელ ქალაქში, თანმხლები პირები იარაღს ჰაერში ისვრიან და ყველას აცნობებენ რომ ქორწილია. აქაური რუსული ადმინისტრაცია უცხოელების მიმართ ეჭვიანობით გამოირჩევა. ეს მე და ჩემმა მეგობარმა ვიგრძენით პირველი დღიდანვე, როდესაც ჩვენ გავჩერდით ერთ სასტუმროში. იქაურობა მალევე დავტოვეთ და გავემართეთ მეზობელ მხარეში, რომელსაც აქაურები სამეგრელოს ემახიან, იქედან გვინდოდა აფხაზეთში გადასვლა, მაგრამ ეს ვერ შევძელით“. მართლაც, სტივენსი ზუგდიდიდან ოზურგეთში წამოვიდა, იქედან კი ბათუმსა და ტრაპიზონში იმყოფებოდა, თუ რატომ შეცვალა მან მარშრუტი, ეს ცნობილი არ არის, ამის შესახებ არაფერს ამბობს, შესაძლებელია რუსებმა არ მისცეს აფხაზეთის მონახულების საშუალება, ან კიდე იყო სხვა მიზეზი, რომელიც ცნობილი არ არის(სცსია,გ.124,აღწ.14, საქმე 567, ფურც.188).

ზუგდიდის შესახებ სტივენსი ამბობს შემდეგს: „ზუგდიდი არც თუ ისე დიდი დასახლებული ადგილია. ქუთაისთან შედარებით ის გაცილებით პატარაა. სულ რამდენიმე ქუჩაა და ისიც მოუწესრიგებელი. არის რამდენიმე ახლად ნაგები ორსართულიანი სახლი. ზუგდიდიდან ძალიან ახლოს მდებარეობს აფხაზეთი, ჩვენ გვინდოდა იქ გადასვლა, მაგრამ აფხაზეთის საზღვართან დგანან რუსის ჯარისკაცები და ჩვენ არ მოგვცეს იქ შესვლის საშუალება... ზუგდიდის მოსახლეობა არაფრით არ განსხვავდება ქუთაისისა და ოზურგეთის მოსახლეობისგან, აქაც ჩოხა-ახალუხებით დადიან, ლაპარაკობენ მათ ენაზე (სტივენსი არ ამბობს მეგრულად – ო.გ. ე.მ. ),

აქაური ქალები ძალიან ლამაზები და ამაყები არიან, უყვართ კარგად ჩაცმა და სამკაულების ტარება. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ზუგდიდში მე ვნახე რამდენიმე ფრანგი საფრანგეთიდან ჩამოსული, ისინი იქ რამდენიმე თვეა რაც არიან. მათ მითხრეს, რომ რაღაც საქმეებზე ჩამოსულან ამ მხარეში (თუ რაზე - ამის შესახებ არაფერს ამბობს სტივენსი - ო. გ. ე.მ.). აქაც, ისევე როგორც ოზურგეთში დიდი ბაზრობა იმართება, სადაც ვაჭრობენ ყველაფრით, მათ შორის ოსმალეთიდან შემოტანილი საქონლით. სტივენსი არაფერს ამბობს სამეგრელოს სამთავროზე და მის ადმინისტრაციულ მოწყობაზე.

რაც შეეხება ბათუმს სტივენსი აქ შედარებით დიდხანს დარჩენილა და ყურადღებით შეუსწავლია ბათუმში არსებული იმდროინდელი სიტუაცია. ის ბათუმში ყოფილა დიდ ბაზრობაზე და აღნიშნავს, რომ როგორც მოვაჭრეებს, ასევე მყიდველებს შორის ვაჭრობენ ქართულად მოლაპარაკე ხალხი. სტივენსი გაკვირვებით ამბობს, რომ „ისინი ოზურგეთში, ზუგდიდშიც ვაჭრობენ და როგორც ჩანს თავისუფლად გადმოდიან ოსმალეთის ტერიტორიაზე. საინტერესოა ისიც, რომ, ოსმალის ჯარისკაცები საზღვარზე არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიან მათ. ერთ ადამიანს, რომელიც ზუგდიდიდან მოდიოდა სავაჭროდ ბათუმში, საზღვარზე მიუყვანია 30 სული მსხვილფეხა პირუტყვი ბათუმში გასაყიდად. ის ჯარისკაცებმა თავისუფლად გაატარეს. ასევე ბევრი ოზურგეთელი იყო ბათუმში, ისინი ჯერ ქობულეთში გამართულ ბაზრობაზე ვაჭრობენ, შემდეგ ბათუმში მიდიან სავაჭროდ, ეს ხდება სისტემატიურად. ქართველებს არა აქვთ არავითარი ხელშეშლა აქ შემოსვლის დროს და არც გასვლის დროსაც, როდესაც ნავაჭრი საქონლით უკანვე ბრუნდებიან, თუმცა, როგორც გავიგე, რუსი ჯარისკაცები მექრთამეობენ, ეს კარგად

---

იციან ქართველებმა, მათ ქრთამის მაგივრად არაყს უტოვებენ და ისინიც ისე თვრებიან, რომ ზოგჯერ მოვაჭრეები მათ იარაღსაც კი ართმევენ. ასევე, ბევრი ქართველი არის ტრაპიზონში გამართულ ბაზრობებზეც“.

ტრაპიზონში გამართულ ვაჭრობის შესახებ სტივენსი ამბობს, რომ ვაჭრობა გაცვლის წესით წარმოებს, თუმცა ფულითაც ხდება ვაჭრობა, ფულს ძირითადად ოსმალები თხოულობენ და თუ მყიდველს იგი არ აღმოაჩნდება, მაშინ გაცვლაზეც თანახმანი არიან. ტრაპიზონის შესახებ სტივენსი მიუთითებს, რომ აქ განსაკუთრებით აქტიურობენ ლაზისტანის ქართველები, ისინი დომინირებენ როგორც ვაჭრობაში, ასევე სხვა საქმიანობაში, განსაკუთრებით ხელოსნობაში. `ლაზები - ამბობს სტივენსი - „განთქმული ხელოსნები არიან. ისინი თავიანთ სახელოსნოებში ამზადებენ სხვადასხვა საგნებს და იქვე, ბაზრობებზე ყიდიან. დიდი გასავალი აქვს საბრძოლო იარაღებს, ასეთი ტრაპიზონში რამდენიმე ათეული სახელოსნოა, სადაც ამზადებენ დანებს, ხანჯლებს, ხმლებს, ასევე ცეცხლსასროლ იარაღებს. თუმცა ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვაზე გადასახადია დაწესებული. როგორც ტრაპიზონში შევიტყვე, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, კატეგორიულად აკრძალოს ცეცხლსასროლი იარაღის ოსმალეთის საზღვრებს გარეთ გატანა, საზღვარზე გამკაცრდება კონტროლი. ამ გადაწყვეტილების თანახმად, თუ ვინმეს საზღვარზე აღმოუჩენენ იარაღს, მას ციხეში უკრავენ თავს. ბათუმში ასეთი სახელოსნოები მე არ მინახავს. სტივენსი იმაზეც საუბრობს, რომ ბათუმის ოლქის მმართველობაში ძირითადად ოსმალები არიან, ხოლო ტრაპიზონის მმართველობაში კი მთავარი ადგილები ლაზების ხელშია“. ეს ძალიან საინტერესო ცნობაა.

სტივენსი იმასაც აღნიშნავს, რომ „ბათუმში ბაზრობებზე არის პურის საცხობები, სადაც აცხობენ ქართულ პურს, რომელსაც აქაურები ლავაშს ეძახის. სტივენსი გადასახადებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ბათუმის და მისი შემოგარენის მოსახლეობას სულ სხვა გადასახადები აქვთ, ვიდრე ტრაპიზონის მოსახლეობასო. ტრაპიზონში კი განსხვავებული გადასახადებია. გადასახადს ბათუმის მხარეში სულთნის მიერ სპეციალურად გამოგზავნილი მოხელეები კრეფენ, ხოლო ტრაპიზონში კი ეს საქმე ადგილობრივ ხელისუფლებას აბარია. გადასახადებზე უარის თქმამ შეიძლება გადამხდელი ციხეშიც კი მოახვედროს, ან პირიქით, ხალხის თანდასწრებით გაროზგონ. ასეთ შემთხვევას მე შევესწარი ტრაპიზონში, სადაც ერთი კაცი, რომელიც სისტემატიურად არიდებდა თავს გადასახადს, მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, მოედანზე გაროზგეს. თუმცა ასეთ ქმედებას ბათუმში ვერ გაბედავენო, ასე მითხრეს აქაურებმა და როდესაც მიზეზი ვკითხე თუ რატომ მეთქი, მიპასუხეს, ბათუმის მხარეში აჭარლები ცხოვრობენ, ისინი კი ქართველური მოდგმის ხალხია, სახიფათონი არიან და შეიძლება ასეთმა მოქმედებამ, არეულობა გამოიწვიოს, ამიტომ მათთან სიფრთხილეს იჩენს ოსმალეთის ხელისუფლება“. აი ასეთი საყურადღებო ცნობები დატოვა ბათუმის, ტრაპიზონის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და ქუთაისის შესახებ ინგლისელმა სტივენსმა (სცსია, ფ. 124, აღწ. 14, საქმე 569, ფურც. 5-34).

1842 წელს ბათუმში სამხედრო მისიით იმყოფებოდა რუსეთის არმიის ოფიცერი, პოლკოვნიკი ი. პროსკურიაკოვი. მან ბათუმის შესახებ საინტერესო ჩანაწერები დატოვა. პროსკურიაკოვი აღნიშნავს, რომ ბათუმს შეიძლება ქალაქი ვუწოდოთ. იგი აღნიშნავს, რომ ბათუმში არის რამდენიმე საინტერესო ნაგებობა, მეჩეთი. ი. პროსკურიაკოვი მიუთი-



თებს იმაზე, რომ ბათუმის ყურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს მშენებლობები, ხოლო ყურეს სამხრეთი ნაწილი უკვე საკმაოდ დასახლებული ადგილია. ასევე სამშენებლო სამუშაოები სწარმოებდა ყურეს აღმოსავლეთ სანაპიროზე. ი. პროსკურიაკოვი აღნიშნავს რომ ბათუმი არის ოლქის ცენტრი, რომელსაც ოსმალურად სანჯაყი ეწოდება. ბათუმს განაგებდნენ სანჯაყბეგები, ქალაქს ჰყავს აგრეთვე მოსამათლე, რომელიც ცალკე შენობაში ზის. იგი ითვლება აგრეთვე მთელი ბათუმის მხარის მოსამართლედაც. პროსკურიაკოვი იმაზეც მიუთითებს, რომ ადრე ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობდა სიმაგრის ქონგურებიანი გალავანი. არის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც მან თვითონ ნახა. ყურეს დასავლეთ ნაწილში და ბაზრობისათვის გამოყოფილია ადგილი, ამავე ნაწილში მდებარეობს ბათუმის სანჯაყბეგისა და ინგლისის რეზიდენტის სახლი, ცოტა მოშორებით კი რამდენიმე დუქანია, საიდანაც საღამოობით არც თუ იშვიათია აყალმყალი. ინგლისის რეზიდენტმა მოსთხოვა ბათუმის სანჯაყბეგს, რომ ეს დუქნები გადაეტანა სხვა ადგილას, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ი. პროსკურიაკოვი იმაზეც მიუთითებს რომ ამ პერიოდის ბათუმი ითვლიდა 300-ზე მეტ სახლს და ორივე სქესის 2000-მდე მცხოვრებს. რაც შეეხება მოსახლეობას ი. პროსკურიაკოვი მიუთითებს, რომ ქალაქში ისმის ძირითადად ქართული და ოსმალური ლაპარაკი, თუმცა ქართული გაცილებით ჭარბობს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია ნაოსნობით და ვაჭრობით. ქალაქის შემოგარენსაც შეეხო პროსკურიაკოვი, იგი მიუთითებს, რომ „ქალაქის შემოგარენი ჭაობითა და ჯაგნარით არის დაფარული. ქალაქის ჰავა მეტად მავნეა, ქალაქში მძვინვარებს ენით აუწერელი, მეტად საშინელი ციება, რომელსაც ადამიანთა სიცოცხლე ეწირება. ამის გამო



---

ზაფხულობით ბათუმელები ტოვებენ ქალაქს და მიდიან მთებში“. ი. პროსკურიკოვის შეხედულება ძალიან საყურადღებოა იმდროინდელი ბათუმის ისტორიის შესასწავლად (სცსია, ფ. 124, აღწ. 14, საქმე 569, ფურც. 89-96).

### დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში საუბარია უცხოელი მოგზაურების, სწავლულების, სამხედრო პირების შესახებ, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ როგორც ამ მხარის ოსმალთა მფლობელობის ასევე რუსეთის ცარიზმის ოკუპაციის დროსაც. მათ საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს აღნიშნული რეგიონის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ. ეს მასალები უნიკალური და უძვირფასესია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსული ისტორიის შესწავლის საქმეში.

### გამოყენებული წყაროები:

1. Sakartvelos Tsent'raluri Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, P.124, Aghts'.14, Sakme 569, Purts. 5-34. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.124, აღწ.14, საქმე 569, ფურც. 5-34);
2. Sakartvelos Tsent'raluri Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, P.124, Aghts'.14, Sakme 569, Purts. 89-96. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.124, აღწ.14, საქმე 569, ფურც. 89-96);
3. Sakartvelos Tsent'raluri Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, P.124, Aghts'.14, Sakme 567, Purts. 100. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.124, აღწ.14, საქმე 567, ფურც.100);

- 
4. Sakartvelos Tsent'raluri Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, P.124, Aghts'.14, Sakme 567, Purts. 188. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.124, აღწ.14, საქმე 567, ფურც.188);
  5. Sank't'-P'et'erburgis Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, K'avk'asiis Pondi 574, Sakme 1234, Purts. 11. (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი № 574, საქმე 1234, ფურც.11);
  6. Sank't'-P'et'erburgis Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, K'avk'asiis Pondi 574, Sakme 1234, Purts.67. (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი № 574, საქმე 1234, ფურც.67);
  7. Sank't'-P'et'erburgis Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, K'avk'asiis Pondi 574, Sakme 1234, Purts. 99-101. (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი № 574, საქმე 1234, ფურც. 99-101);
  8. Sank't'-P'et'erburgis Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, K'avk'asiis Pondi 574, Sakme 1234, Purts. 118-124. (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი № 574, საქმე 1234, ფურც. 118-124);
  9. Sank't'-P'et'erburgis Sakhelmts'ipo Ist'oriuli Arkivi, K'avk'asiis Pondi 574, Sakme 1235, Purts.335. (სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი № 578, საქმე 1235, ფურც. 335).

---

## The Problem of Nagorno-Karabakh, as the Factor of Defining Turkey-Azerbaijan Relations

**Zaza Beridze**

Doctor of History  
Georgia

[zaza.beridze@bsu.edu.ge](mailto:zaza.beridze@bsu.edu.ge)

### Abstract

In relation with Nagorno-Karabakh, being as a part of Azerbaijan, the disagreement rised between Azerbaijan and Armenia is a key defining factor of relation of these countries with Turkey.

That is why, all issues or relations between Erevan and Baku are both directly and indirectly related with Karabakh conflict. Negotiations of Minsk Group within OSCE format are fruitless from 1992. Azerbaijanis are „Turks“ for a big part of Armenian society. That is why a link between Armenian Genocide of 1915-1916 and possible aims of Azerbaijan in Nagorno-Karabakh was rapidly detected.

Karabakh conflict defined Turkey-Armenia diplomatic conflict. Ankara will try to correct relations with Armenia only in case Erevan concedes positions with Azerbaijan. Armenia is not going to concede Karabakh issue.

Despite Turkey did not provide active military support to Azerbaijan, Turkey was the most important partner of Azerbaijan in the conflict, which was supported by a series of agreements.

Nagorno-Karabakh conflict has also critically important impact upon development of the international relations in South Caucasia. Azerbaijan and Turkey are deeply interrelation with each other.

The closed the outgoing borders to Armenia. Isolated Armenia is waiting for danger from Azerbaijan which is constantly equippingits army with arms and seeking for protection in Russia. Turkey considers Azerbaijan's demand to keep Armenia isolated. From its turn Baku supports Turkey ambitions to the major player in the region.

**Keywords:** Turkey; Azerbaijan; Relations.

---

## მთიანი ყარაბაღის პრობლემა, როგორც თურქეთ- აზერბაიჯანის ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორი

**ზაზა ბერიძე**

ისტორიის დოქტორი  
საქართველო  
zaza.beridze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული უთანხმოება ამ ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ფაქტორია. მთიანი ყარაბაღის საკითხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სომხეთთან დაკავშირებით თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზებაზე. და ასევე, იმ მცდელობებზე, რომლიც თურქეთს ეკონომიკური და სამხედრო კავშირების, დამყარების თვალსაზრისით, ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ.

**საკვანძო სიტყვები:** ყარაბაღის საკითხი; სომხეთ-  
აზერბაიჯანის კონფლიქტი.

## მსჯელობა

აზერბაიჯანის შემაღგენლობაში მყოფ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული უთანხმოება ამ ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ფაქტორია. მთიანი ყარაბაღის საკითხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სომხეთთან დაკავშირებით თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზებაზე. და ასევე, იმ მცდელობებზე, რომლიც თურქეთს ეკონომიკური და სამხედრო კავშირების, დამყარების თვალსაზრისით, ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1988-1991 წლებში მთიანი ყარაბაღის გამო დაწყებული კონფრონტაცია მალე ომში გადაიზარდა. ამ ომის მსვლელობაში საერთაშორისოდ არ აღიარებული დეფაქტო რესპუბლიკისა და სომხეთის ჯარებმა ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკისა და მისი მოსაზღვრე მხარეების დიდი ნაწილი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს. ომის დროს 11 000 აზერბაიჯანელი და 6 000 სომეხი დაიღუპა. 500 000 აზერბაიჯანელი განიღვენა მთიანი ყარაბაღისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებიდან. სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიიდან 30 000 კაცი განდევნეს, ხოლო მთიანი ყარაბაღის ჩრდილოეთით მდებარე მხარე შაუმიანიდან 40 000 სომეხს მოუწია იძულებით გადაადგილება. ამასთანავე, ჯერკიდევ 1988-1990 წლებში „პოგრომების“ შედეგად აზერბაიჯანი 350 000 სომეხმა დატოვა და თავი სომხეთსა და რუსეთს შეაფარა. ამავე დროს, 186 000 აზერბაიჯანელმა და 18 000 მუსლიმმა ქურთმა დატოვა სომხეთი აზერბაიჯანში გადასასვლელად (BÖLİ SOUTH CAUCASUS, 2018:06.2).

ამიტომაც, ერევანსა და ბაქოს შორის ურთიერთობის ყველა საკითხი პირდაპირ და ირიბად სწორედ ყარაბაღის

კონფლიქტთანაა დაკავშირებული. რომელთა შორის განუწყვეტლივ მიმდინარეობს კამათი მთიანი ყარაბაღის სტატუსის, სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის სახმელეთო მიმოსვლისა და ლტოლვილთა ორმხრივად დაბრუნების შესახებ.

1992 წლიდან მოყოლებული, მინსკის ჯგუფის ფორმატიო ეუთოს ფარგლებში წარმოებულმა მოლაპარაკებებმა კონფლიქტის დარეგულირებისათვის დღემდე ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. სომხური საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აზერბაიჯანელები „თურქები“ არიან. ამის გამო 1915-1916 წლების სომეხთა ე.წ. გენოციდსა და მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის შესაძლო მიზნებს შორის სწრაფად გამოიძებნა კავშირი (**BÖİİ SOUTH CAUCASUS, 2018:06.2**).

ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ყარაბაღს ამ ომში სომხეთის შეიარაღებული ძალები უჭერდნენ მხარს. აზერბაიჯანმა თავისი ტერიტორიის ნაწილი, მთიანი ყარაბაღის სახით, დაკარგა. ის ახლა საერთაშორისოდ არ აღიარებული დეფაქტო სახელმწიფო მთიანი ყარაბაღია. მისი მიმდებარე სომხეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გამოდევნილია მრავალი ათასი ლტოლვილი. ისინი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან მიმოზნეული. ბაქო ამ სტატუს-კვოს მდგომარეობის რევიზიას ითხოვს და ბოლო წლებში მასობრივად იარაღდება. მაგრამ გარდა დემარკაციის ხაზთან მოწყობილი პროვოკაციებისა, მაინც თავს იკავებს, კონფლიქტი ძალისმიერად, სამხედრო გზით გადაწყვეტისგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზერბაიჯანის მსგავსად, თურქეთსაც უკვე ორი ათეული წელია, რაც სომხეთთან საზღვარი ჩაკეტილი აქვს. მას მეზობელ სახელმწიფოსთან არც დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებს. ანკარასა და ერე-

ვანს შორის დამაბული ურთიერთობის ძირითადი მიზეზიც ყარაბაღის კონფლიქტია. ანკარა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეცდება სომხეთთან ურთიერთობის გამოსწორებას, თუ ერევანი აზერბაიჯანთან დათმობებზე წავა. სომხეთი კი მთიანი ყარაბაღის საკითხში არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

მიუხედავად თურქეთის პრო აზერბაიჯანული პოლიტიკისა, აზერბაიჯანის მიმართ მისი მხარდაჭერა ძირითადად მაინც ვერბალური განცხადებებით ამოიწურებოდა და რაიმე რეალური შედეგი მას არ მოჰყოლია. თურქეთის თავშეკავებული პოლიტიკა გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობით და მეორეც, 1915 წელს სომხური ე.წ. გენოციდის მემკვიდრეობით (თუმცა, თურქეთი არ აღიარებს, რომ გენოციდს მართლაც ჰქონდა ადგილი). ამ უკანასკნელს კარგად იყენებენ სომხები. თურქეთის პასიურ მხარდაჭერას აზერბაიჯანისთვის ისიც განაპირობებდა, რომ აშშ-ის დახმარებაზე, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში, დამოკიდებულება იძულებულს ხდიდა მას ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკას მიჰყოლოდა. მან აშშ-ის ზეწოლით გააუქმა სომხეთზე აზერბაიჯანთან ერთად დაწესებული ემბარგო, რომელიც აზერბაიჯანიდან ჰუმანიტარულ დახმარებაზე იყო დადებული. ამასთანავე, თურქეთი ცდილობდა კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, თავიდან აეცილებინა რუსეთთან ურთიერთობების გამწვავება. ამავე დროს, თურქეთის ნებისმიერი მცდელობა მოეხდინა სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, აზერბაიჯანის დიდ შემფოთებას იწვევდა, აზერბაიჯანი გმობდა თურქეთის ნებისმიერი სახის ცალმხრივ პოლიტიკას სომხეთთან.

მიუხედავად ამისა თურქეთი უმნიშვნელოვანეს პარტნიორს წარმოადგენდა ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯან-



ისტვის (მანჩხაშვილი, 2014:197). 1992 წ. ანკარამ და ბაქომ ხელი მოაწერეს სამხედრო სფეროში უთიერთ დახმარების პაქტს, რომელიც ორივე მხარეს უადვილებდა ერთმანეთისთვის დახმარების გაწევას მესამე ქვეყნის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, ეს შეთანხმება არსებით პირობას შეიცავდა: 1) ის რეგულირდებოდა გაეროს პრინციპებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რაც გამორიცხავდა თურქეთის პირდაპირ ჩარევას ყარაბახის კონფლიქტში, რადგან ამისთვის საჭირო იქნებოდა არა მარტო სომხეთის ოფიციალური აღიარება აგრესორად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, არამედ ნატოში თურქეთის მოკავშირეების თანხმობაც. ამ მოვლენების საპირისპიროდ თურქეთს არ შეეძლო წასულიყო უშუალო სამხედრო ჩარევაზე ყარაბახის კონფლიქტში, ანკარაში კარგად იცოდნენ, რომ პირდაპირი სამხედრო ჩარევა კავკასიის რეგიონში ჩათვლებოდა, როგორც გამოწვევა არა მარტო რუსეთისთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. რომლებიც არ დატოვებდნენ ყურადღების გარეშე თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო ალიანსის პირველივე მოქმედებებს.

ამიტომაც თურქეთი ცდილობდა ფრთხილი პოზიცია დაეკავა და თავის ურთიერთობებში აზერბაიჯანთან აეცილებინა ის ნაბიჯები, რომელიც მას პოლიტიკურად დამოკიდებულს გახდიდა აზერბაიჯანზე. თუმცა ანკარაში ისიც კარგად ესმოდათ, რომ პასიურობა ყარაბახის საკითხში შემდგომში შეიძლებოდა ძვირი დაჯდომოდა თურქეთს, მაგრამ მიუხედავად ამისა თურქეთის პოლიტიკა ამ მიმართებით გაწონასწორებული იყო, გამომდინარეობდა რა შექმნილი რეალობიდან. თუმცა იყო ცნობები, რომ მაღალი რანგის თურქი ოფიცრები, მეტწილად უკვე გადამდგარი, იმყოფებოდნენ აზერბაიჯანში და კონსულტაციას უწევდნენ მის სამხედროებს საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვაშიც (Balchi, 2017:233).

1993 წლის აპრილში თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ანკარა ვალდებულებას იღებდა მიეწოდებინებინა აზერბაიჯანისთვის მსუბუქი შეიარაღება და მოემზადებინა სამხედრო სპეციალისტები. გარდა ამისა, თურქეთმა შეადგინა აზერბაიჯანის არმიის მოდერნიზაციის პროგრამა 1995 წლამდე, ამავე დროს, 1993 წლის ნოემბერში ბაქომ რამდენიმე ქვეყანას, მათ შორის თურქეთს, მიმართა თხოვნით გამოეგზავნათ თავისი ჯარები, თუმცა თურქეთმა ეს არ გაკეთა. მეორე მხრივ, თურქეთი ღიად აცხადებდა, რომ არ გაუწევდა პირდაპირ სამხედრო დახმარებას აზერბაიჯანს და საერთოდ არ ჩაერეოდა პოლიტიკურ კონფლიქტში. ის სთავაზობდა თავისი სამხედრო პირების გაგზავნას მშვიდობისმყოფელთა მისიის შესრულებისათვის (**კომახია, 2016:8**).

ყარაბაღის კონფლიქტი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, ეროვნული ხასიათის ომია, ზოგჯერ მას მუსლიმურ - ქრისტიანული დაპირისპირების ასპექტშიც განიხილავენ. ამიტომაც ამ კონფლიქტის მოგვარება, საუკუნეთა მიჯნაზე, დარჩა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად (**ორიენტალისტური ძიებანი, 1995:95**).

თურქეთის იმ დროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიქმეთ ჩეთინის განცხადებით, ყარაბაღის პრობლემა მსოფლიო მნიშვნელობისაა, რაც თავის მხრივ იმის მანიშნებელი იყო, რომ მის გადაჭრაში მონაწილეობა უნდა მიეღო სხვა სახელმწიფოებსაც, რათქმუნდა თურქეთის ჩათვლით (**საქართველოს რესპუბლიკა, 1992:№43.11.03**).

თურქული გაზეთი „ჭურიეთი“ წერდა, რომ თურქეთის პრეზიდენტის თურღუთ ოზალის ბაქო შივი ზიტის მეორე დღეს, პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის პარლამენტში სადაც, მტკიცე მხარდაჭერას დაპირდა აზერბაი-

---

ჯანელ ხალხს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში, სომხეთს რომ შეეხო, მან განაცხადა: „ამ ქვეყანას ისტორიიდან ჯეროვანი გაკვეთილები არ გამოაქვს. სომხებმა იგივე სცადეს ანატოლიაში, მათ არ ახსოვთ ის სიმწარე, სილა რომ გააწნეს. იმ შემთხვევაში, თუ სომხები მშვიდობიანად არ დატოვებენ აზერბაიჯანის მიწას, ისინი აქედანაც გაძევებული იქნებიან“, აღნიშნა ოზალმა (HURIET, 1993: 14.04).

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის სხდომაზე თურქეთის პრეზიდენტმა ს. დემირელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „ყოველთვის დაუჭერს მხარს თავის მოძმე აზერბაიჯანს სამართლიან ბრძოლაში“ და იქვე დასძინა: „თურქეთი მოითხოვს სომხეთისგან, დაუყონებლივ დატოვოს აზერბაიჯანის ტერიტორია და შეუქმნას ადგილობრივ მოსახლეობას სამართლიანი, მშვიდობისა და თანამშრომლობის ვითარება, ყოველივე ამის შედეგად კი სამუდამოდ მოელო ბაზოლო სისხლისმღვრელ ომს და გატანჯული ხალხი შვებით ამოისუნთქებს“. თავისი გამოსვლის დასასრულს ს. დემირელმა აღნიშნა, რომ კავკასიაში მშვიდობის მალე დამყარებით მოიგებს ამ რეგიონის ყველა სახელმწიფო (მაკარაძე, 2000:79).

## დასკვნა

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს კვლავაც გადამწყვეტი გავლენა აქვს სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან კვლავ მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მათ სომხეთთან გამავალი საზღვრები ჩაკეტილი აქვთ. იზოლირებული სომხეთი კი აზერბაიჯანისგან, რომელიც გამალებით იარაღდება, საფრთხეს მოელის. რის გამოც უსაფრთხოების მიზნით რუსეთში ეძებს დამცველს. თურქეთი ანგარიშს უწევს ბაქოს

---

მოთხოვნას, შეინარჩუნოს სომხეთის იზოლაცია. ბაქო კი, თავის მხრივ, მხარს უზამს თურქეთის ამბიციებს, იყოს რეგიონის მთავარი მოთამაშე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mak'aradze, E. (2019). *Turk'etis Ist'oria 1918-2018 Ts'lebshi (Salektsio Chanats'erebi)*. Tbilisi. (მაკარაძე, ე. (2019). *თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები)*. თბილისი);
2. Mak'aradze, E. (2000). *Tanamedrove Turketis Akt'ualuri Sak'itxebi*. Batumi. (მაკარაძე, ე. (2000). *თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები*. ბათუმი);
3. Mak'aradze, E. (2010). *Turketis St'rat'egia Samkhret K'av-Ok'asiashi*. I Saertashoriso Sametsniero K'onperentsia „P'olit'ik'a K'avk'asiis Garshemo“. Shromata K'rebuli. Tbilisi. (მაკარაძე, ე. (2010). *თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში*. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლიტიკა კავკასიის გარშემო“. შრომათა კრებული. თბილისი);
4. Gachechiladze, R. (2003). *Akhlo Aghmosavleti (Sivrtse, Xalxi da P'olit'ika)*. Tbilisi. (გაჩეჩილაძე, რ. (2003). *ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი და პოლიტიკა)*. თბილისი);
5. Manchkhavili, M. (2014). *Regionuli Tanamshromlobis P'ersp'ekt'ivebi Samkhret K'avk'asiashi*. Samkhret K'avk'asia: Regionuli Tanamshromlobis P'roblemebi da P'ersp'ekt'ivebi. Batumi. (მანჩხაშვილი, მ. (2014). *რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში*. სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები. ბათუმი);

6. Manchkhvili, M. (2014). *Turketis Sagareo P'olit'ik'a 1990-2008*. Tbilisi. (მანჩხაშვილი, მ. (2014). *თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008*. თბილისი);
7. Ali, baci. (2017). *Türk dış Politikası*. Istanbul;
8. Brown, J. F. (2000). *Türkiye'nin Yeni Jeopolitik konumu*. Istanbul;
9. Davutoğlu, A.(2001). *Stratejik Derinlik*. Istanbul;
10. Ahmad, F. (1993). *The making of Modern Turkey*. London;

---

## The Modern Challenges of the Turkish-Georgian Relations

**Beka Makaradze**

PhD student  
Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
beka.makaradze@bsu.edu.ge

### **Abstract**

From the beginning of the 90-s of the XX century, after the end of the Cold war and the collapse of the USSR, a new phase in the Turkish-Georgian relations has begun. Particularly, on the 30<sup>th</sup> of July, 1992, the two states decided to sign the treaty on “Friendship, Cooperation and Neighborly Relations”. Thus begun the new period in the history of the two countries.

The clear example of those relations was the official visit of the Georgian Prime minister to Turkey on 31<sup>st</sup> of October, 2019.

**Keywords:** Turkish-Georgian Relations.

---

## თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევები

ბექა მაკარაძე

დოქტორანტი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
beka.makaradze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაიყო ახალი ეტაპი. კერძოდ, 1992 წლის 30 ივლისს ორმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულებას“, რომლითაც დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი ორი ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ ურთიერთობის ნათელი მაგალითია 2019 წლის 31 ოქტომბერი, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში.

**საკვანძო სიტყვა:** 1992 წლის ხელშეკრულება; თურქეთი.

## მსჯელობა

„ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაიყო ახალი ეტაპი. კერძოდ, 1992 წლის 30 ივლისს, ორმა სახელმწიფომ ხელი მოეწერა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულებას“, რომლითაც დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი ორი ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ ურთიერთობის ნათელი მაგალითია 2019 წლის 31 ოქტომბერი, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, რომელსაც თან ახლდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი (1).

პირისპირ შეხვედრაზე, რომელსაც მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ესწრებოდნენ, შეთანხმდნენ, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, უახლოეს პერიოდში, ანკარაში გაიმართება სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომა. მოლაპარაკებების დროს, ასევე გადაწყდა, რომ ნოემბერში, მინისტრების დონეზე, გაიმართება ორი ქვეყნის შერეული ეკონომიკური კომისიის სხდომა.

ექსპერტების აზრით, კი დაგეგმილი შეხვედრები ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.



ორი ქვეყნის ლიდერებმა შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ენერგეტიკისა და ლოგისტიკის სფეროებში თანამშრომლობაზე, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის მიმდინარეობაზე, როგორცაა: ბაქო-თბილისი-ყარსი, ასევე - ტურიზმისა და კულტურის სექტორში არსებულ ერთობლივ პროექტებზე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, რაშიც კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის როლზე. ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რ.თ.ერდოღანმა განაცხადა, რომ: „ვაგრძელებთ ჩვენს ძალისხმევას, რათა საქართველოს მონაწილეობით შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა შავ ზღვაზე. ჩვენ გვინდა უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს თურქეთსა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში“ (2).

პრეზიდენტმა ერდოღანმა, ოფიციალურ შეხვედრაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი თურქეთის რესპუბლიკის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ორი ქვეყნის ისტორიულ კავშირებზე, მათ დიდ შესაძლებლობებზე, რადგან თურქეთი და საქართველო მეზობლები არიან და საერთო ღირებულებები გააჩნიათ (3).

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში, სამუშაო სადილზე გაგრძელდა, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრებიც მონაწილეობდნენ (4). აღნიშნულ შეხვედრაზე, თურქეთის პრეზიდენტმა გამოსვლისას დასძინა, რომ „ჩვენი ურთიერთობები საქართველოსთან ძლიერდება ყველა სფეროში, ვაჭრობიდან - ტურიზმამდე, ენერგეტიკიდან - თავდაცვით სფერომდე. მჯერა, რომ

ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა გამოიღებს შედეგებს, რაც არამარტო ორი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონისთვის იქნება სასიკეთო“ (5).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თურქეთის პრეზიდენტმა იმ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებსაც თურქეთი საქართველოსთან და მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად ახორციელებს, საუბარია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი აირის მილსადენზე, ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზზე, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი უწოდა. სარკინიგზო მაგისტრალი გააჩენს ახალ საშუალებებს, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს სამ მეგობარ ქვეყანას. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ემსახურება მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელიც მდებარეობს ლონდონიდან პეკინამდე გასასვლელი ხაზის ცენტრში. ჩვენი კავშირი კი საქართველოსთან ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე მილსადენები და რკინიგზა“ (6).

რ. თ. ერდოღანმა ყურადღება გაამახვილა 2011 წელს შემოღებულ თურქეთისა და საქართველოს უფიზო რეჟიმზე. მან აღნიშნა, რომ „ორ ქვეყანას შორის საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია პასპორტის გარეშე. ჩვენ ბედნიერები ვართ, რადგან თურქეთის მოქალაქეებს შეუძლიათ პირადობის მოწმობით საქართველოში იმოგზაურონ. თურქეთი საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორია. ჩვენ გვსურს, რომ შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი თანამშრომლობა საერთო სარგებლობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. დღევანდელი მოლაპარაკებების დროს, კიდევ ერთხელ აღვნიშნეთ ჩვენი გადაწყვეტილება, რომ სწრაფად გავზარდოთ ორმხრივი სავაჭრო მოცულობა. დღეს კიდევ ერთხელ გამოვხატეთ ნება, რომ 1,5 მილიარდიანი სავაჭრო ბრუნვა 3 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზა-

რდოს. ამ ფარგლებში, თურქეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გამარტივების პოტენციალით მეტად სარგებლობისთვის ქმედითი ნაბიჯებს გადავდგამთ და ჩვენს თანამშრომლობას კიდევ უფრო გავამდიერებთ. ძალიან მალე ანკარაში გაიმართება თურქეთ-საქართველოს შერეული ეკონომიკური კომისიის შეხვედრა, რომელიც ამ კუთხით ძალზე ხელსაყრელი იქნება“, - განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა (7).

შეხვედრაზე, განხილული იყო აგრეთვე უსაფრთხოების საკითხებიც: ორმხრივი თანამშრომლობა სამხედრო სფეროში; ერთობლივი წვრთნები; ტერორისტული ორგანიზაციებისა და FETÖ-ს წინააღმდეგ ერთობლივი თანამშრომლობა და სხვა (8).

„საქართველოს დამოუკიდებლობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შორის თურქეთსა და საქართველოში ერთობლივი წვრთნების ჩატარება წელსაც გავაგრძელებთ. 2200-მდე ქართველმა სამხედრო პერსონალმა თურქეთში ჩატარებულ ტრენინგებსა და სხვადასხვა კურსებში მიიღო მონაწილეობა. ჩვენს საერთო შავ ზღვაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ჩვენი ძალისხმევა საქართველოს მხარდაჭერითაც გრძელდება“, - განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ როგორც საქართველოა თურქეთისთვის წინაპრების სამშობლოში მყოფ ძმებთან დამაკავშირებელი ხიდი, ასევე თურქეთია საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობების ჯანსაღი ფორმით დამყარებაში სტრატეგიული ხიდი. სიტყვის ბოლოს, ერდოღანმა მადლობა გადაუხადა პრემიერსა და დელეგაციას ნაყოფიერი ვიზიტისთვის. „უმაღლესი დონის სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომის გამართვის

---

შემდეგ მზად ვარ, მივიღო თქვენი მოწვევა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, გაზაფხულზე“, - განაცხადა რეჯევ თაიფ ერდოღანმა(9).

თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა ვიცე-პრეზიდენტ ფუათ ოქტაის და დიდი ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე მუსტაფა შენთოფს.

ვიცე-პრეზიდენტ ფუათ ოქტაისთან პირისპირ შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ხაზი გაესვა საქართველო-თურქეთის შერეული ეკონომიკური კომისიის სხდომის გამართვის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობდა ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

აღინიშნა, რომ მაღალი დონის ვიზიტები ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებას ახალ დინამიკას შესძენს.

გიორგი გახარიას თურქეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში უმასპინძლა დიდი ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ, მუსტაფა შენთოფმა. გაფართოებული ფორმატის შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორმხრივი დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსთან ნაცოფიერ თანამშრომლობას. ხაზი გაესვა საქართველოსა და თურქეთის მნიშვნელოვან როლს რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა თურქეთის პოზიცია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრმა პატივი მიაგო რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებლის -

---

მუსტაფა ქემალ ათათურქის ხსოვნას და მოინახულა მავზოლეუმი (10).

## დასკვნა

საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან თანამშრომლობას. ორ ქვეყანას შორის არსებული დინამიკური და ნაყოფიერი ურთიერთობები ხელს უწყობს რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას. მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ისევე როგორც მისი როლი სამხედრო აღმშენებლობის პროცესში. საგარეო უწყება მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს თურქეთთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისაკენ, განსაკუთრებით ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში. სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ მთლიანად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/120090/giorgi-gakharia-opitsial-uri-vizitit-turqetshi-gaemgzavra.;>
2. <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/112382/-we-continue-our-efforts-to-maintain-peace-and-stability-in-the-black-sea-with-georgia-s-contributions-;>
3. <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/112382/-we-continue-our-efforts-to-maintain-peace-and-stability-in-the-black-sea-with-georgia-s-contributions-;>

- 
4. <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/120133/gakharia-da-erdogani-qveknebs-shoris-strategiuli-partniorobis-sabchos-skhdomis-chatare-baze-shetan-khmdnen>;
  5. <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/112382/-we-continue-our-efforts-to-maintain-peace-and-stability-in-the-black-sea-with-georgia-s-contributions->;
  6. <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/112382/-we-continue-our-efforts-to-maintain-peace-and-stability-in-the-black-sea-with-georgia-s-contributions->;
  7. <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/112382/-we-continue-our-efforts-to-maintain-peace-and-stability-in-the-black-sea-with-georgia-s-contributions->;
  8. [https://haberglobal.com.tr/dunya/cumhurbaskani-erdogan-gurcistan-basbakani-ile-basin-toplantisiduzenledi11957?fbclid=IwAR0Kl0JF4X\\_AII nm DOKx0 tmaJHJq3stUCSc yQvux\\_PInJNf8GkaN 1Sy6XY8](https://haberglobal.com.tr/dunya/cumhurbaskani-erdogan-gurcistan-basbakani-ile-basin-toplantisiduzenledi11957?fbclid=IwAR0Kl0JF4X_AII nm DOKx0 tmaJHJq3stUCSc yQvux_PInJNf8GkaN 1Sy6XY8);
  9. <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/120141/gazapkhulze-turqetis-prezidenti-saqartvelos-etsveva>;
  10. <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/120159/gakharia-turqetis-vitseprezidents-da-didi-erovnuli-asambleis-tavmjdomares-shekhvd>.

---

## Iran and South Caucasus

**Maia Manchkhavili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia  
maia.manchkhavili@tsu.ge

### **Abstract**

The Islamic Republic of Iran has big plans in the South Caucasus. This region is noteworthy and important in terms of its relevance to Iran's security. The US lists Iran so-called „axis of evil“ and enactment of sanctions have done it a great deal both materially and strategically. Iran has long been on the cusp of action. However, even under these conditions he is one of the influential and accountable players in the Middle East political arena.

Iran began relations with the republics of the South Caucasus from the very first days of the collapse of the Soviet Union and was one of the first to recognize the independence of these countries. Since the Soviet Union had very tightly controlled relations during the Soviet Union, after the collapse of the Soviet Union, Iran had to start with a clean sheet of relations with the South Caucasus republics in the 1990s and define areas of cooperation.

**Keywords:** Iran; Caucasus.

---

## ირანი და სამხრეთ კავკასია

მაია მანჩხაშვილი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო  
maia.manckhashvili@tsu.ge

### აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასიაში ირანის ისლამურ რესპუბლიკას თავისი გეგმები გააჩნია. აღნიშნული რეგიონი საყურადღებო და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ კონკრეტულად მის უსაფრთხოების საკითხებთანაა დაკავშირებული.

აშშ-ის მიერ ირანის ე.წ. „ბოროტების ღერძის“ სახელმწიფოთა სიაში შეტანამ და სანქციების ამოქმედებამ, დიდი ზარალი მიაყენა მას.

**საკვანძო სიტყვები:** ირანი; სამხრეთ კავკასია; ბოროტების ღერძი.



## მსჯელობა

ირანის ისლამურ რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიაში დიდი გეგმები გააჩნია. ეს რეგიონი მისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ირანის უსაფრთხოების საკითხებთანაა კავშირში. აშშ-ის მიერ ირანის ე.წ. „ბოროტების ღერძის“ სახელმწიფოთა სიაში შეტანამ და სანქციების ამოქმედებამ, დიდი ზარალი მიაყენა მას, როგორც მატერიალური თვალსაზრისით, ასევე, სტრატეგიულადაც. ირანს უკვე დიდი ხანია ხელ-ფეხი აქვს შეკრული მოქმედებისათვის. არადა, ამ პირობებშიც კი იგი ერთ-ერთი გავლენიანი და ანგარიშგასაწევი მოთამაშეა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენაზე.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ირანმა საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე დღეებიდან დაიწყო ურთიერთობა და ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა. ვინაიდან საბჭოთა კავშირის პერიოდში ძალზედ ლიმიტირებული და მკაცრად კონტროლირებადი ურთიერთობები არსებობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან ირანს სუფთა ფურცლიდან მოუწია ურთიერთობების დაწყება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან და თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებიდან ირანს გაცილებით მეტი ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან აქვს, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური (ნაღდი ფულით ვაჭრობა, ვინაიდან საბანკო გადარიცხვები შეზღუდულია), სამეცნიერო, ასევე, ენერჯო რესურსების მოწოდების თვალსაზრისით: ბარტერის პირობებში ირანი დღემდე აწვდის გარკვეული მოცულობის გაზს სომხეთს. ეს კავშირები რუსეთი-სომხეთი-ირანის ღერძის ფარგლებში ვითარდება და ამ ქვეყნებს შორის

სტრატეგიული პარტნიორობითაა განპირობებული. „ირანი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საყრდენია სომხეთისათვის, რომელიც თურქეთის და აზერბაიჯანის ბლოკადის მსხვერპლია. ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს მის ქრისტიან მეზობელს პოლიტიკურად, რადგან გრძნობს, რომ მისი მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული უმცირესობა აძლიერებს ბაქოსთვის თეირანის მოწყვლადობას“ (1).

აზერბაიჯანთან ირანის ურთიერთობები ძალიან ფრთხილი და მოზომილია ე.წ. „სამხრეთ აზერბაიჯანის“ გამო: ირანის ჩრდილოეთ რაიონებში დაახლოებით 20-25 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს(2). ირანი ამ მოსახლეობაში სეპარატისტური ტენდენციების გაღვივებას უფრთხის. აზერბაიჯანთან მისი ურთიერთობები თურქეთის ფაქტორის გამოცაა შენელებული.

თურქეთისა და ირანის ინტერესები ძალიან ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე, სამხრეთ კავკასიაში. ეს ორი სახელმწიფო ისტორიულად დაპირისპირებული არიან და თითქმის ყოველთვის საწინააღმდეგო მხარეს იმყოფებიან. აზერბაიჯანისა და თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობა ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებს გარკვეულწილად აფერხებს.

აზერბაიჯანისათვის თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორზე მეტს ნიშნავს, იგი თურქეთში ხედავს მოძმეს და მისაბამი სახელწმიფოებრივი მოდელის მქონე სახელმწიფოს.

თურქეთის პოზიციიდან ირანი მისი მეტოქე და კონკურენტია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რის გამოც თურქეთი ხშირად თავს არიდებს ირანთან საერთო ფორმატებში თანამშრომლობას. თურქეთისათვის არასასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ არ გააჩნია იმ რაოდენობის ბუნებრივი რესურსები, გადაწონოს ან დააბალანსოს ირანის ისლამური რესპუბლიკის

შესაძლებლობები. ამიტომ, მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებით შემოიფარგლება ირანთან ურთიერთობებში. ეს ორმხრივი ურთიერთობები კი უნდა ითქვას, რომ ძალიან ინტენსიურია და მის გაღრმავებაზეა ორიენტირებული. თუ ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკას ვნახავთ, ჩანს, რომ ირანი ნედლი ნავთობის ყველაზე დიდი მიმწოდებელია თურქეთისათვის უკვე ბოლო რამდენიმე წელია. ასევე, ბუნებრივი გაზის უმსხვილესი იმპორტიორია ამ ქვეყანაში, რუსეთსა და ერაყთან ერთად (3). ამიტომ, როცა აშშ-მა თურქეთს ირანთან სავაჭრო ურთიერთობების შეზღუდვებისაკენ მოუწოდა, თურქეთის მთავრობის ერთ-ერთმა მინისტრმა განაცხადა, რომ თურქეთი გააგრძელებს და გააღრმავებს ამ ურთიერთობებს ირანთან: „აშშ-ს გადაწყვეტილება ირანთან მიმართებაში სანქციების დაწესებაზე თურქეთისთვის შესაძლებლობას წარმოადგენს. ჩვენ განვაგრძობთ ირანთან ვაჭრობას გაერო-ს რეზოლუციების დაცვით“ - განაცხადა თურქეთის ეკონომიკის მინისტრმა ნიჰათ ზეიბექჩიმ (Nihat Ziebeck) (4).

თურქეთმა არათუ მხარი არ დაუჭირა აშშ-ს წინადადებას გაერო-ში ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებაზე, არამედ ბრაზილიასთან ერთად ირანის ბირთვული პროგრამის პრობლემის მოგვარების გეგმაც შეიმუშავა (5).

საქართველოსთან ირანის ურთიერთობები ძირითადად კულტურის, ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებით შემოიფარგლება. თუმცა, ამ სფეროებში ურთიერთობებიც ჯერ არაა განვითარებული სათანადო დონზე. სტატისტიკის მონაცემებს თუ ჩავხედავთ (ექსპორტ-იმპორტის მიხედვით), საქართველოს ყველაზე სუსტი და ნელი ტემპებით განვითარებადი სავაჭრო ურთიერთობები სწორედ ირანთან აქვს. ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს და მიზეზებიდან მნიშვნელოვანი აშშ-ის

ფაქტორია, უფრო სწორად მისი პოლიტიკა ირანის წინააღმდეგ, რაც გავლენას ახდენს საქართველო-ირანის ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. აშშ-ის ფაქტორის გამო საქართველოს თავის დროზე უვიზო რეჟიმის პირობების გადახედვაც კი მოუწია ცალმხრივად. საქართველოს უწევს გაითვალისწინოს მის სტრატეგიული პარტნიორის მოთხოვნები.

მაგრამ, უნდა ითქვას ისიც, რომ აშშ-ისა და დასავლეთის მიერ სანქციების დაწესების მიუხედავად, არაერთი ირანელი ცდილობს შემოვიდეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის უმეტესად საქართველოში (6). ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ირანული კაპიტალით უკვე 150 მცირე და საშუალო კომპანიაა დარეგისტრირებული და წარმატებით ახორციელებენ თავიანთსაქმიანობას (7).

როგორც აღვნიშნეთ, ირანის ისლამურ რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარებაში ძირითადად მაინც ხელს უშლის ის გეოპოლიტიკურ ვითარება და პოლიტიკურ კონიუნკტურა, რას მის ირგვლივაც შექმნილი. ვგულისხმობთ ბლოკადის პირობების შექმნას აშშ-ის მიერ ირანის მხრიდან ურანის გამდიდრების პროგრამის გამო. ასეთი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში კი ძალიან ძნელია ნებისმიერი ურთიერთობების ნაყოფიერი განვითარება. ასეთ დროს ხდება პრიორიტეტების გამოკვეთა, აწყობს თუ არა ირანის გამო საქართველოს, ან აზერბაიჯანს ან სომხეთს გაიფუჭოს კავშირები მის სტრატეგიულ პარტნიორებთან. არადა, უდიდესი პოტენციალის მქონე ირანს უზარმაზარი ენერგორესურსების დება შეუძლია არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. ენერგორესურსებზე დივერსიფიკაციის შესუსტებისათვის კი ეს უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, ჯერ-ჯერობით ეს პოტენციალი აუთვისებელია (სხვათა შორის, 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს

---

წინააღმდეგ მოწყობილი გაზის ბლოკადის დროს, სწორედ თეირანმა უზრუნველყო საქართველოს მოსახლეობა საჭირო გაზის მარაგით). აუთვისებელია ასევე წყლის რესურსების გაცვლის უდიდესი პროექტების რეალიზების შესაძლებლობებიც; ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობა წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის. 1990-იანი წლებიდან დღემდე არაერთი შემოთავაზება გაკეთდა ირანის მხრიდან საქართველოს მთავრობისათვის წყლის რესურსების მიყიდვის თაობაზე. სანაცვლოდ კი ირანი საქართველოს გაზის მოწოდებას სთავაზობდა. ბოლოს მსგავსი წინადადებით 2015 წლის აგვისტოში ეწვია თბილისს უმაღლესი დონის დელეგაცია თეირანიდან (8).

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობების დინამიკა რომ შევადგასოთ, იგი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვისაუბროთ ურთიერთობების თუნდაც საშუალო ეხე, რაც იმის მანიშნებელია, რომ ირანის კავკასიური პოლიტიკა ძალიან მოისუსტებს. ირანი ვერ ახერხებს თავისი ინტერესების რეალიზებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების შემდგომ, რაც ირანისათვის სანქციების ეტაპობრივად მოხსნას გულისხმობს, იგი სავარაუდოდ ეცდება გაააქტიუროს კავკასიური პოლიტიკა. ეს ვერ მოხდება სწრაფად და დაჩქარებული ტემპით, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა უახლოესი წლების განმავლობაში, ვფიქრობთ, რომ დროთა განმავლობაში ირანი უკვე აქტიური პოლიტიკური გეგმებით შემოსვლას დაიწყებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ სცენაზე. მაგალითად, სომხეთის ნაციონალური და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორი მანველ სარგსიანი აცხადებს, რომ „სანქციების დასრულებით მოხდება ირანის როლის გადაფასება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ისე

---

რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში. რეგიონში მიმდინარეობს ახალი სტატუს-კვოს ფორმირების პროცესი. სანქციების მოხსნის შემდეგ, თეირანს შესაძლოა ერგოს ძლიერი რეგიონური მოთამაშის ან სულაც, პრობლემების მომგვარებლის როლი“ (9).

ირანის წინააღმდეგ სანქციების შეჩერებას დადებითად აფასებს არაერთი სხვა სომეხი ექსპერტი; მათი პროგნოზით, ეს ფაქტი სომხეთის ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს, ვინაიდან ყარაბაღის კონფლიქტის გამო სომხეთი იზოლირებული აღმოჩნდა აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ და შეზღუდული ქონდა სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები. ამჯერად კი მას სამხრეთელ მეზობელთან ინტენსიური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა მიეცემა. ამ ტენდენციაზე ისაუბრა სომხეთის მეწარმეთა და მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე არსენ გაზარიანმაც და აღნიშნა, რომ: „სომხეთი მოწყვეტილი იყო ირანის პორტ ბანდარ-აბასს, სპარსეთის ყურეში, რადგან გადამზიდი კომპანიები უარს ამბობდნენ ირანულ პორტში ტვირთის ჩატანაზე. ამიტომ, სომხეთი სარგებლობდა ბათუმისა და ფოთის პორტებით. სანქციების მოხსნით კი სომხეთი ვარაუდობს საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიცირებას და ტვირთბრუნვის ადრინდელი მოცულობის დაბრუნებას“ (10).

## დასკვნა

ამგვარად, თუ ირანის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა გააქტიურებას დაიწყებს, მნელი იქნება პროგნოზების გაკეთება თუ რა სახეს მიიღებს ამ ქვეყნის ურთიერთობა თურქეთთან და რუსეთთან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. BARÇIN, YİNANÇ. (2011). *Russian, Turkish Moves Increase Armenian Isolation*. <http://www.hurriyetdailynews.com/default.aspx?pageid=438&n=recent-russian-and-turkish-move-increase-armenian-isolation-2011-04-25;>
2. *Iranis Mosakhleobis 40% Etnik'urad Azerbaijanelia. (ირანის მოსახლეობის 40% ეთნიკურად აზერბაიჯანელია)*. <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/iranian-azeris-a-giant-minority;>
3. Nader, Habibi.(2012). *Turkey and Iran: Growing Economic Relations Despite Western Sanctions, Crown Center for Middle East Studies*. No 62, May, pp. 4-5.;
4. Turketis Ek'onimik'is Minist'ri – Ashsh-s Mier Dats'esebuli Sanksiebis Miukhedavad, Turketi Irantan Savach'ro Urtiertobebs Ganagrzdobs. (თურქეთის ეკონომიკის მინისტრი - აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციების მიუხედავად, თურქეთი ირანთან სავაჭრო ურთიერთობებს განაგრძობს). <http://new.ipn.ge/ka/article/492515-turketis-ekonomikis-ministriashsh-s-mier-dacesebuli-sankciebis-miuxedavad-turketi-irantan-savachro-urtiertobebs-ganagrzdobs;>
5. oshua, Kucera. *Turkey: Is Ankara Moving Eastward?* <http://www.eurasianet.org/node/62201;>
6. *Zogierti Iraelisatvis Sakartvelo Samotkhea. (ზოგიერთი ირანელისათვის საქართველო სამოთხეა)*. <https://www.kvirispalitra.ge/ras-weren-chvenze/16758-zogierthi-iranelistvis-saqarthvelo-samothkhea.html;>

7. *Sakartvelo –Irani: K'itxvebi Met'ia, Vidre P'asukhebi.* (საქართველო-ირანი: კითხვები მეტია, ვიდრე პასუხები). (ნაწილი 1), 08.06.2010). [https:// expertclub. ge/portal/cnid.;](https://expertclub.ge/portal/cnid;)
8. *Irani Kartul Ts'qals Navtobsa da Gazshi Gagvitslis?.* (ირანი ქართულ წყალს ნავთობსა და გაზში გაგვიცვლის?). [https://bpn.ge/ekonomika/14422-irani-qarthul-tsyals-navthobsa-da-gazshi-gagvicvlis.html ?lang=ka-GE.;](https://bpn.ge/ekonomika/14422-irani-qarthul-tsyals-navthobsa-da-gazshi-gagvicvlis.html?lang=ka-GE.;)
9. Arshaluis, Mghdesyan. (2018). *Armenia Could Reap Rewards From Iran Agreement.* <https://iwpr.net/global-voices/armenia-could-reap-rewards-from-iran-agreement.>



---

## Impact and role of national/ethnic minorities in the Middle East and Georgia

**Madona Gogitidze**

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
madona.makaradze@bsu.edu.ge

### **Abstract**

The study of population changes and ethnic composition is one of the most important issues for analyzing the political or socio-economic situation of the modern era. It is especially relevant for countries where ethnic diversity is characteristic.

Since the 1990s, the political and economic crisis has been exacerbated by major events in the world, leading to ethnic conflict in some countries. Since the 19<sup>th</sup> century, the European part of the great states has been doing its utmost to address the ethnic problems that have emerged as a result of the national liberation movement and skirmishes.

The national/ethnic diversity characteristic of Georgia is rare for such small and small countries. This is a characteristic of the country's wealth and chance for integration into a diverse world.

**Keywords:** Middle East and Georgia

---

## ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების გავლენა და როლი ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში

მადონა გოგიტიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
madona.makaradze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

XX საუკუნე ისტორიაში შევიდა, როგორც ორი მსოფლიო ომის საუკუნე, გასულ ასწლეულში კაცობრიობა „ცივ ომშიც“ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამ მასშტაბური მოვლენების შედეგად საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ჩამოყალიბებულმა მსოფლიოს ახალმა წესრიგმა ბიძგი მისცა XXI საუკუნის დასაწყისში, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობის შექმნას.

**საკვანძო სიტყვები:** ახლო აღმოსავლეთი და საქართველო

### მსჯელობა

XX საუკუნის ბოლოს ნათელი გახდა, რომ ცივ ომს ადგილი უნდა დაეთმო დამაბულობის განმუხტვისათვის. მეორე ათასწლეულის დამლევს, საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიაში მთავარი ადგილი დაიკავა განმუხტვის პრობლემებმა. XXI საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილი

---

ახალი პირობები ხელს უწყობენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში დამაბულობის განმუხტვის ატმოსფეროს წარმოშობას (მენტემაშვილი ალ, 2005:10).

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიაა. თავისი რეგიონული მოთამაშეებითა და მათ შორის ურთიერთობებით, ასევე დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის გათვალისწინებით საკმაოდ რთულ ფენომენს წარმოადგენს. ახლო აღმოსავლეთი არც მანამდე გამოირჩეოდა სტაბილურობით, მაგრამ რაც ახლა ამ რეგიონში ხდება, აშკარად უკავშირდება საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ ცვლილებებს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება დაპირისპირებები დიდ სახელმწიფოთა შორის ძალთა პოლიტიკური ბალანსის შესანარჩუნებლად. ამ პროცესში ახლო აღმოსავლეთი რელიგიური ფუნდამენტალიზმის კერებით, წარმოადგენს ცხელ წერტილს, თავისი ენერგორესურსებითა და სატრანზიტო მდებარეობითა და, რომლითაც დაინტერესებულია აშშ, რუსეთი და ასევე, სხვა დიდი თუ პატარა სახელმწიფო. ამასთან, ძალზე მწვავედ დგას ახლო აღმოსავლეთში ეთნიკურ ქურთთა სახელმწიფოებრიობის საკითხი და მათი ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. რეგიონული კონფლიქტებით გამოწვეულ ქაოსურ მდგომარეობაში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონი და მთელი მსოფლიო, შესაძლოა, ახალი სახელმწიფოს შექმნის რეალობის წინაშე დადგეს. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, რეგიონის სახელმწიფოებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ერთდროულად თანაარსებობენ ჩრდილო-

---

ატლანტიკური ალიანსის, ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყანა, რუსეთის ფედერაცია და ირანის ისლამური რესპუბლიკა (<Users/user/20191104.pdf>).

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე დამაბულობა და კონფლიქტების არეალი ახლო აღმოსავლეთში კიდევ უფრო გაფართოვდა, რასაც თავის მხრივ ეთნიკურმა მრავალფეროვნებამაც მისცა გასაქანი.

XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან ერთად გამძაფრდა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში მოჰყვა ეთნიკური დაპირისპირება. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე. რეგიონში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება სხვადასხვა ძალების მიერ გამოყენებული იქნა საკუთარი მიზნებისთვის. შესაბამისად წარმოიქმნა ეთნიკური დაპირისპირების რამდენიმე კერა, გახშირდა იძულებითი მიგრაციები, რამაც იმოქმედა რეგიონის ეთნოდემოგრაფიულ სტრუქტურაზე ([www.pmmg.org.ge](http://www.pmmg.org.ge)).

ახლო აღმოსავლეთის იმ ეთნოსთა შორის, რომელთაც სახელმწიფოებრიობა არ გააჩნიათ, ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ქურთები. ქურთისტანს უწოდებენ ახლო აღმოსავლეთში მდებარე მთიან მხარეს, რომელიც დაახლოებით 350 ათას კვ. კილომეტრს ფარავს. ესაზღვრება ირანის, თურქეთის, სირიისა და ერაყის ტერიტორიები. ამ მთიან მხარეში უხსოვარი დროიდან მოსახლე ქურთები XX საუკუნის მეორე დეკადამდე შერეულად ცხოვრობდნენ სომხებთან და

---

თურქებთან ერთად. მათ ადრე მიიღეს ისლამი. ქურთების ზუსტი რაოდენობა უცნობია. XX საუკუნის ბოლოს მათ რიცხვს 27 მილიონ ადამიანამდე ვარაუდობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქურთები ხშირად მოიხსენიებენ ისტორიულ ქრონიკებში, ხოლო „ქურთ-ისტანი“ მდგრადი გეოგრაფიული ტერმინია, მათ არასდროს შეუქმნიათ უმაღლესი დონის პოლიტიკური ერთეული - სახელმწიფო. ქურთებისთვის ამჟამად ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება მათი დანაწილება რამდენიმე ქვეყანაში (**გაჩეჩილაძე, 2011:298**).

ეთნიკურ ჯგუფებთან სახელმწიფოს დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან განსაკუთრებით თურქეთში იწვევს ყურადღებას, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება-გამოქვეყნება დაიწყო. იგი ნაციონალიზმის პრინციპის საშუალებით ფიქრობდა თურქი ერის ერთიანობის დაცვას და მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქი ერის ჩამოყალიბებას (**მაკარაძე, 2019:49**).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნიდან ნაციონალიზმი ევროპული პოლიტიკური სისტემის ქვაკუთხედად იქცა, როდესაც სხვადასხვა მახასიათებლების (ენა, რელიგია, თვითშეგნება) მქონე ადამიანებმა დაიწყეს თავის დაკავშირება კონკრეტულ ტერიტორიასთან. ნაციონალიზმის კვალდაკვალ დასავლეთის ქვეყნებში ეროვნება ძირითადად მოქალაქეობით განისაზღვრება. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნაციონა-

---

ლიზმის იდეები ახლო აღმოსავლეთშიც იწყებს გავრცელებას. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ერთდროულად ჩნდება თურქული, არაბული, ირანული, სომხური და ებრაული ტერიტორიული ნაციონალიზმი (**გაჩეჩილაძე, 2011:297**). ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ეთნოკონფესიური დაპირისპირება დემოგრაფიულ ცვლებებს იწვევს.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე დიდ სახელმწიფოთა ევროპული ნაწილი ყოველ ღონეს ხმარობდა გადაეჭრა ის ეთნიკური პრობლემები, რომლებიც აღმოცენდნენ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და შეიადარებული კონფლიქტების შედეგად. ამასთან ეთნიკური ერთობების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები - სტატუს კვოს გარანტი - დიდი ქვეყნებისათვის, მთელი ამ დროის მანძილზე რჩებოდა პირველ რიგში დინასტიური და რელიგიური პრინციპები, მეორე გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორები და ბოლო ლინგვისტურ-კულტურული და ისტორიული ფაქტორები (**მენტეშაშვილი, 2005:10-12**).

მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებებისა და ეთნიკური შემადგენლობის კვლევა თანამედროვე პერიოდის პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გასაანალიზებლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. იგი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც ეთნიკური მრავალფეროვნებაა დამახასიათებელი (**ფუტკარაძე, 1998:5**).

---

ზოგადად ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნისა თუ რეგიონის შესწავლა წარმოუდგენელია მასში შემავალი ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მრავალმხრივი კვლევის გარეშე. ამ მიმართულებით წარმართული მუშაობა კი, უწინარეს ყოვლისა კონკრეტული რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შემადგენლობის სრულფასოვნად ცოდნას, განაშენიანების ძველი და თანამედროვე სურათის წარმოჩენას და ადგილობრივ მკვიდრთა ეთნოტერიტორიალური შემადგენლობის მოკვლევას გულისხმობს (ითონიშვილი, 1992:5-6).

საქართველოსთვის დამახასიათებელი ეროვნული/ეთნიკური მრავალფეროვნება იშვიათია მსგავსი მცირერიცხოვანი და პატარა ქვეყნებისთვის. ეროვნული /ეთნიკური ჯგუფებიდან გამოირჩევა აზერბაიჯანლები, სომხები, უკრაინელები, რუსები, ქურთები. ზოგიერთი მათგანი რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად კომპაქტურად ცალკეულ სოფლებსა და დაბებში ცხოვრობენ. მაგალითად კახეთში არის სოფელი თივი, სადაც ავარელები (ლეკები) ცხოვრობენ, რუს მოლოკანთა პატარა დასახლებაა გრაფოვკაში, უდინელების (უდების) დასახლება სოფელ ზინობიანში. ისინი კავკასიური ალბანეთის მკვიდრთა შთამომავლებად ითვლებიან, მშობლიური ენა დადესტნურ ენათა ჯგუფს განეკუთვნებიან, უდინები ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ეთნოსია მსოფლიოში. ჯავახეთში რუს დუხობორთა უკანასკნელი დასახლებაა - გორელოვკა, თითქმის დაცლილი სოფელი. ქურთები და აისორები თბილისში ცხოვრობენ,

რომლებიც ასევე იცვლიან საცხოვრებელს, წალკასა და თეთრიწყაროში ბერძნები მოსახლეობენ, ქისტები შავში, ასირიელები მცხეთაში, სოფელ ქანდაში, კახეთში ოსები და ა.შ. (ქიქოძე, 2009. N1 (28):97-99). საქართველოში ცხოვრობენ ბოშებიც, რომელთა გადმოსახლება XIX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო, განსაკუთრებით დაჩქარდა საბჭოთა პერიოდში. გადმოსახლება ძირითადად რუსეთიდან და უკრაინიდან ხორციელდებოდა. საქართველოში მათი განსახლების არეალი საკმაოდ ფართოა, თუმცა მცირერიცხოვანი. ისინი ცხოვრობენ ქვეყნის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილში. საქართველოში მცხოვრები ბოშები ორ მონათესავე შტოს განეკუთვნებიან, როგორც კულტურული ტრადიციებით, ასევე რელიგიური აღმსარებლობით თუ ლინგვისტური თავისებურებებით ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან (სორდია, 2009. N5.:90-93).

საქართველო თავისი ეთნიკური მრავალფეროვნებით ისეთ რთულ რეგიონშიც კი გამოირჩევა, როგორც კავკასიაა. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრაციის მექანიზმები ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კი მათ პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინეს.

ეთნიკური ხასიათის დაპირისპირებანი ხშირად სახელმწიფოსთვის ფართო მასშტაბის მქონე პრობლემად ყალიბდება. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ საქართველოს სამხრეთში მიმდინარე პროცესები 1918-



---

1921 წლებში. მართალია, რომ მესხეთის დაბრუნება სახელმწიფოს საზღვრებში უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოსთვის. ტერიტორიულ დაბრუნებასთან ერთად დაიწყო ეროვნულ-კულტურული კავშირის აღდგენაც. თუმცა ქართული ეროვნული შეგნების და კულტურის ათვისებას მესხეთში ხელს უშლიდა ერთის მხრივ რუსეთის მთავრობა, ხოლო მეორე მხრივ ოსმალური პოლიტიკა, როცა მუსლიმ მოსახლეობას თავისკენ მიიზიდავდა (ნოზაძე, 1989:108).

### დასკვნა

საქართველოს მოსახლეობის ეთნო-კულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ/ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფაცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა და შანსია მრავალფეროვან მსოფლიოში ინტეგრაციისა და სახელმწიფო გაძლიერებისთვის. „დიალოგის წარმართვა სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანებს შორის არის ძალზე აუცილებელი თანამედროვე მსოფლიოში, ვინაიდან გლობალიზაცია, მასობრივი კომუნიკაციები და ტექნოლოგიები ინდივიდებსა და ჯგუფებს ისე აკავშირებენ, რომ ამისი წარმოდგენა ადრე შეუძლებელი იყო. თანამედროვე პერიოდში ძალზე განვიცდით განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების ზეგავლენას. შესაძლოა ჩვენ შევამციროთ

---

მათთან კონტაქტი ვინც არ გვგავს, მაგრამ ამისი შესრულებაც რთულია, ვინაიდან ირგვლივ აუცილებლად იარსებებს სხვებიც... ამიტომაცაა აუცილებელი დიალოგი“ (ქეროლი, 2009:17).

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Menteshashvili, AL. (2005). *XX Sauk'unis Gamochenili P'olit'ik'osebi da Dip'lomat'ebi*. Tbilisi. (მენტეშაშვილი, ალ. (2005). *XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები*. თბილისი);
2. Gachechiladze, R. (2011). *Akhlo Aghmosavleti, Sivrtse, khalkhi, P'olit'ik'a*. Tbilisi. (გაჩეჩილაძე, რ. (2011). *ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი, პოლიტიკა*. თბილისი);
3. Nozadze, V. (1989). *Sakartvelos Aghdgenistvis Brdzola Meskhetis Gamo*. Tbilisi. (ნოზაძე, ვ. (1989). *საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო*. თბილისი);
4. Sordia, G.(2009). *Boshebi Sakartveloshi*. Zhur. „Solidaroba“. N5. (32). (სორდია, გ. (2009). *ბოშები საქართველოში*. ჟურ. „სოლიდარობა“. N5. (32));
5. Kikodze, A.(2009). *Rogor Vighebdi Ganskhvavebasa da Msgavsebas*. Zhur. „Solidaroba“. N1. (28). (ქიქოძე, ა. (2009). *როგორ ვიღებდი განსხვავებასა და მსგავსებას*. ჟურ. „სოლიდარობა“. N1.(28));
6. Itonishvili, V. (1992). *Aghmosavlet Sakartvelos Mtianetis Ist'oriidan*. Tbilisi. (ითონიშვილი, ვ. (1992). *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან*. თბილისი);
7. Keroli, B.Zh. (2009). *Tsivilizatsiata Dialogi*. Tbilisi. (ქეროლი, ბ. ჯ. (2009). *ცივილიზაციათა დიალოგი*. თბილისი);

8. Put'k'aradze, T. (1998). *Etnik'uri St'rukt'ura da Erovnul-Demograpiuli P'rotsesebi Samtskhe-Javakhetshi*. Batumi. (ფუტკარაძე, თ. (1998). *ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში*. ბათუმი);
9. file:///C:/Users/user/Downloads/335-Article%20Text-764-1-10-20191104.pdf;
10. [http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi\\_Saqartveloshi.pdf](http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi_Saqartveloshi.pdf);

## Prospects for creating an ethno-visual atlas of Turkish Georgians

### **Manuchar Loria**

Associate professor  
Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
mloria@bsu.edu.ge

### **Tamila Lomtavidze**

Senior Scientific Fellow  
Batumi Shota Rustaveli State University  
Niko Berdzenishvili Institute of  
Georgia, Batumi  
tamila.lomtavidze@bsu.edu.ge

### **Roin Malakmadze**

Senior Scientific Fellow  
Batumi Shota Rustaveli State University  
Niko Berdzenishvili Institute  
Georgia, Batumi  
roin.malakmadze@bsu.edu.ge

### **Abstract**

Ethnographic life of Turkish Georgians keeps some interesting side of Georgian traditional manufacturing practice and material or spiritual culture, many such details, that are either forgotten or just kept at a home usage level in Georgia. But the rapid dynamics of culture causes the disappearance of many elements from the traditional culture preserved by Turkish Georgians.

Considering all above mentioned, the importance of video monitoring and aims and tasks of creating video atlas and anthropological film based on visual materials are analyzed in the

given study. The creation of a video atlas of this type will play its role in solving the problem of transferring of original traditional ethno culture between generations. Thanks to video atlas enormous spiritual culture accumulated by generations will be available for a new generation of Turkish Georgians, it will create a sense of reciprocity with this culture, will help them to clearly perceive and completely and colorfully comprehend the Georgian culture of different eras, strengthen their sense of national pride and help them to perceive themselves as bearers of the cultural heritage of the people of ancient history and great traditional values. At the same time, this atlas will be important not only in terms of representing and preserving the cultural heritage of Turkish Georgians, but also a great opportunity to wake up and strengthen the interest of the Georgian people in this heritage. More and more people will know the ethnic culture preserved by Turkish Georgians and due to this, a sense of reciprocity of a historical destiny by local people will appear. Films will be the best opportunity for positive contacts for both parties.

**Keywords:** Ethno-visual; Georgia.

---

## თურქეთის ქართველთა ეთნოგეოგრაფიული ატლასის შექმნის პერსპექტივები

### მანუჩარ ლორია

ასოცირებული პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
mloria@bsu.edu.ge

### თამილა ლომთათიძე

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი  
საქართველო, ბათუმი  
Tamila.Lomtadze@bsu.edu.ge

### როინ მალაკმაძე

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი  
საქართველო, ბათუმი  
Roin.malakmadze@bsu.edu.ge

### ანოტაცია

თურქეთის ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფა ინახავს ქართული ტრადიციული საწარმოო პრაქტიკისა და მატერიალური და სულიერი კულტურის არაერთ საინტერესო მხარეს, ბევრ ისეთ დეტალსაც, რომლებიც თავად საქართველოში ან მივიწყებულია ან დღეს მხოლოდ საოჯახო მოხმარების დონეზეა შემონახული. მაგრამ კულტურის ძალიან სწრაფი დინამიკა იწვევს თურქეთის ქართველების მიერ შემონახული ტრადიციული კულტურიდან მრავალი ელემენტის გაქრობას.

ნაშრომში ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით გაანალიზებულია ვიდეო მონიტორინგის მნიშვნელობა და

---

ვიზუალური მასალის საფუძველზე ანთროპოლოგიური ფილმის, ვიდეო ატლასის შექმნის მიზნები და ამოცანები.

**საკვანძო სიტყვები:** თურქეთის ქართველები, ატლასი, ანთროპოლოგიური ფილმი, ვიდეო მონიტორინგი.

### მსჯელობა

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოფის, ტრადიციების და კულტურის შესასწავლად არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო, როგორც თურქეთის ფარგლებში მოქცეულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, ასევე, თურქეთის სიღრმეში, ქართველთა კომპაქტური განსახლების არეალში. დაფინანსდა და განხორციელდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, დაიბეჭდა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ არცერთ გამოკვლევას არ შეუძლია მოგვაწოდოს თურქეთის ქართველების ტრადიციული ყოფის ამსახველი ფაქტობრივი მასალა ისეთი სიზუსტით და სიღრმით, როგორც ეთნოგრაფიულ/ანთროპოლოგიურ ფილმს. სწორედ ვიზუალურ მასალას შეუძლია დააფიქსიროს და მოგვაწოდოს ის ინფორმაცია, რომლის გადმოცემაც შეუძლებელია მონოგრაფიებით. ვიზუალური მასალები, რომლებიც ინარჩუნებენ დროის რეალობას, წარმოადგენენ ახალი ჰიპოთეზის აღწერელ წყაროს (**Balikci, 1987; 1988; Mead, 1995; ლორია, 2008:81-88**). ამ მხრივ პროფესიულ დონეზე წარმოებული სამუშაოები იშვიათია და ამიტომაც თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების კულტურული მემკვიდრეობის აუდიოვიზუალური ფიქსაცია კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გვესახება.

თურქეთის ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფა ინახავს ქართული ტრადიციული საწარმოო პრაქტიკისა და მატერიალური და სულიერი კულტურის არაერთ საინტერესო მხარეს, ბევრ ისეთ დეტალსაც, რომლებიც თავად საქართველოში ან მივიწყებულია ან დღეს მხოლოდ საოჯახო მოხმარების დონეზეა შემონახული. მაგრამ კულტურის ძალიან სწრაფი დინამიკა იწვევს თურქეთის ქართველების მიერ შემონახული ტრადიციული კულტურიდან მრავალი ელემენტის გაქრობას. მწვავედ დგება თაობათა მიერ დღემდე მოტანილ ფასეულობათა შენარჩუნების საკითხი. ტრადიციული კულტურის ელემენტების თვითმყოფადი სახით შენახვა საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და თაობათა შორის ტრანსლაციის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაჭრაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ეთნოკულტურ ღირებულებათა ვიდეომონიტორინგს და მის საფუძველზე შექმნილ ვიდეოატლასს. ატლასის შედგენის ძირითადი წყარო (ლიტერატურულ და საარქივო-სამუზეუმო მონაცემებთან ერთად) იქნება ის ვიზუალური ისტორიულ-ეთნოლოგიური მასალები, რომლებიც სამეცნიერო ექსპედიციების პერიოდში ვიდეომონიტორინგის შედეგად დაგროვდება.

ეთნოკულტურულ ღირებულებათა ვიდეომონიტორინგი სავსე მუშაობის საინტერესო მეთოდია. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მოხდეს ტრადიციული კულტურის ისეთი ელემენტების ფიქსაცია, როგორცაა ტრადიციული ყოფა (მიწათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხალხური ხელოსნობა) და მატერიალური კულტურა (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ტანსაცმელი, ინვენტარი,



---

დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები), საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრება, სულიერი კულტურა (სახალხო დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი, ხალხური მედიცინა).

ეთნოგრაფიული მასალის ვიზუალური ფიქსაციის მეთოდები ცნობილი ანთროპოლოგის მარგარეტ მიდის მიერ პირველად 1936 წელს, ბალიზე საველე ექსპედიციის დროს იქნა გამოყენებული და იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მარგარეტ მიდი აღნიშნავდა:

1. ფილმის ანთროპოლოგიურ ტრადიციას ვიზუალური მეცნიერებისათვის აქვს უპირველესი მნიშვნელობა. სუფთა კინემატოგრაფიული მოსაზრებები გადადის მეორე პლანზე.

2. ნებისმიერი სცენარიზაცია, თუნდაც სცენარიზაციის მცდელობა, ეთნოგრაფ-ოპერატორის მიერ სრულიად უნდა გამოირიცხოს.

3. გადაღება თავიდან ბოლომდე უნდა მიმდინარეობდეს რეალურ დროში. ველზე ანთროპოლოგი უნდა იღებდეს ყველა მიმდინარე მოვლენას, მან უნდა დააფიქსიროს ყველა მოქმედი პირი გადაღებების მთელ პერიოდში. ეს უნდა იყოს ფილმი, როგორც ჩანაწერი, დოკუმენტი შემდგომი ანთროპოლოგიური ანალიზისათვის.

4. ვიზუალურ ანთროპოლოგიაში ძალიან მნიშვნელოვანია კონტექსტი. იგი შეიძლება იყოს ვიზუალური, ვერბალური და წერილობითი. ოპერატორმა კამერის საშუალებით უნდა აღნიშნოს და დააფიქსიროს ყველა მთავარი ელემენტი.

5. ანთროპოლოგისათვის მთავარი პრიორიტეტია მთლიანობა. ზოგადად ვიზუალური ანთროპოლოგიის მთავარი მიზანი კი უნდა იყოს კულტურის ილუსტრაცია და ანალიზი. ვიდეოკამერას აქვს დიდი მნიშვნელობა. იგი ერთბაშად აფიქსირებს ეთნოგრაფიულ ინფორმაციას დიდი ოდენობით.

6. ფილმის შექმნის ყველა ეტაპზე უნდა მონაწილეობდეს ანთროპოლოგი - საველე გამოკვლევებზე, კონცეპციის გამომუშავებაზე, გადაღებებზე, მონტაჟზე.

7. ეთნოგრაფიული ფილმის ძირითადი მოვლენები და ცენტრალური თემატიკა დაკავშირებული უნდა იყოს ანთროპოლოგიურ კონცეფციასთან, რომელსაც აქვს დიდი მეცნიერული ღირებულება. საერთოდ ეთნოგრაფიულ ფილმს ყოველთვის უნდა ახლდეს დაბეჭდილი ეთნოგრაფიული მასალა. ეს ფილმს ანიჭებს მაღალ ღირებულებას და წარმოადგენს თვალსაჩინო სახელმძღვანელოს უნივერსიტეტისათვის (Mead, 1995).

უკანასკნელ წლებში ხშირია შემთხვევები, როცა მკვლევარები ველზე სამუშაოდ გადიან ვიდეოკამერით. ამავე დროს, ბოლო პერიოდში დიდია ტრადიციული ყოფით მასმედიის დაინტერესებაც, მაგრამ ხშირად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, განსაკუთრებით ტელევიზიით, ხდება ეთნოკულტურის ელემენტების, სულიერი კულტურის ბევრი ნიუანსის მცდარი ინტერპრეტაცია, რაც ზოგჯერ არასწორ დამოკიდებულებას აყალიბებს ტრადიციული კულტურული ღირებულებების მიმართ. ვიდეომონიტორინგი არის ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, წეს-ჩვეულების თუ რიტუალის არა უბრალოდ დაფიქსირება, არამედ ყოველმხრივ გააზრებულიად, გეგმაზომიერად და მეთოდურად გამართულად წარმოებული საველე გადაღებები, რაც შექმნის სიღრმისეულ ინფორმაციას ეთნოკულტურის ამა თუ იმ ელემენტის შესახებ, ეთნოკულტურულ ღირებულებათა რეალურ სურათს (ლორია, ლომთათიძე, 2011:445-447).

ვიდეომონიტორინგის დროს მკვლევარი ველზე არის დამკვირვებელი, რომელიც ეძებს ხალხის წიაღში შემონახულ ტრადიციულ ელემენტებს და ვიდეოკამერის მეშვეობით

ავიქსირებს. ობიექტურობა და მოვლენის რეალურად ასახვა არის ვიდეომონიტორინგის ერთერთი აუცილებელი პირობა. ამგვარი მიდგომა იცავს ეთნოკულტურის ელემენტს დამახინჯებისაგან და მომავალ თაობებს უნახავს არა სუბიექტურ ინტერპრეტაციას, არამედ ობიექტურ რეალობას.

ვიდეომონიტორინგის შედეგად დაგროვდება თურქეთის ცალკეული კუთხეებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ქართველების ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი დიდი მოცულობის ვიზუალური მასალა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შეიქმნას ვიდეოასტლასი, რომელზეც აისახება თურქეთის თითოეული მხარის, რეგიონის ქართული სოფლების ტრადიციული ყოფის რეალური სურათი და მათ მიერ დღემდე სათუთად შემონახული ქართული ეთნოკულტურული მემიკვიდრეობა.

ასეთი ატლასი არ არსებობს არა თუ თურქეთის ქართველების, არამედ საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების შესახებ. თურქეთის ქართველების შესახებ არაერთი ექსპედიციის თუ სამეცნიერო ნაშრომის საფუძველზე შესაძლებლად გვესახება ასეთი ატლასის მომზადება, რომელშიც ვიზუალურად, ანთროპოლოგიური ფილმების სახით იქნება მოცემული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული ნაწილის ეთნოგრაფიული წარსულის მნიშვნელოვანი მხარეები.

თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს ეთნიკური ქართველების სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც განსხვავდებიან არა მხოლოდ თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მათი მოქცევის თარიღით, ადგილმდებარეობით, ისტორიით, არამედ ეთნოკულტურის ელემენტების შემონახულობის ხარისხითაც. თითოეული ჯგუფის მსგავს და განმასხვავებელ

ნიშნებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი, მაგრამ დროსთან ერთად მათ ცხოვრებაში ბევრი რამ იცვლება. ტრანსფორმირდება ან სულაც იკარგება მრავალი ელემენტი. მათი დაფიქსირება ამ ეტაპზე შემონახული სახით ძალზე მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველების ინტეგრირება თურქულ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, ქართული ეთნოკლტურული ფასეულობები, როგორც ეროვნული იდენტობის ფაქტორები თითქმის ყველა ჯგუფმა შემოინახა. თურქეთის ქართველების ეთნოვიზუალური ატლასის შექმნის პერსპექტივებს, ამჯერად, განვიხილავთ მხოლოდ დევსქელის ხეობის მაგალითზე, იმიტომ, რომ ეს ხეობა და აქ მცხოვრები მოსახლეობა არ მოწყვეტია თავის ისტორიულ საცხოვრისს, არ შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი. ისინი თავიანთი წინაპრების მიწა-წყალზე, ტრადიციულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ (თურქეთის ეს რეგიონი ადრე საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო და, შესაბამისად, ეს ტერიტორია ქართველი ხალხის განსახლების არეალი იყო), შეინარჩუნეს ფაქტიურად უმნიშვნელოდ ტრანსფორმირებული ეთნოკულტურული ელემენტები, წინაპართა ტრადიციები, მშობლიური ქართული ენა, ქართული თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურის ფასეულობანი, ეთნიკური თვითშეგნება და ეს ხეობა ერთგვარ „ქართულ ოაზისს“ წარმოადგენს თურქეთში. ამავე დროს, მცირე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევა-ძიება რეგიონის დაწვრილებით და სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა. ქართული ეთნოლოგიის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას თანხმად, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე,

უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე (ჩიტაია, 2001:78-85).

ვიზუალური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით, დევსქელის ხეობა საინტერესოა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

- ეს ტერიტორია ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც, ძირითადად, მხოლოდ ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს. სხვა ქართული ხეობების მსგავსად, აქ დღემდე კარგადაა შემონახული ქართული თვითმყოფადობა – ქართული სალაპარაკო ენა, ქართული ლექსიკური ფონდი, ქართული გვარსახელები, ქართული ტოპონიმები, ქართულ წესჩვეულებათა არქაული ელემენტები, რომლებმაც გაუძლეს უცხოურ (თურქულ) გავლენებს და დღემდე შეინარჩუნეს ის ძველი ნიუანსები, რომლებიც სხვა კუთხეთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ ყოფაში წაშლილია ან მკრთალად შემორჩა.

- საკვლევ რეგიონში მრავლადაა შემორჩენილი სხვადასხვა ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები, საცხოვრებელი, სამეურნეო, საფორტიფიკაციო ნაგებობები, ასევე ქრისტიანული კულტმსახურების ძეგლები (ზაგინის ეკლესია, მამაწმინდა//მარმარწმინდა) (მაღაყამაძე, 2008:123-124). ძეგლების ისტორიის, არქიტექტურისა და ფრესკული მხატვრობის ირგვლივ მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. განსაკუთრებით საშური საქმეა კედლის მხატვრობის ფიქსაცია-კონსერვაცია, რაც მით უფრო საჩქაროა ფერწერის მძიმე მდგომარეობის გამო.

- დევსქელისა ხეობის მოსახლეობის მეხსიერებაში დღესაც შემორჩენილია ქართული სულიერი კულტურის ბევრი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელთა შორის საგანგებოდაა აღსანიშნავი თამარ მეფესთან დაკავშირებული

გადმოცემები, რომლებშიც გაცოცხლებულია მისი ეპოქის სამეურნეო და კულტურული ძლიერების ნიშანდობლივი ასპექტები. გადმოცემებმა შემოგვინახა აქაურთა თავგანწირული ბრძოლის მაგალითები ოსმალთა მოძალეობისა და მათი ბატონობის წინააღმდეგ. გამუსლიმების შემდეგაც ისინი დიდხანს ინახავდნენ და ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს (შობა, აღდგომა, ელიობა, ახალი წლის დღესასწაული).

• ხეობის მოსახლეობის ყოფის ვიდეომონიტორინგი და ფიქსაცია საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. იგი, ერთი მხრივ, ახლოსაა ამიერტაოსთან, მეორე მხრივ, შედის ისტორიულ ნიგალის (ლიგანის) ანუ დღევანდელი ლივანის ხეობაში და ესაზღვრება ლაზეთს. აქედან გამომდინარე, აქ არსებული ლექსიკური ფონდის აუდიოვიზუალური ფიქსაცია ასახავს, თუ რა გავლენა იქონია ამ სიახლოვემ დევსქელისა ხეობის მოსახლეობის მეტყველებაზე, მათ ლექსიკაზე.

ეს ის ძირითადი კრიტერიუმებია, რამაც განაპირობა ვიდეომონიტორინგისა და ვიდეოატლასის შექმნის პერსპექტივების განხილვა დევსქელის ხეობის მაგალითზე.

დევსქელის ხეობა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ყოველმხრივ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. მასზე ცნობები მოგვეპოვება როგორც ძველ ისტორიულ წყაროებში, ასევე, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში, ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. არსებული მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ ეს რეგიონი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი მეცნიერული შესწავლის გარეშე

შეუძლებელია სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაზე, ეთნოლოგიაზე, ფოლკლორსა და დიალექტოლოგიაზე, სხვა კულტურულ-ისტორიულ ფასეულობებზე.

ამ რეგიონში კვლევითი ჯგუფის მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ ხეობის სოფლები დასახლებულია, ძირითადად, ძირძველი ქართველებით, რომლებსაც კარგად აქვთ შენარჩუნებული ტრადიციული ყოფა და კულტურა. მათთან ადვილია კომუნიკაციის დამყარება (რაც არც თუ უმნიშვნელო ფაქტორია უცხო ქვეყანაში მუშაობისას!), რადგან მშობლიური ქართული ენასთან ერთად აქაურთა ყოფაში კარგადაა შემონახული ქართული იდენტობა. ეს ხეობა ტიპურ სურათს იძლევა საქართველოს მთიან ხეობათა შორის ვერტიკალური ზონალობის თვალსაზრისით, რამაც დიდი გავლენა იქონია აქაური დასახლების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, საცხოვრებელ ნაგებობათა დაგეგმარებასა და განლაგებაზე, მთური ტიპის მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ფორმირებაზე, აქაურთა ცხოვრების წესზე. მაგრამ, ამავე დროს, ისინი ხასიათდებიან ლოკალური თავისებურებებით, მატერიალური და არამატერიალური კულტურის არქეტიპების ტრანსფორმაციით, დედა სამშობლოსაგან მოწყვეტისა და უცხო ეთნიკურ გარემოში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გამო. ამდენად, ეს რეგიონი საშუალებას იძლევა განხორციელდეს დევსქელის ხეობის სოფლების ისტორიული გეოგრაფიის, ეტიმოლოგიის, დასახლების სტრუქტურისა, გვარობრივი შემადგენლობის, ტოპონიმიკური მონაცემების, მეურნეობის ტრადიციული დარგების (მემინდვრეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა), მატერიალური კულტურის (საცხოვრებელი და სამეურნეო



ნაგებობანი, ტანსაცმელი და ჩაცმულობა, კულტურის ძეგლები ხალხური სამზარეულო, დეკორატიული ხელოვნება), სულიერი კულტურის (ხალხური დღეობა-დღესასწაულები, ხალხური მუსიკალური კულტურა, ქორეოგრაფია, გართობათამაშობანი, ხალხური მედიცინა), დემოგრაფიულ-მიგრაციული პროცესების, ისლამის გავრცელების და ყოფასა და კულტურაზე მისი გავლენის, თანამედროვე ყოფისა და კულტურის, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ვითარების, საოჯახო ურთიერთობების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ხიდების, ეკლესიათა ნაშთების და სხვ. ფოტო და ვიდეოფიქსაცია და ვიდეომონიტორინგის საფუძველზე შექმნილ ვიდეოატლასში აისახოს აქაურ ქართველთა ისტორიულ მემკვიდრეობაში შემონახული და ყოფაში დაცული ქართული იდენტობის ფაქტები, აქ დღეს მიმდინარე ეთნოკულტურული პროცესები, რაც ისტორიულ სამშობლოსთან ხანგრძლივი დამორების პირობებში და კავშირების აღდგენის შემდეგ მიმდინარეობს. ეს მასალა მოცემული იქნება თითოეულ ელემენტზე შექმნილი ანთროპოლოგიური ფილმის სახით. ასეთი ფილმისთვის საინტერესო მასალას იძლევა დევსქელის ხეობისათვის დამახასიათებელი მთური მესაქონლეობა.

დევსქელის ხეობა ისტორიულ ნიგალში//ლიგანში შედის - ბორჩხადან თეთრიწყლის სათავემდე (2800-3000 მეტრი ზღვის დონიდან). იგი თემის ტიპის დასახლებაა, ამავდროულად, სოფლის სახელწოდებასაც წარმოადგენს (**მგელაძე, 2016:283**). დევსქელის ქართველთა სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია მთიანი აჭარისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ცხოვრების წესისა - ზამთრობით ბარში, ხოლო ზაფხულობით რამდენიმე თვეს ალპურ საზაფხულო



სამოვრებზე - „თეთრი წყლის“ საზაფხულო იალაღებზე ატარებენ, სადაც თავს იყრის ხეობის სოფლების არავეთის, დევსქელის, ბაგინის, შუახევის და სხვ. მოსახლეობა. ყველა სოფელს თავისი „მთა“ ანუ დროებითი, სეზონური დასახლება - „იაილა“ აქვს. აქ იალათა დაჯგუფებებიც არსებობს. ასეთებია ბაგინი იაილები, შუახევი იაილები, დევსქელისიაილები (**მგელაძე, 2016:360**) იაილებში ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ვიდეომონიტორინგი და მის საფუძველზე შექმნილი ანთროპოლოგიური ფილმი, რის გამოცდილებაც უკვე არსებობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში (ფილმი „ლიგანის ხეობა“, 2003; ალპური დასახლება აჭარაში (**გოდერძის უღელტეხილი - ბეშუმე, 2007**)).

თურქეთის ქართველების ტრადიციული ყოფის ეთნოვიზუალური ასახვის საუკეთესო ნიმუშია. მაისის თვეში საქონელი საზაფხულო იალაღებზე გადაჰყავთ. დევსქელის ხეობის მოსახლეობას იაილები კარჩხლის მთაზე ჰქონდათ (**მალაყამაძე, 2008:101**) კარჩხლის ქედიდან იღებს სათავეს დევსქელის ხეობაც, რომელიც ჭოროხს ბორჩხასთან ერთვის. ადრე ოჯახს ყოლია საშუალოდ 40 ცხვარი, 100 თხა, 15 ძროხა და 1 ცხენი (**თოფჩიშვილი, 2017:78**). დღეს მესაქონლეობას დევსქელის ხეობაში აღარა აქვს ისეთი ფართო მასშტაბები, როგორც მას ადრე ჰქონდა ოჯახებში. ახლა აქ ერთი ან რამდენიმე დიდი წველადობის ძროხა ყავთ, ძირითადად, ოჯახის საჭიროებისათვის. საქონლის მოვლა-პატრონობა აქ მემორდეს - ოჯახის თავ-ქალს ევალება. გავრცელებულია საქონლის მიბარების - მინდის// მანიდის წესი, მაგრამ მხოლოდ ახლობლისთვის და სრულიად უსასყიდლოდ. ანალოგიური სიტუაციაა აჭარის ალპურ მესაქონლეობაშიც. აქაც საქონელი გაზაფხულიდან ჯერ ყიშლები, ხოლო შემდეგ

იაილებში გადაყავთ. საქონლის მოვლა-პატრონობას და რძის პროდუქტების დამზადებას ოჯახის უფროსი ქალი - მემთევარი ხელმძღვანელობს. აჭარაშიც მოქმედებს საქონლის გაბარების წესი, ოღონდ აჭარაში ამ სამსახურისთვის მემთევარს გარკვეული გასამრჯელო რჩება რძის პროდუქტის სახით (**შამილაძე, 1969**), მაშინ, როცა დევსქელის ხეობაში მემორდე იგივეს სრულიად უსასყიდლოდ აკეთებს, რადგან აქ მხოლოდ ძალიან ახლობლებს შეუძლიათ საქონელი მიაბარონ მას. თან ეს საქონელი არაა მრავალრიცხოვანი. მემორდე ნამატს და დაგროვებულ რძის პროდუქტს მთლიანად აბარებს საქონლის პატრონს.

თურქეთის ქართველების ყოფა და საქმიანობა იაილებში ფაქტიურად ისეთივეა, როგორც მათ ისტორიულ სამშობლოში. იაილაში ძირითადად ერთსართულიანი, იშვიათად მანსარდიანი ხის სახლები („შემის“ სახლები, როგორც ადგილობრივები ეძახიან) და სამეურნეო ნაგებობები ტერასულადაა განლაგებული ფერდობზე გამავალი გზის ორივე მხარეს, რასაც მთის ფერდობების ბუნებრივი სტრუქტურაც განაპირობებს. ტერასებზე სახლები ჯგუფებადაა განლაგებული. აქ ძველ სახლებთან ერთად მრავლად გვხვდება ახალი, თანამედროვე ტიპის სახლები და ძალზე იშვიათად სახლის სრულიად არქაული ტიპი - ჯარგვალური სახლი. ამასთან ძველი სახლები თავისი სტრუქტურით ისეთივე ტიპისაა, როგორც საქართველოს ალპური დასახლებისათვის დამახასიათებელი სეზონური სახლები (რა თქმა უნდა უფრო კომფორტული და კეთილმოწყობილი, რისი შედარების საშუალებასაც მოგვცემს სწორედ ვიდეომონიტორინგი). მათი უმრავლესობა მთის ფერდზეა მიდგმული, რის გამოც სახლი წინა, გზისკენ მიმართული მხრიდან ერთსართულიანია, ხოლო უკანა მხრიდან - ორსარ-

თულიანი. ამ ნაწილში მოწყობილია ყორე-ქვით ნაგები საქონლის სადგომი. თუმცა ახალაგებულ სახლებში საცხოვრებელი ნაწილი და ახორი აღარ გვხვდება ერთ კომპლექსში და უკვე საცხოვრებელიდან გამოყოფილია. ძალზე საინტერესოა იაილებში შემონახული ძველი, ჯარგვალური ტიპის სახლები. ასეთი სახლები ყავრითაა გადახურული და მიუხედავად იმისა, რომ დღეს შედარებით მოდერნიზებულია (თანამედროვე მასალით გადახურვა, ღუმელი, ხის იატაკი...), შენობაში „იკითხება“ ასეთი ტიპის ნაგებობისათვის დამახასიათებელი ელემენტები: უფანჯრო ოთახი, სახურავში გამოჭრილი სარკმელი, მიწური იატაკი, კერის - „ოჯალის“ ადგილი და სხვ. ამგვრად, მიუხედავად იაილის სახლების მოდერნიზებისა, რაც თანამედროვე ცხოვრების წესებთან ადაპტაციის შედეგია, ისინი ინახავენ სეზონური დასახლების დროებითი საცხოვრებლისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და ორგანულ მგავსებას ავლენენ სეზონური საცხოვრებლების მშენებლობის ქართულ ტრადიციებთან (მაღაყმაძე, 2017:194-195), მეტიც, სახლის და საკარმიდამოს მოწყობის ქართული ტრადიციული ელემენტები შენარჩუნებულია დევსქელის ხეობის სოფლების დასახლებაშიც. აქაც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგან ახალი ტიპის, რამდენიმესართულიან საცხოვრებელ სახლებს ჩაუნაცვლებიათ ძველი სახლები, მაინც მრავლად გვხვდება ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ე.წ. „ლაზური“ სტილის შეუღესავი, ფახვერკული წყობის ნაგებობები. აქაურებს კარგად ახსოვთ საცხოვრებელი ნაგებობის უძველესი ტიპი - ფაცხაც, რომელიც გასული საუკუნის შუახანებამდეც არსებობდა დევსქელის სოფლებში. ასევე კარგადაა შემონახული დევსქელის ხეობაში ტრადიციული საკარმიდამო კომპლექსი, რომელიც საცხოვრებელ

ნაგებობასთან ერთად მოიცავს სამეურნეო ნაგებობებს - ნალიას, საბძელს, კალოს. საინტერესოა, რომ იმ სახით, როგორც ეს დევსქელის ხეობაშია შენარჩუნებული, საქართველოში აღარ გვხვდება. აქ თანამდროვე, კომფორტული სახლების გვერდითაც კი შენარჩუნებული აქვთ ტრადიციული სამეურნეო ნაგებობები. ზოგ სოფელში გვხვდება ორსართულიანი დამხმარე სამეურნეო ნაგებობა, რომლის პირველი სართულ ახორს - საქონლის სადგომს წარმოადგენს, ხოლო მეორე სართული თივისა და ჩალის შესანახი საბძელია. გვხვდება ერთსართულიანი საბძელებიც. სიმი-ნდის შესანახად ხის ფეხებზე მდგარ ნალიას (სერენს) იყენებენ, რომლის პირველ სართულს აქ დამატებითი ფუნქცია შეუძენია (საქართველოსაგან განსხვავებით) და ზაფხულობით სტუმრების მისაღებად გამოიყენება.

საინტერესოა, რომ დევსქელის სოფლებში საბძელისა თუ სხვა სამეურნეო ნაგებობების ჩასაკეტად დღესაც იყენებენ უძველესი ტიპის საკეტს დათვა-ბოყვას, რასაც აქ დათვა-კილტეს ეძახიან. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან აჭარული დათვა-ბოყვა უძველესი ტიპის საკეტია, რომელიც, ანალოგიურია ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახული მზე-ღვთაების გასაღებებისა და ასახავს ქართველი და ძველი აღმოსავლეთის ხალხების შეხედულებებს ცის კარების გასაღების მფლობელი მზის ღვთაების შესახებ (**ჩიტაია, 2000:353-354**). ამგვარი საკეტებს აპოთროპიული დანიშნულება ქონდათ და გასული საუკუნის 30-იან წლებამდე აქტიურად გამოიყენებოდა, თუმცა დღეს მთლიანად გამქრალია ყოფიდან. თურქეთის ქართველთა ყოფაში დღემდე შემორჩენილი ამ არქაული ელემენტის ვიზუალური დაფიქსირება, რაც ქართულმა სინამდვილემ ვერ შემოინახა, ძალზე მნიშვნელოვანი და საშური საქმეა.

საკარმიდამო კომპლექსში შედის სახლთან ახლოს მდებარე ბაღჩა-ბოსტანი, ხილის ანუ მეივას ბაღი და სიმი-ნდის (ადრე ქერის, ხორბლის და ა.შ.) ნათესები, რომელსაც აქ ვენახს ეძახიან (მაღაყმაძე, 2008:61). ამგვარად, ვენახი „კარწინა ყანა“, იგივე ბაღჩაა, ხოლო „ყანას“ მოშორებულ ნაკვეთს ეძახიან. ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი საკარმიდამო ნაკვეთში ეჭირა კალოს - ხორბლის სალექ ადგილს, რომელიც საბძელთან ახლოს მდებარეობდა, მაგრამ დღეს ფუნქცია დაკარგული აქვს და ძალზე იშვიათად თუ გვხვდება საკარმიდამო კომპლექსში.

უძველესი ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები (სახლი, ნალია, საბძელი....), სასწრაფოდ დასაფიქსირებელ და დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს, რადგან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თურქეთის ქართველთა ყოფაში დღემდე შემონახული ქართული ტრადიციული არქიტექტურის ამ ელემენტების ტრანსფორმაცია და გაქრობა ყოფიდან. ამ არქაული ელემენტების ვიდეომონიტორინგით შესაძლებელი იქნება მათი ობიექტური სიზუსტით აღნუსხვა. ეს მასალა ვიდეოატლასის ღირებული ნაწილი იქნება.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია განხორციელდეს სულიერი კულტურის ელემენტების ვიდეომონიტორინგი, რადგან სულიერ კულტურას ყველაზე მეტად შეეხო ტრანსფორმაციის პროცესი. სულიერი კულტურის კომპონენტები, ფაქტიურად, ყოველდღიურად განიცდიან ცვლილებებს და დღეს, ტრადიციული კულტურული ღირებულებების მეტამორფოზის პირობებში ამ ელემენტების ვიდეოფიქსაცია მათი შენახვის, ალბათ, ერთადერთი გარანტიაა. აქაც საქმე გვაქვს მეტად საინტერესო მომენტთან: თურქეთის ქართველებმა სულიერი კულტურის ისეთი ღირებული ელემ-

ენტები, რწმენა-წარმოდგენათა და წეს-ჩვეულებების არქაული კომპონენტები შემოინახეს, რაც თავად საქართველოში გამქრალია.

დევესქელის ხეობის მოსახლეობამ შემოინახა როგორც ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ისეთი ტრადიციული ელემენტები, როგორცაა საახალწლო წეს-ჩვეულებები (კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი, სიმბოლური თესვა, მეკვლეობის ინსტიტუტი, მფერხაობა ხბოთი ან ბატკნით, „უბირი წყლის“ მაგია, სირსვალის დამზადება და სხვ.), მოსავლის მოყვანასა და დაცვა-შენახვასთან (კანოხი, ბახურა, გარგნობა, თველი//მოზარგობა, ხარმანობა) დაკავშირებული რიტუალები, ბრძნილობები და აკრძალვები, ხალხური გართობა-თამაშობები (დომბალა, ნენებუნაი, ხირსუზობა, მისკეტი, ყალე, ერთი-ერთი, ორვირობანა, ჯუზი და სხვ.), სიმღერები და შაირები, ხალხური მკურნალობის წესები და სხვ. (მაღაყმაძე, 2017:188-189), ასევე სულიერი კულტურის ისეთი ორიგინალური ელემენტი, როგორცაა „ცოცხობა“, რომელიც 7 მაისს იმართებოდა და წყლის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ რიტუალებს შეიცავდა. 7 მაისი მაგიურ დღედ ითვლება აჭარაშიც, ოღონდ ამ დღეს რაიმე რიტუალის შესრულება, გარდა იმისა, რომ სწამთ, ამ დღეს აუცილებლად გაწვიმდება და კარგია თავის დასველება ამ წვიმით, თმები რომ კარგა გაეხარდოთ, აჭარაში არ შემონახულა. მაშინ, როცა დევსქელის ხეობაში 7 მაისს მრავალი ნარატივი და ჩვეულება უკავშირდება. 7 მაისს „ცოცხობას“ ეძახიან. სწამთ, რომ ამ დღეს 7 თუთა ჩამოვარდება მიწაზე, ბალახის 7 შეკვრა უნდა დაამზადო, უნდა დასველდე („წყალი გარგებს, ილაჯი იქნება, თმა გეიზდება, თავი არ გეტკინება“) და სხვ. „ცოცხობა“, გადმოცემით,

ადგილია სადაც არის მკავე წყლები, რომელშიც 7 მაისს უნდა განიბანო. სხვა მონაცემით, ამ დღეს ზიარეთობაზეც მიდიოდნენ „გოგო მეზირზე“ (საფლავზე), სადაც ორი წმინდა წყარო ყოფილა. ამ წყლის დაღევაც აუცილებლად ითვლებოდა და მასში განბანვაც. მიდიოდნენ ახალგაზრდებიც და ასაკიანებიც, ძირითადად, ქალები. წყალში განბანის შემდეგ აქ დატოვებდნენ ჩაკოჭილ ძაფს - „ჩემი ავადმყოფობა აქ დარჩესო“ (ლომთათიძე, 2017). ამ რიტუალების ვიდეოფიქსაცია 7 მაისის საკრალიზაციისა და აჭარაში მივიწყებული მაგიურ-რიტუალური მნიშვნელობის საწყისების აღდგენის საშუალებას მოგვცემს.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ტრადიციული იყო ამ ხეობაში გავრცელებული შუამთობის//მარიობის დღესასწაული, რომელიც მთაზე ყოფნის შუა პერიოდში იმართებოდა და თან ახლდა ისეთი რიტუალები, როგორიცაა: ქურთობა//ქურდობა, ფატმა, ბულების ჭედვა (ჭიდაობა), სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, ხალხური გართობა-თამაშობანი, ცეკვები (დუზხორუმი, ჰემშილსამა, ჩაფთეთელი, ათაბარი, დელი ხორონი, ფაცა-ფუცა), წმ.წყალში („თეთრი წყალი“) განბანვის რიტუალი და სხვ. შუამთობის დღესასწაულს ამ ხეობაში წინ უძღოდა მემხლიანობის//მენხლიანობის რიტუალი, რომელიც გარეული, ველური ჯიშის მხალეულისა და ბალახეულის შეგროვებას გულისხმობდა. მენხლიანობაზე მიდიოდნენ მთაში იაილებზე ასვლიდან ათი დღის შემდეგ („ათი დღის მერე რომ ამუალთ, წავალთ მოსაცრევლად დვარულის (მთის ველური მხალი)“ ან „ახალათ კი ამოვალთ, მეცრევთ ბალახ და ჩიჩკე (ყვავილი)“). მემხლიანობას რომ მაგიური რიტუალის დანიშნულება ქონდა, ჩანს დევსქელის იალებზე გავრცელებულ ასეთ ჩვეულებაში: „დვარულის ცრევენაზე (კრეფა) მარსკლავა გოზე



(ვარსკვლავა ტბაზე) მივდიოდით შუანთობამდე. თაზე რომ ევდოდით ახლად. გოლზე იბანდნენ, დედაბრები იმღერებდნენ ცრევნაში, ისამებდნენ ჯილველოს“. დაბანა აუცილებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 3000 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარე ტბის წყალი ძალიან ცივია (ისე ცივია, საზამთრო გახეთქაო, გადმოგვცემს ინფორმატორი) (ლომთათიძე, 2017). ყველა ეს ელემენტი მემხლიანობის რიტუალურ დანიშნულებაზე მიუთითებს და აჭარაში გავრცელებული შუალთობის დღესასწაულის ზოგიერთი მომენტის ახსნის საშუალებას იძლევა. ამდენად, ამ ჩვეულების ვიდეოფიქსაცია ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენის ამსახველი არქაული რიტუალის რეკონსტრუქციის საშუალებას მოგვცემს.

ეთნოკულტურულ ღირებულებათა ფიქსაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა ნახაზები, სქემები და, განსაკუთრებით, ფოტოები. მათში შენახულია ფასეული ინფორმაცია ეთნოსის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ასეთი ფოტოები ინახავენ ბევრ ისეთ ელემენტს, რაც ყოფიდან გამქრალი და მივიწყებულია. ფოტოებში შემონახული ეს ინფორმაცია მეცნიერთა არაერთ თაობას გაუწევს ფასდაუდებელ სამსახურს. ასეთი ფოტოების გამოყენება ვიდეოატლასის შექმნისას ვიზუალურ ინფორმაციას ხელმისაწვდომს გახდის როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

ვფიქრობთ, ვიდეოატლასი წარმოდგენილი უნდა იყოს თურქეთის თითოეული მხარის, რეგიონის, ხეობის ქართუველებით დასახლებული სოფლების თვითმყოფადი ტრადიციული კულტურის ცალკეული ელემენტების, რიტუალების, ჩვეულებების და სხვა კომპონენტების შესახებ გადაღებული ვიდეოფილმებისა და ფოტოების სახით, რომელიც ტექნიკურად ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები



იქნება ყველა ასაკისა და პროფესიის მაცურებლისთვის. მართალია, ვიდეომონიტორინგის დროს დაფიქსირებული მთელი მასალა ვერ შევა ატლასში, მაგრამ მოხდება მათი არქივაცია და შეიქმნება მონაცემთა ბაზა, რაც სამეცნიერო მუშაობის ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს. ვფიქრობთ, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების შესახებ სამეცნიერო და აუდიოვიზუალური მასალის საფუძველზე მომზადებული ეთნოვიზუალური ატლასი იქნება აქაურთა ყოფის ვიდეოდოკუმენტაცია.

ამ ტიპის ვიდეოატლასის შექმნა თავის როლს ითამაშებს ქართველი ხალხის თვითმყოფადი ტრადიციული ეთნოკულტურის თაობათა შორის ტრანსლაციის პრობლემის მოგვარებაში. ვიდეოატლასის მეშვეობით თაობების მიერ დაგროვილი დიდი სულიერი კულტურა ხელმისაწვდომი იქნება თურქეთის ქართველების ახალი თაობისთვის, გააჩენს მათში ამ კულტურასთან თანაზიარობის განცდას. დაეხმარება მათ თვალსაჩინოდ აღიქვან და სრულყოფილად და ხატოვნად გაიაზრონ სხვადასხვა ეპოქის ქართული კულტურა, გააძლიერებს მათში ეროვნული სიამაყის გრძნობას და დაეხმარება მათ აღიქვან საკუთარი თავი უძველესი ისტორიისა და დიდი ტრადიციული ღირებულებების მქონე ერის კულტურული მემკვიდრეობის მატარებლად. ამავე დროს, ეს ატლასი იქნება მნიშვნელოვანი არა მხოლოდ თურქეთის ქართველების კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენისა და შენარჩუნების თვალსაზრისით, არამედ ამ მემკვიდრეობის მიმართ ქართველი ხალხის ინტერესის გაღვიძებისა და გაღრმავების საუკეთესო საშუალება. თურქეთის ქართველების მიერ შენახულ ეთნოკულტურულ ღირებულებებს სულ უფრო მეტი ადამიანი გაეცნობა თვალსაჩინოდ და ამით გაჩნდება აქაურთა ისტორიული

---

ბედის თანაზიარობის განცდა. ვიდეოფილმები დადებითი ემოციური კონტაქტების საშუალება იქნება ორივე მხარისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Topchishvili. (2017). *Ist'oriul-Etnograpiuli Samkhret Sakartvelo da Kartvelebi Turketshi*. Tbilisi. (თოფჩიშვილი. (2017). *ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთ საქართველო და ქართველები თურქეთში*. თბილისი);
2. Loria, M. (2008). *Etnograpiuli Pilmis Modelireba Vizualur Antrop'ologiaSi*. Khelovnebatmtsodneobiti Et'iudebi. Batumi. (ლორია, მ. (2008). *ეთნოგრაფიული ფილმის მოდელირება ვიზუალურ ანთროპოლოგიაში*. ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები. ბათუმი);
3. Loria, M. Lomtavidze, T. (2011). *T'raditsiuli K'ult'uris Videomonit'oringi da Etnograpiuli T'urizmi: Nigazeuli*. T'urizmi: Ek'onomik'a da Biznesi. Batumi. (ლორია, მ. ლომთათიძე, თ. (2011). *ტრადიციული კულტურის ვიდეომონიტორინგი და ეთნოგრაფიული ტურიზმი: ნიგაზული*. ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. ბათუმი);
4. Loria, M. Lomtavidze, T. (2011). *Etnok'ult'urul Ghirebulebata Videomonit'oringi da Videoat'lasI K'ult'uruli Memk'vidreobis Menejment'i. P'roblemebi da P'ersp'ekt'ivebi*. (ლორია, მ. ლომთათიძე, თ. (2011). *ეთნოკულტურულ ღირებულებათა ვიდეომონიტორინგი და ვიდეოატლასი კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი: პრობლემები და პერსპექტივები*. „Caucasus Journal of Social Sciences“ The University of Georgia. Volume 4. issue 1. თბილისი);

5. Lomtavidze, T. (2017). *Savele Dghiurebi*. (ლომთავიძე, თ. (2017). *საველე დღიურები*);
6. Malaqmadze, R. (2008). *Liganis Kheoba*. Tbilisi. (მალაყმაძე, რ. (2008). *ლიგანის ხეობა*. თბილისი);
7. Malaqmadze, R. (2017). *Samectsniero Mivlineba Devskelis Kheobashi*. Samkhret-Dasavlet Sakartvelos Etnologiis P'roblemebi. V. Batumi. (მალაყმაძე, რ. (2017). *სამეცნიერო მივლინება დევსქელის ხეობაში*. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. V. ბათუმი);
8. Mgeladze, N. (2016). *K'larjuli Sopeli-Dasakhleba, K'larjeti*. Batumi. (მგელაძე, ნ. (2016). *კლარჯული სოფელი-დასახლება, დასახლების აგებულება და განსახლება, კლარჯეთი*. ბათუმი);
9. Mgeladze, N. (2016). *Mat'erialuri K'ult'ura da Sameurneo Qopa*. „K'larjeti“. Batumi. (მგელაძე, ნ. (2016). *მატერიალური კულტურა და სამეურნეო ყოფა. „კლარჯეთი“*. ბათუმი);
10. *Pilmi - Alp'uri Dasakhleba Ach'arashi (Goderdzis Ughelt'ekhili - Beshumi)*. NBI. (2017). (Stsenaris Avt'ori da Redakt'ori Nodar K'akhidze, Rezhisori Manuchar Loria, Op'erat'or-Memont'azhe Tengiz Vadach'k'oria. (ფილმი - ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი - ბეშუმი). ნბი.( 2007). (სცენარის ავტორი და რედაქტორი ნოდარ კახიძე, რეჟისორი მანუჩარ ლორია, ოპერატორ-მემონტაჟე თენგიზ ვადაჭკორია);
11. *Pilmi - Liganis Kheoba*. (2003). Stsenaris Avt'ori R. Malaqmadze, Redakt'ori N.K'akhidze, Rezhisori-Memont'azhe -Tengiz Vadachk'oria. (ფილმი - ლიგანის ხეობა. (2003). (სცენარის ავტორი და ოპერატორი რ. მალაყმაძე,

- 
- რედაქტორი ნ.კახიძე, რეჟისორი-მემონტაჟე - თენგიზ ვადაჭკორია);
12. Shamiladze, V. (1969). *Alp'uri Mesakonleoba Sakartveloshi*. Tbilisi. (შამილაძე, ვ. (1969). *ალპური მესაქონლეობა საქართველოში*. თბილისი);
13. Chit'aia, G. (2000). *Ach'aruli Datva-Boqva*. Shromebi, T. II. Tbilisi. (ჩიტაია, გ. (2000). *აჭარული დათვა-ბოყვა*. შრომები, ტ. II. თბილისი);
14. Chit'aia, G. (2000). *Savele Etnograpiuli Mushaobis Metodi*. Shromebi, T. IV. Tbilisi. (ჩიტაია, გ. (2001). *საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდი*. შრომები, IV. თბილისი);
15. Balikci, A. (1987). *The Legacy of Margaret Mead: the Case of Visual anthropology*. In: Bulletin of the International Committee on Urgent Anthropological Research. Vienna. Vol. 8.;
16. Balikci, A. (1988). *Anthropologist and Ethnographic Filmmakers*. In: Anthropological Filmmaking. J' Rollwagen, ed. NY Harwood;
17. Mead, M. (1995). *Visual Anthropology in a Discipline of Words*. In: Principles of Visual Anthropology. P. Hockings, ed. Mouton.

---

## Laz vocabulary in „Adjarian dialect dictionary resources“

**Lile Tandilava**

Associate professor  
Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
lile.tandilava@bsu.edu.ge

### Abstract

Material I have found in Noghaideli's "Adjarian dialect vocabulary materials" shows that the dominance of Laz environment has led to a number of borrowings in Adjarian dialect, which are often used in the conversational part.

We will have to divide the materials into several parts:

1. Georgian language is characterized by borrowing the stem while verb borrowing and adding Georgian affixes. Examples below are good illustrations of this.

E.g. Adj. "ga -bghez-eba" J.N 49 p. - get angry

2. nouns that don't change the form:

Example: "dudi" – head (J.N) 96/ "dudi" -Head (227) A.T Laz toponyms. In Present Turkey there is a place – village "Azlagha", where the Laz Christians were beheaded and that place is called "Dudi Kvata" .

3.Nouns that change the form:

"Nogha" – young forest (J.N.)190/ "Nogha" – village center (A.T.)580.

4. Laz toponyms: in this materials we meet some toponyms:

"Ontapura" – gorge in the village Tskavroka (J.N.)195

Onta-pura/Puna Ontonu – dive (A.T) 640. Means “to dive” and this name comes from the diving places in the river “Ontapura”.

Pun/ra – is an affix and indicates to the place. Mtkhie-puna, kvae-puna i.e Tkhil-nari - Riverside rocks – this is Laz toponym.

**Keywords:** Laz; Adjara.

## ლაზური ლექსიკა „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალებში“

### ლილე თანდილავა

ასოცირებული პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
lile.tandilava@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

მასალა რომელიც მოვიძიე ჯ. ნოღაიდელის „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალებიდან“ გვიჩვენებს, რომ ლაზური გარემოს დომინირებამ გამოიწვია რიგი ნასესხობანი აჭარულ დიალექტში, რომელსაც ხშირად იყენებენ სასაუბრო ნაწილში.

მასალების რამდენიმე ნაწილად დაყოფა მოგვიწევს: საკუთრივ ქართულ ენას ზმნის სესხებისას ფუძის სესხება და ქართული აფიქსებით გაფორმება ახასიათებს..მოცემული მაგალითები ამის დადასტურებაა.

**საკვანძო სიტყვები:** ლაზური ლექსიკა; აჭარული კილო.

### მსჯელობა

სესხება ორ ენას ან დიალექტებს შორის დასაშვებია ენობრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რომელსაც ხშირად განაპირობებდა ისტორიული მოვლენები.

აჭარული დიალექტი ბოლო საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა თურქული ენის გავლენას,რამაც დიდი დალი დააჩინა აჭარულ ლექსიკას.ზუსტად ეს პროცესი ლაზურმაც გაიარა და ორივე დიალექტში საკმაოდაა თურქული ლექსიკა. მაგრამ დღევანდელი კვლევის ობიექტი თურქული კი არა ლაზური ნასესხობანია. ჯემალ ნოღაიდელის „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალებში“ აღმოვაჩინეთ ადრინდელი

ლაზური ლექსიკა, რომელიც აჭარულმა დიალექტმა უფრო ადრე ისესხა. ისტორიულ ნაწილს თუ გავითვალისწინებთ, არა და ის გასათვალისწინებელია, შავი ზღვის სანაპირო ერთი ტომის განსახლების არეალი იყო.ეს იყო კოლხეთის სამეფო,რომელიც ამ ტერიტორიაზე იყო განლაგებული.

არსებობს ის ისტორიული მოსაზრებაც, რომ აჭარული და გურული ტომები ქართის ტომებია და მათ მოახდინეს სამეფოს გახლეჩა და დღემდე ამ ტერიტორიებზე ბინადრობენ.გახლეჩის შემდეგ დარჩა ერთ მხარეს ლაზები და მეორე მხარეს სამეგრელო. აქედან გამომდინარე ლაზური და აჭარული დიალექტები საუკუნეების განმავლობაში მეზობელი დიალექტებია და მათმა სიახლოვემ განაპირობა სესხება ლექსიკისა რომელიც დახვდათ. ამ ლექსიკონმა შემოგვინახა მთელი რიგი ლაზურ-ჭანური ლექსიკა თავისი ძირი და სახეცვლილი ფორმებით.

მასალა რომელიც ამოვიღეთ „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალებიდან“ გვიჩვენებს, რომ ლაზური გარემოს დომინირებამ გამოიწვია რიგი ნასესხობანი აჭარულ დიალექტში, რომელსაც ხშირად იყენებენ სასაუბრო ნაწილში.

მასალების რამდენიმე ნაწილად დაყოფა მოგვიწევს:

1. საკუთვრივ ქართულ ენას ზმნის სესხებისას ფუძის სესხება და ქართული აფიქსებით გაფორმება ახასიათებს.. მოცემული მაგალითები ამის დადასტურებაა.

**მაგ: აჭარ.გა-ბღეზ-ება (ჯ.ნ.) 49გვ. - გაავება , გაბრაზება**

**გა-ფაქ-ება (ჯ.ნ.) 62გვ. - მოკვლა , მოსპობა**

**და-ჭანგ-ვა (ჯ.ნ.) 89გვ. - ფრჩხილით ან ბრჭყალით დაკაწვრა.**

**ლაზ : ო-მღეზუ/ო-ბღეზუ - დაბეზდება 631გვ. (ა.თ.)**

**ო-ფალუ - (663გვ.) დასუფთავე , მოკვლა , მოსპობა**



ო-ჭანგ-უ - (692გვ.) ფრჩხილით , კლანჭებით კაწვრა  
თავად ჭანგი ნიშნავს ბასრ ფრჩხილებს , ბრჭყალებს.  
მიკალიბება-მილაგება(ჯ.ნ.)164/მეკალიბაფა-  
დალაგება(ა.თ.)510.

2. ფორმაუცვლელი სახელები:

მაგ: დუდი-თხემი (ჯ.ნ.) 96/ დუდი-თხემი, თავი (227)  
ა.თ. ლაზურ ტოპონიმებში არსებობს ადგილი  
დღევანდელ თურქეთში სოფ. აზლადაში, სადაც მოხდა  
ლაზი ქრისტიანების თავის კვეთა და იმ ადგილს  
დუდი კვათას ეძახიან.

კალაში-ზენა ქარი (ჯ.ნ.) 130/კალაში-სამხრეთის  
ქარი(ა.თ.)353

კაპანი-ციცაბო(ჯ.ნ.)132/კაპანი-ქიანი, ციცაბო ადგილი  
(ა.თ.)358

კაპეტი-ყამირი (ჯ.ნ.) 132/კაპეტი-მაგარი(ა.თ.)358

ჭონჭყოპი-სველი ჭაობიანი ადგილი(ჯ.ნ.) 326 / ჭონჭ-  
ყოპი-ჭაობიანი ადგილი (ა.თ.)865

3. ფორმაცვალეზადი სახელები:

ნოლა-ნორჩი ტყე (ჯ.ნ.)190/ნოლა-სოფლის ან დაბის  
ცენტრი.(ა.თ.)580.

ოკიდლოში ბადე-გასაკიდი ბადე (ჯ.ნ.)195/გეკიდუ-  
დაკიდება ოკიდლოში-გასაკიდი.(ა.თ.)92/608.

ოჭვათუ-საწვეთური(ჯ.ნ.)198/ოჭოთურა-საწვეთ-  
ური.(ა.თ.)695.

ორივე სიტყვაში წვეთს უკავშირდება, მაგრამ ო-ჭვათ-  
უ ლაზური წარმოებით გაფორმებული სიტყვაა.

მოჭო-კრუხი(ჯ.ნ.)177/მონჭვა-კრუხი (ა.თ.)515.

პეტელი-წვრილფეხა საქონლის ხმიანობა (ჯ.ნ.) 199/  
ოპეტელუ-თხის ცხვრის კიკინი (ა.თ.)718

ჯუმადი-დეიდის , მამიდის ქმარი-ბიძა(ჯ.ნ)  
350/ჯუმადი-ბიძა(ა.თ.)902

ჯუმა - ლაზურად ძმაა. ბიძა - ლაზურად ჯუმადია,  
კონკრეტულად მამის, დედის, დეიდის, მამიდის  
ქმარც ბიძიაა. გაყოფა ლაზურში არ ხდება.

4. ლაზური ტოპონიმები: ამ მასალებში გვხვდება  
რამდენიმე ტოპონიმი, ესენია:

ონტაფურა-დელე სოფელ წყავროკაში (ჯ.ნ.)195

ონტა-ფურა/ფუნა ონტონუ-ყვინთვა(ა.თ)640. ყვინთვას  
ნიშნავს და ამ სახელწოდებისვე მდინარეში საყვინთაო  
ადგილების გამო ეს სახელწოდება მიიღო. ფუნ/რა- აფ-  
იქსია და ადგილის მისანიშნებლად იხმარება მთხიე-  
ფუნა, ქვაე-ფუნა ანუ თხილ-ნარი. რიყე- ეს ტოპონიმი  
მთლიანად ლაზურია.

ოჩხამური(ჯ.ნ.)198-სათევზაო ადგილი. თავად  
ავტორიც მინიშნებს სიტყვის მეგრულ-ჭანურობას და  
განმარტავს, როგორც სათევზაო ადგილს მდინარეს  
ქობულეთში.

ო-ჩხომ-ურა-სადაც თევზია ანუ სათევზაო  
ადგილია(ა.თ) 843

ჯიხანჯური(ჯ.ნ.) 346 გვ.-ჯიხაის ციხესიმაგრე ქობულ-  
ეთსა და ოზურგეთს შორის.

ჯიხა ლაზური სიტყვაა და თავად ციხეს ნიშნავს  
(ა.თ.)900. ჯური ანუ ძირი კომპოზიტი და ციხის ძირს  
ნიშნავს.

## დასკვნა

ამ ლექსიკონში მოძიებული მასალა მიგვანიშნებს ადრეულ ნასესხობებზე, რომელთა არსებობა განაპირობა ისტორიული შავიზღვის ანუ კოლხეთის სანაპირო ზოლში ლაზებისა და აჭარლების თანაცხოვრებამ. შემოგვრჩა როგორც ცალკეული ლექსიკა, რომელიც დღესაც იხმარება და აგრეთვე ტოპონიმები, რომლებიც აჭარულ დიალექტში იხმარება ლაზური ანუ პირვანდელი ფორმით, სახეუცვლელად.

### გამოყენებული ლიტერატურა.

1. Noghaideli, J. (2015). „*Ach'aruli K'ilos Saleqsik'ono Masalebi*“. Batumi. (ნოღაიდელი, ჯ. (2015). „*აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები*“. ბათუმი);
2. Tandilava, A. (2013). „*Lazuri Leksik'oni*“. Tbilisi. (თანდილავა, ა. (2013). „*ლაზური ლექსიკონი*“. თბილისი).

---

## Phonetic changes in the borrowings from the Turkish language

Vardo Chokharadze

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
vardo.chokharadze@bsu.edu.ge

### Abstract

Phonetic changes, peculiar to the Georgian language, are striking in words borrowed from the Turkish language. As a result, the borrowed words are pronounced in the same way as Georgian words, in particular:

დირელი<დირეგი (თ. დირეჟ-ი), ღალიბა<გალიბა... In Georgian the letter “g” is mostly pronounced as Turkish “ğ” and it is more natural for the Georgian language. Both the first letter of the word and the last consonant change.

ღამაზი - (არ. gamaz - გამაზ) - „evil”, „Barbarian”: „ის კაცი ღამაზია“ (იმ)...

შაფხა - (шапка) - „a hat”: „წყალში ჩაცვენილი Áუნანების შაფხები მეიცუა დენიზმა” (თ.ქ.)

Thus, the replacement of consonants in the borrowed words of the Samkhruli dialects is subject to the same patterns that are characteristic of the Georgian language.

**Keywords:** Phonetic changes; Words borrowed from Turkish.

## ფონეტიკური ცვლილებანი თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში

**ვარდო ჩოხარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
Vardo.Chokharadze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

ზოგჯერ ქართულის გავლენით თურქული სიტყვის ბგერწერა შეცვლილია. შეიმჩნევა ბგერათა მონაცვლეობის, ბგერის დასუსტებისა და ბგერათა დაკარგვის შემთხვევები.

საბოლოოდ ბგერათცვლილებებით თურქული ენიდან ნასესხები სიტყვა ექვემდებარება ქართული წარმოთქმის კანონზომიერებებს.

ჩვენებურთა მეტყველებაში ყურადღებას იპყრობს „გ-ღ“-ს ბგერათშენაცვლება. მონაცვლეობა ხდება როგორც ანლაუტში, ისე აუსლაუტში. მაგ: დირეგი : დირელი – (<direk - დირექ - „ბოძი“, „ხე“).

**საკვანძო სიტყვები:** ფონეტიკური ცვლილებები; თურქულიდან ნასესხები სიტყვები.

### მსჯელობა

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლის ერთ-ერთი გზა თურქიზმებზე დაკვირვებაა. კერძოდ, საინტერესოა, რა ცვლილებებს განიცდის თურქული ენის ლექსიკა, რამდენად ინარჩუნებს საკუთრივ ამ ენისათვის

დამახასიათებელ თავისებურებებს ჩვენებურთა ქართულ მეტყველებაში.

ქართველთა მეტყველებაში თურქული და ქართული ენების ურთიერთგავლენაზე ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე მოვლენას: ზოგჯერ ქართულის გავლენით თურქული სიტყვის ბგერწერა შეცვლილია. შეიმჩნევა ბგერათა მონაცვლეობის, ბგერის დასუსტებისა და ბგერათა დაკარგვის შემთხვევები.

საბოლოოდ ბგერათცვლილებებით თურქული ენიდან ნასესხები სიტყვა ექვემდებარება ქართული წარმოთქმის კანონზომიერებებს.

### **§1. გ : ლ თანხმოვანთმონაცვლეობა ნასესხებ ლექსიკაში**

ჩვენებურთა მეტყველებაში ყურადღებას იპყრობს „გ-ღ“-ს ბგერათმენაცვლება. მონაცვლეობა ხდება როგორც ანლაუტში, ისე აუსლაუტში. მაგ:

**ღირეგი : ღირელი – (<direk - ღირექ - „ბოძი“, „ხე“ ):**

„ის ღარჭი ღირელზე იყო მიკრული“ (შავშ.); „ჩვენი ობოლის იქედამ ბვერი ღირელებია“ (იმ.); „სახურავის ქვეშ ღირელებია დაგებული“ (იმ.); „ბოსელში ღირელები დუღიან“ (ხობ.); „იქავენ ორი ღირელი ასვია“ (მაჭ.); „ღირელი ექანება“ (ბ.); „ქმარსაც დეიჭერენ, მიაკრენ ღირეგზე“ (ბაზგ.); „სელჩუკ თურქებს ღირეგზე მიუკრიან“ (შავშ.)...

შდრ. აჭარულ დიალექტში გვხვდება ღირელი - (direk - ღირექ) - „ღირე“, „ბოძი“:

„მაგ საბძელს თუ ღირელები არ დუღბჯგინეთ, ქარი წააქცევს“; „ბოლოს, აჰა გამოჩნდა მთელი ტყე ნავთსადგურში მდგარ ღირეგებისა“ (ნიჟარაძე 1971: 181).

---

„ღალიბა“ - (<არ.Galiba - გალიბა - „როგორც ჩანს“, „როგორც ეტყობა“, „ალბათ“. თურქულად წარმოითქმის „გალიბა“, ქართულად - „ღალიბა“):

„ბუხური აუგუსტოს თხუთმეტზეა ღალიბა“ (იმ.); „ისინი ღალიბა ქალაქში წევდენ“ (იმ.); „ღალიბა შემეშალა ეს ჭრელია“ (იმ.); „ღალიბა ბიძიაშვილი ყოფილა მათი“ (ბაზგ.); „ღალიბა იმასა სამი-ოთხი შვილი ყავს“ (ბაზგ.); „ისე მოკდა ღალიბა მშობლები არ უნახია“ (ბ.); „ღალიბა ის ხასანაი იყო, იმისი მძა“ (შავშ.); „მემლექეთო, მემლექეთო, შენ უნახველია ვკვდები ღალიბა“ (შავშ.); „სახლში არ იყვნენ ღალიბა“ (იმ.); „ღალიბა ის იყო“; „ღალიბა ძინავს“ (შავშ.)...

„ყაბურღა“(<kaburga - ქაბურღა - „ნეკნი“, „გვერდი“ - იწერება „Kaburga“, თურქულად წარმოითქმის „ქაბურღა“, ქართულად - „ყაბურღა“):

„ავარიაში მოვეყვ და ყაბურღა გიმიტყდა“ (იმ.); „ყაბურღა ძალიან წარეა“ (ხოხ.); „ის ექიმთან იყო, მე მგონი წეაქცა და ყაბურღა გულტყდა“ (უსტ.) „ექიმმა უთხრა, ყაბურღა გაქ გატეხილიო“ (უსტ.); „არაბა დეეჯახა და ყაბურღა ეტკინა“ (უსტ.); „შოლტიĀ ევლებსა ერთი ყაბურღა მეტი აქუანო“ (იმ.); „ყაბურღაზე მწვებოდა“ (იმ.); „წეიქცა და ყაბურღა მეიტეხა“ (იმ.)...

„დეღილ“ - (უარყოფა), არა - იწერება „Değil“ და იკითხება „დეღილ“ ქართულად გამოითქმის „დეგილ“ (იშვიათია „დეღილ“):

„ის ღარჭი მაჭახლეელი დეგილია“ (შავშ.); „მამამთილი გურჯი დეგილია“ (იმ.); „ისტანბოლშიც მაქ სახლი, ქირაზე დეგილია“ (შავშ.); „ისა მერჯიმეგ ჩორბა დეგილია“ (იმ.); „ეს ბაღვი ინსან დეგილია“ (იმ.); „ის ჩემი ღარჭი დეგილია, ხასანაის ღარჭია“ (იმ.)...

**გ** : **ღ** მონაცვლეობის შემთხვევა დასტურდება ძველ ქართულშიც:

მ. ძიძიშვილის დაკვირვებით, ძველ ქართულში ბგერათმონაცვლეობა შეინიშნება არა მარტო ქართულ, არამედ უცხოური წარმოშობის სიტყვებშიც, ავტორი აღნიშნავს, რომ **გ/ღ** ბგერათმონაცვლეობა **აგაბოს//ალაბოს** (საქმ. მოციქ. თ. 11,28) ბერძნულიდან მომდინარე ფორმებია (ძიძიშვილი, 1960:84).

„სალოდებელი“, შდრ „საგოდებელი“: „ადგილსა რომელსა „სალოდებელი“ ეწოდების” A 1109 10 v,8.

მ. ძიძიშვილის დაკვირვებით, ამ წინადადებაში ნახმარ სიტყვას „სალოდებელი“ თუ კავშირი აქვს „საგოდებელთან“, მაშინ „სალოდებელში“ „ღ“ ბგერა „გ“ ბგერის მონაცვლედ მიიჩნევა (ძიძიშვილი, 1960:88).

ბ. ჯორბენაძის განმარტებით, **გ/ღ** და **ღ/გ** ბგერათმონაცვლეობა იმერულ და ქართლურ დიალექტებში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი ფორმების გვერდით, როგორცაა: **ყველგან – ყოლღან, გააგზავენა – გააღზანა (იმერული)** ასევე: **ღორ-ხზო – გორ-ხზო (ქართლური)...**(ფაღავა, 2003:340)...

თურქულში თანხმოვანი „**ğ**“ სიტყვის დასაწყისში არ გამოიყენება, რადგან მოცემულ მდგომარეობაში ზემოთ ჩამოთვლილი ფონემები - „**ğ**“ და „**y**“ არ შეინიშნება. ფონემა „**y**“ სიტყვის დასაწყისში თანხმოვნების შემდეგ ვერ შენარჩუნდა და ის შეცვალა „**ğ**“-მ. თავის მყარ ვარიანტში, კერძოდ, არაბულსა და სპარსულში აღნიშნული თანხმოვანი „**y**“ V-V პოზიციაში ჩანაცვლებული იქნა მყარი „**ğ**“-თი. მაგ: „**Galebe**“ – წარმოითქმის(**галѣбѣ**) – „გამარჯვება“, „ტრიუმფი“; „**gayret**“ – (**гайрѣт**) –



„გულმოდგინება“, „ძალისხმევა“ (Севортян, 1955:28; ლექსიკონი, 2001:503).

„გ“ თანხმოვანი თურქულ ენაში მოცემულია ორ პოზიციამში. პირველში „გ“ უკანა სასისმიერია და წარმოითქმის თითქმის ქართული „გ“-ს მსგავსად. მეორე შემთხვევაში გაცილებით რბილია და წარმოითქმის რბილი „გ“-თი. მაგ: „gonce“ (გონჯე) – (гонджé) (Севортян, 1955:27).

თანამედროვე თურქულში „გ“ ბგერა ჩვეულებრივ ისმის:

Gıybet – (გიბეთ) - „ზურგს უკან გაკიცხვა“, „გალანძღვა“, „ჭორაობა“:

„გიბეთი ინსანი მძულს“ (ქლას.); „გიბეთლობა კაი არ არი“ (ტრაპ.); „გიბეთლი ინსანი არ მეიწონება“ (უსტ.); „გიბეთლობა ძალიან ცოდვაა და ნუ იტყვი“ (უსტ.)...

Karçığı - (ქარჩიგი) – „შვავი“, „ზვავი (თოვლისა) თოვლის დნობის დროს“:

„ქარჩიგის თვეა მარტი-აპრილი“ (იმ.); „ქარჩიგის დროს ძლივს გადარჩა“ (შავშ.); „ისინი ქარჩიგში მოყვენ და გადარჩენ“ (უსტ.); „ქარჩიგის დროს სიარული საშიშია“ (უსტ.)...

„ეგლანჯა“ - „გართობა“, „წვეულება“, „დროის მხიარულად გატარება“ – იწერება „Eğlence“, თურქულად წარმოითქმის „ეაილენჯე“, ქართულად ითქმება „ეგლანჯა“:

„სახლში არიან ბაღვები ეღლენჯობენ“ (იმ.); „მეიდანზე ღარჭი ეღლენჯობას იჯება“ (შავშ.); „ბაღვებით ეგლენჯა გუაქ“ (იმ.); „ეგლანჯა ვქენით და ბევრი ვისამეთ“ (იმ.) „უწინ ეგლანჯაზე ბევრს ვისამებდით“ (უსტ.); „ეგლანჯაზე იყო და ეხლა მოიდა“ (უსტ.)...

**მაზღალა** – (*mazgal* - **მაზგალ**) -თურქულად იკითხება „**მაზგალ**”, „**სათოფური**”, „**ხვრელი**“:

„იილიას **მაზღალეზი** ქონდა, ქარი ფშიკინებდა“ (ქართ.); „იმის სახლს ბევრი **მაზღალა** ქონდა და იქ იმალებოდა“ (ქართ.); „**მაზგალაში** შეძვრა და დეიმალა“ (ქარ.); „**მაზგალა** გააკეთა და გაძვრა“ (ტრაპ.); „უწინდელი ბავშვები **მაზგალეზში** ძვრებოდნენ“ (ტრაპ.)...

**ლამაზი** - (არ. *gamaz* - **გამაზ**) - „**შურიანი**”, „**დამსმენი**”, „**მაბეზდარი**“:

„ის კაცი **ლამაზია**“ (იმ.); „**ლამაზი** ინსანი წინ ვერ წავა“ (იმ.) „**ლამაზი** ინსნიდან გეშინოდეს უნდა“ (ად.); „**ლამაზი** ინსანი არ მიყვარს“ (უსტ.); „**ლამაზი** ინსანია და არ მივდივართ“ (ქართ.); „**ლამაზობა** სირცხვილი იყო“ (ქართ.); „**ლამაზი** ინსანი ძალიან ცუდია“ (ქართ.); „ი კაცი დადიოდა და **ლამაზობას** იჯებოდა“ (ქართ.); „**ლამაზი** ინსანი მალე უნდა მოკდეს“ (ქართ.)...

შდრ. **ლამაზი** - „**ლამაზი** კაცი ხარბი, **შურიანი**, მოშურნე, მოჯიბრე (შდრ. **ლაზვი** - **ლაზვიანი** - **შურიანი**, მოშურნე, ხარბი, ღვარძლიანი) (**ნიჟარაძე, 1971: 361**).

სამხრულ მეტყველებაში **ღ/გ(„გ“-„ღ“)** მონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში (შავშური, ტაოური), ისე საკუთრივ ქართულში (მაჭახლური). აღნიშნული ბგერათცვლილება გვხვდება ქართული ენის სხვა კილოებშიც (იმერული, ქართლური) და ძველ ქართულ სამწერლობო ენაშიც, რაც საყურადღებო ფაქტია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრულ მეტყველებაში დადასტურებულ **ღ/გ(გ/ღ)** თანხმოვანთმონაცვლეობას საფუძველი ქართულ სარტიკულაციო ბაზისშიც აქვს.

## §2. ყ : კ თანხმოვანთმონაცვლეობა

აჭარულ დიალექტში გვხვდება ისეთი მაგალითი, რომელშიც უკანაენისმიერ მკვეთრ კ-ს ენაცვლება ყ: **ყართ-ოფაა//ყართოფილაა - კართოფილი:**

**ყაამალი//კაამალი - „ნაღები”** - „ნაწველის თავიარი ყაამალი, ყაამალის ძირააყველი, ყველის ძირაა საჭმელი”.

სალიტერატურო თურქულში გვაქვს „**k**” (**kaymak - ქაამაქ**) - (ც), ხოლო შავშურ მეტყველებაში „**კ**” „**კაიმალი**” - (kaymak - ქაამაქ) - „**ნაღები**”.

**კაიმალი - გვხვდება ლაზურშიც:** „ნანაქ კაიმალი კაი იქიფტუ” (ხოფ.) „დედა კარგ არაჟანს ამზადებდა” (ა. თანდილავა);

ვ. რადლოვის განმარტებით, სიტყვა **kaimak - „ნაღები”, „ნახარში”, „ბულიონი”** დადასტურებულია ბარაბანულში, ყარა-ყირგიზულში, აზერბაიჯანულსა და ყირიმულში. ლაზურ დიალექტში **ნაღების** მნიშვნელობით არის შესული (ვიმოწმებთ: თანდილავა, 2003:70);

**ყაშული//კაშული - (kaşık - ქაშიქ) - „კოვზი“:**

„ყაშულით შჭამდა შორვას“; „კაშულითა წყალს მარებენ, კაშულით წყალი რას მყოფნის“.

აჭარულში აღნიშნული სიტყვა თურქულიდან არის შემოსული (გურგენიძე, 1973:19).

## §3. ქ : ხ თანხმოვანთმონაცვლეობა

**ბაშხა - (başka - ბაშქა) - სხვა:**

„ახლა ბაშხა, ბაშხა საჭმელები გამოვდა“ (ქლას.); „წინწინ ბაშხა რალაცეებს აკეთებდენ“ (იმ.)...

**ქრისტიანები//ხრისტიანები:**

„ისა მუსლიმანები არ ყოფილან, **ხრისტიანები** ყოფილან“ (ხევწ.); „ჭამელსა უთხრომია ქი, მე მუსლიმანი არ ვარ, **ხრისტიანი** ვარო, იმიტომ ვჭამო“ (იმ.); „**ხრისტიანი**

დინი ქქონია, **ხრისტიანობის** ყიმეთი იცოდეო, ზოვლია **ხრისტიანობა**“ (იმ.)...

**ობლაგო//ოქლაგო:**

„ობლაგო გავათლევე ბერსა გუშინ“ (ბაზგ.); „ობლაგო მქონდა და ვათხუე“ (უსტ.); „ობლაგო მეიტანა მალაზადან“ (იმ.); „ოქლაგას ყიდის მალაზაში და იყიდა“ (იმ.)...

**შახა – (šaka - შაქა) – „ხუმრობა“, „ცელქობა“:**

„ასე მითხრა ჰემ შახა, ჰემ გერჩექ“ (ინ.); „აქა შახა მეჰელე გუაქ ძალიან“ (ინ.); „ის ბევრ შახაჯობს“ (იმ.)...

**შახაჯი – (šakacı - შაქაჯი) – „ხუმარა“, „ცელქი“:**

„შახაჯი იყო ძალიან, დაგრეხილი, სწორეს არ გეტყოდა“ (ინ.); „ერთი შახაჯი ნენეი იყო“ (ინ.)...

**შაფხა – (šapka - შაფქა) – „ქუდი“:**

„წყალში ჩაცვენილი Áუნანების შაფხები მეიცუა დენიზმა“ (თ.ქ.). „შაფხას აბურავს კაცსა“ (იმ.); „ის შაფხიანი კაცი ვინ იყო“ (იმ.)...

**თახუმი – (სპ. takım - თაქიმ) – 1. „ჯგუფი“, „გვარი“, „კოლექტივი“, „ჯიში“, „ნაკრები“:**

„ჩაი თახუმის ჰევესი მაქ“ (ინ.); „ჰაფიზ ნური იყო ჰაჯი თახუმიდან“ (თ.ქ.) (ფუტკარაძე, 1993:465).

ნასესხებ სიტყვებში ბგერათმონაცვლეობის განხილვამ ცხადყო, რომ უცხო ენიდან შემოსული ლექსიკა ექვემდებარება ქართული და ქართველური ენების ფონეტიკურ კანონზომიერებებს. რაც იმის დასტურია, რომ მიუხედავად სამხრულ კილოებზე თურქულის ზეწოლისა, ძლიერი გავლენისა, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავისთავადობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Nizharadze, Sh. (1971). *Kartuli Enis Zemoach'aruli Dialekt'i*. Batumi: Gamomtsemloba, „Sabch'ota Ach'ara“. (ნიჟარაძე, შ. (1971). *ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი*. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.);
2. Dzidzishvili, M. (1960). *Ponet'ik'uri P'rotsesebi Dzel Kartulshi*. Tbilisi: Gamomtsemloba, „Metsniereba“. (ძიძიშვილი, მ. (1960). *ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.);
3. Paghava, M. (2003). *Samkhruli Kiloebis Ponet'ik'uri St'rukt'ura*. Sadokt'oro Disert'atsia (Khelnats'eri). Batumi. (ფაღავა, მ. (2003). *სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა*. სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი). ბათუმი);
4. Севортян, Э. В. (1955). „*Фонетика Турецкого Литературного Языка*“. Москва;
5. *Turkuli Enis Leksik'oni*. (2005). Ankara. (*თურქული ენის ლექსიკონი*. (2005). ანკარა);
6. *Türkçe- Sözlük* (2005). Ankara;
7. Tandilava, L. (2003). *Turkuli Leksik'uri Erteulebi Lazurshi*. Disert'atsia. Tbilisi. (თანდილავა, ლ. (2003). *თურქული ლექსიკური ერთეულები ლაზურში*. დისერტაცია. თბილისი);
8. Gurgenidze, N.(1973). *Aghmosavluri Ts'armoshobis Leksik'uri Element'ebi Ach'arulsa da Gurulshi*. Tbilisi. (გურგენიძე, ნ. (1973). *აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში*. თბილისი).

---

## Mystic-Philosophical Direction Sufism and Wine Symbology in Rumi's Works

**Nona Nikabadze**

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
nona.nikabadze@bsu.edu.ge

### **Abstract**

Mystic-Philosophical direction Sufism and the work of the greatest Sufi poet Mawlana Jalal ad-Din Rumi has long been a subject of discussion. Mystic-Philosophical direction Sufism strongly influenced Oriental poetry and Western scholars also became involved. In Sufism, there is only one authentic God with whom wine is combined with. With Sufi poets, wine is the source of the separation between the human being and the God. "Wine" itself, is a metaphor for the esoteric doctrines of Rumi and other Sufi poets. In spiritual ideology, one can find spiritual wine, this wine is love, and love is God.

**Keywords:** Sufism; Mysticism; Mevlana Jalal ed-Din Rumi; Shamsi; Wine; God.

---

## მისტიკურ - ფილოსოფიური მიმდინარეობა სუფიზში და რუმის შემოქმედებაში ღვინის სიმბოლიკა

**ნონა ნიკაბაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
nona.nikabadze@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

მისტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის სუფიზმის გენეზისი და უდიდესი სუფი პოეტის მევლანა ჯალალედ-დინ რუმის შემოქმედება მუდმივად იყო განხილვის საგანი. ამ მისტიკურ-ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლურ პოეზიაზე და დასავლური სამეცნიერო წრეებიც დააინტერესა. სუფიზმში არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტება-ღმერთი, რომელთან შერწყმის საშუალებას ღვინო წარმოადგენს. სუფ პოეტებთან ღვინო არის ადამიანის აბსოლუტთან განშორების დამაკავშირებელი წყარო. „ღვინო“ რუმთან, ისევე როგორც სხვა სუფისტებთან მეტაფორაა ეზოტერული საიდუმლო მოძღვრებისა. სულიერ იდეოლოგიაში სულიერი ღვინის პოვნაა შესაძლებელი, ეს ღვინო სიყვარულია, სიყვარული კი თავად აბსოლუტია.

**საკვანძო სიტყვები:** სუფიზმი; მისტიციზმი; მევლანა ჯალალედ-დინ რუმი; შამსი; ღვინო; ღმერთი.

## მსჯელობა

პოეზია ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია, მისტიკოსები თავიანთ სათქმელს პოეზიის საშუალებით ამბობდნენ. მისტიკურ პოეზიაში „ღვინის“ მეტაფორას ბევრ აღმოსავლელ სუფ პოეტთან ვხვდებით. ჩვენ ვისაუბრებთ, სუფიზმსა და ღვინის სიმბოლიკაზე რუმთან. თუ რა იმალება ამ მისტიკური მეტაფორის მიღმა და როგორ შეითვისა სუფიზმმა ის. იდეოლოგიური ქვაკუთხედი, მეტაფორების გამოყენებით სულიერი სიმართლის რეალიზაციაა, რაც ღვთიურ სიყვარულსა და მასთან შერწყმაში გამოიხატება. რუმის ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდაქმნა დიდებულ სუფიასთან, შამს თაბრიზთან შეხვედრის შემდეგ დაიწყო. ჭკუმარიტმა მაშუყმა\* (რუმმა) უზენაესთან მისაღწევად, სიყვარული შამს თაბრიზში იპოვა. რუმი მოიწამლა ღვთაებრივი სიყვარულის ღვინით, მისი სული საყვარელთან (ღმერთთან) მარადიული ერთიანობის მოლოდინში იყო. ის ამ სიყვარულით ჭკუიდან შეშლას, ღვინით სიმთვრალეს ადარებს. მისი ღვინო სიყვარულის ღვინოა, რომელიც აბსოლუტთან აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების, სუფიზმის ფენომენი სრულყოფილად ჯერ კიდევ არაა შესწავლილი, რუმის შემოქმედების საშუალებით მის არსს ჩავწვდებით. თავად სუფიზმი ნეოპლატონიზმის წიაღში წარმოიშვა, თუმცა მისი განვითარება ისლამის გენეზისისა და გავრცელების შემდეგ იწყება, აქედან გამომდინარე ყურანი ამ უძველესი ტრადიციის გადმოცემის ძალიან კარგი საშუალება გახდა.

---

\*მაშუყი-შეყვარებული



---

სწორედ ამიტომ სუფიზმის ცნება, ხშირ შემთხვევაში ისლამურ მისტიციზმად გვევლინება.

სუფიზმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. გავრცელებული შეხედულებით, „სუფიზმი“ - არაბული სიტყვა „სუფ“-ისგან წარმოიშვა, რაც „შალს“, „უხემ ქსოვილს ნიშნავს“ (Bilqies, 2014:56). „შალის მოსასხამში მოხეტიალე მამაკაცი“, „მოსასხამი, რომელსაც ასკეტები ატარებენ“ (Hanieh, 2011:27). ზოგიერთი შეხედულებით სუფიზმი ძველ ბერძნულ სიტყვა სოფოს (Sophos) უკავშირდება, რომელიც „ბრძენის“ მნიშვნელობით გაიგება (Schimmel, 1975:14). სხვანი არაბულ სიტყვა - „საფას“ უკავშირებენ რაც „სუფთას“, „წმინდას“ ნიშნავს (Bilqies, 2014:56). ჯუნაიდ ბაღდადის მიხედვით, სუფი „სუფთა გულის, საკუთარისურვილების უარმყოფელი, ზნეობრივი თავისუფლების მატარებელი, ადამიანის შინაგანი სამყაროს მცოდნე, სურვილების ჩაკვლით თავისუფლება-აღორძინებული და სრულ თავისუფლებას მიღწეული პიროვნების“ მნიშვნელობით გაიგება (Hanieh, 2011:27). ერაცის მისტიციზმის სკოლის ლიდერის ჯუნაიდის მიხედვით: „სუფიზმი სულაც არაა ლოცვა და მარხვა, არამედ ეს არის გულის იდუმალება და სულის გულუხვობა“ (Schimmel, 1975:14). ტიტუს ბურკჰარდი ამბობს: „უნდა აღვნიშნო, აქამდე ყურადღება არავის გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ იუდეველი და ქრისტიანი ასკეტები ადრეულ პერიოდში სწორედ ამ სამოსით იმოსებოდნენ“ (Burckhardt, 2008:20). ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი ედუარდ ბრაუნი, სუფიზმზე ნეოპლატონიზმის გავლენისა და უფრო მეტიც

---

\*ობ: Schimmel A., *Mystical Dimensions of Islam*, The University of North Carolina Press, America, 1975, გვ 3-4.

სუფიზმის ნეოპლატონიზმის წიაღში წარმოშობის შესახებ საუბრობს. მისი თქმით „ისლამის სუფიზმსა და ალექსანდრიას ნეოპლატონიზმს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს“ (Browne, 1956:522). როგორც ჩანს, სუფიზმს ნეოპლატონიზმმა შესთავაზა თავისი „ფორმა“, რომელიც ისლამმა შეითვისა. მურათ იაგანის მიხედვით კი „სუფიზმი არის აბრაამის, მოსეს, დავითის, სოლომონის, ელიას, იესოს, მუჰამედისა და სხვა წმინდანთა ამბავი. ეს არის ამბავი ბუდასა და ზარათუშტრაზე (ზოროასტრზე)“ (Yagan, 15:2005).

სუფებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება შეიხია. შეიხი სუფიზმში წმინდანია. მაძიებელთათვის გზის მიმასწავლებელი, მათი აღმზრდელი და უნაკლო მოძღვარი. შეიხი თავისი უნაკლოების გამო, სხვების სრულყოფაზე ზრუნავს. მოწაფე თავისი ნებით უკავშირდება შეიხს და ასე სპობს მიწიერ სურვილებს.

შეიხი მოწაფეებს ასწავლის თარიყათზე სვლისას სირთულეების დაძლევის, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ვარჯიშის დროს და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს მათი განმარტოების პერიოდს (შეიხ შიბაბუდდინ უმარ სუჰრავარდის პირადი გამოცდილება) (Suhrawardi, 1872:26-28).

წმინდა სავანის მეორე საფეხურზე მიურიდები არიან. მიურიდი სუფიურ გზაზე მიმავალი და შეიხზე დამოკიდებული დერვიშია. მიურიდი რელიგიური სიბრძნის სწავლით, ღვთის ჭეშმარიტებას აღწევს, საკუთარი თავის შეცნობის ოსტატი ხდება (Schimmel, 1975:100).

მიურიდი შეცნობის ოსტატობას ორი გზით ეუფლება: I „ბედისწერით“ ანუ მიურიდის მიერ ნელ-ნელა სიბრძნის, ზნეობრივ კანონთა მიღებითა და ამაღლების საშუალებით, წარმავალი სამყაროსაგან შორს ყოფნით ღვთის ჩვეულებების

---

საკუთარ წესად ქცევით, ღმერთთან ზიარებით. დერვიშების რელიგიური სიბრძნის სწავლების II გზა - მსახურებაა, დერვიში, სულიერი სრულყოფილების მისაღწევად საკუთართავს შეიხსუძღვნის. რელიგიური სიბრძნის გზა რთულია. ეს გზა დერვიშთა დიდ ჯაფას მოითხოვს (Джавелидзе, 1979:222-225).

ღვთისმსახურებაში მესამე მუსიკალური ინსტრუმენტით შესრულებული ლოცვაა. საუკეთესო მაგალითია მევლევათავის დამახასიათებელი - „სემა“. ყაზახურად „მოსმენის“, „რიტმული ოხვრის“, „კვენისის“, „მოკრძალებით მოსმენის“ მნიშვნელობას იძენს (Джавелидзе, 1979:226).

სუფიზმის საყრდენია - შარი'ა-სამართლიანობა, თარიყა - მისტიური გზა, ჰაქიქა-სიმართლე (Schimmel, 1975:98). რადგან რუმთან ღვინის სიმბოლიკაზე უნდა ვისაუბროთ, ჩვენ თარიყაზე შევჩერდებით, რადგან მისტიურ გზაზე შედგომისას ღვინის საშუალებით თანდათანობით ხდება ადამიანური „მე“-ს ღვთაებრივ „მე“-დ გადაქცევა, რაც საკუთარი ეგოს ჩახშობასა და ღმერთთან შერწყმას გულისხმობს. საკუთარი „მე“-ს გადალახვა, მხოლოდ და მხოლოდ ექსტაზის საშუალებითაა შესაძლებელი, როცა ყოველივე ამქვეყნიურს შორდები და ღვთისკენ მიილტვი. სუფისტებთან ღმერთი „სატრფოა“, ადამიანი კი „მიჯნური“,

---

\*მევლევა ღვთისმსახურების რიტუალი. სემას რიტუალის დროს წრეზე ბრუნვა ყოველი მხრიდან შემოქმედზე ყურებას აღნიშნავს. ფეხის დაკვრა არის სულის უსასრულო და გაუმადარი სურვილების ფეხებ ქვეშ გათელვა, მასთან ბრძოლა და საკუთარი ბუნების დამარცხება. მხრების გამლა ყველაზე სრულყოფილის მიმართ უძღვრებას გამოხატავს. მარჯვენა ხელი მაღლა, ზეცისკენ, მარცხენა ხელი კი დაბლა მიმართული, მარჯვენა ხელით ღვთისგან წყალობას იღებ, მარცხენა ხელით კი ამ წყალობას სხვებს უწილადებ. იხ: Uyar, M, Beşiroğlu Ş; *“Recent representations of the music of the Mevlevi Order of Sufism”*, Journal of interdisciplinary music studies, 2012

ადამიანისა და ღმერთთან დამაკავშირებელი წყარო კი „ღვინოა“, რომელიც მისტიკური ექსტაზის სიმბოლოა. ღმერთისგან (სატროფოსგან) შორს მყოფი ადამიანი (მიჯნური) ეძალება ღვინოს (სულიერ ექსტაზს), რათა განიქარვოს განშორებისგან გამოწვეული სევდა და შეძლოს ღმერთთან შერწყმა. სწორედ აქედან მოდის ღვინის სიმბოლიკა სუფიზმში, რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

სუფიები არიან პოეტები და მიჯნურები ერთდროულად. მათ გზას ეწოდება „გზა მიჯნურობისა“ – „იწყი მაჯაზ“ -ისა. სუფისტთა საიდუმლო სკოლებში ისწავლებოდა სიმბოლიკა სიბრძნისა და პოეზიისა. მაგ: როდესაც სუფისტი საუბრობს ყურძენსა და ღვინოზე, ყურძენი ნიშნავს ეზოტერულ რელიგიას, ღვინო კი -მისი წვენი,დაფარულ მნიშვნელობას,არსს რელიგიისა - ეზოტერიზმს, ამიტომაც არის ღვინის სმა მისტიკური შემეცნების სიმბოლო სუფისტებთან (**გამსახურდია, 1991:75**). „ღვინო“ რუმთან, ისევე როგორც სხვა სუფისტებთან მეტაფორაა ეზოტერული საიდუმლო მოძღვრებისა. მის შემოქმედებაში მეტაფორული „სიმთვრალე“ აღნიშნავს სუფისტის ექსტაზურ მდგომარეობას თარიყათზე, „სულიერ გზაზე“ – რომელსაც ღვთისაკენ მივყავართ,ეს გზა კი, მუსიკალური ნოტიით „სემა“-თიაგამყარებული.

საკუთარი „მე“-ს ღვთიურ „მე“-დ გადაქცევის შემდეგ სრულყოფილი ადამიანი აბსოლუტური სრულყოფილების სარკე ხდება. სუფიზმი არის გზა აბსოლუტური რეალობისაკენ, ამ გზის გადალახვის მამოძრავებელი ძალა სიყვარულია, სუფიური გზის ბოლოს არაფერი რჩება ღმერთის გარდა.

რუმის შემოქმედების სიღრმისეულად გასაგებად სიყვარულის ცნების გაგებაა საჭირო. „*სიყვარული სამყაროს ელექს-*

---

ირია, სიამტკბილობის მიზეზ–შედეგი. სინათლის სიკაშკაშე, ღვინისა და ცეცხლის სიმხურვალე...სიცოცხლეა მთელს არსებაში... ყოველივეს საწყისია, არსია“ (Perry, 2010:141).

რუმთან ღვინის სიმბოლო სრულყოფილების გზას გამოხატავს, ღვინო ერთგვარი მეტაფორაა, რომელიც ღვთისადმი დაუსრულებელ სიყვარულსა და ღმერთთან შერწყმის საშუალებას გვამცნობს. „ღვინო, როგორც ადამიანების თრობის საშუალება, შემოქმედისადმი სიყვარულის, შინაგანი სიმთვრალის გამოვლენაა, რომელიც მის საიდუმლოებებს ცხადს ხდის“ (Özön, 1954:246). ის ვინც სიყვარულს აღიარებს, როგორც უზენაესთან შერწყმის საშუალებას, ღვინოს დაინახავს, როგორცსულიერი ექსტაზის სიმბოლოს. თავად სასმელი, დაღვევის პროცესში ან დაღვევის შემდეგ, პოეტს ისეთ მდგომარეობაში აგდებს, რომ პოეტი, დაუვიწყარ თხრობის ტექნიკას გვთავაზობს.

ღვინო ჭეშმარიტების გზაზე დადგომის საშუალებაა. ღვინოში ყურძნის მტევანი არ ჩანს, მაგრამ თვით ყურძენია ღვინო. როგორც ყურძენი ქრება ღვინოში, ასევე აშული ღვთიური სიყვარულისთვის იწვის, ფერფლად იქცევა და ქრება.

რუმი თავის რობაიში ამბობს: „ჩვენ სარკე ვართ, სარკეში არეკლილი სილამაზე, იქ დანახული სახეები. ჩვენ, ყველამ მარადიული სამყაროს თასიდან ღვინო შევსვეთ და საკუთარი თავი დავკარგეთ. თან ტკივილი და ტანჯვა დავძლიეთ, თან

---

\*აშული-(არაბ.) 1) შეყვარებული;მიჯნური; 2) საყვარელი; 3) სიყვარულის ობიექტზე უზომოდ შეყვარებული ვინმე;

აშული სახალხო მგოსანია; „აშულური ლიტერატურის“, (Aşık Edebiyatı) საფუძვლები ისლამის გავრცელებამდე ზეპირსიტყვიერი გზით განვითარდა, თუმცა ჩამოყალიბება მე-15 საუკუნიდან დაიწყო. აშული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის, საზის თანხლებით ასრულებდა სარაინდო, სამიჯნურო და სხვ. თემატიკის ლექსებს.

მკურნალები გავხდით. ჩვენ თან უკვდავების წყალი ვართ, თან წყლის მზიდავნი წყალს რომ არიგებს“ (Can, 2008:287). სარკე, საკუთარი თავის, საკუთარი სულის ანარეკლია, სარკეში ჩახედვით ადამიანს შეუძლია დაინახოს სინამდვილე. რუმი სიყვარულს ღვინოს ამსგავსებს. შინაგანი სრულყოფილებისთვის, სიყვარულის ღვინოზე ზიარება, ღვთიურ გზაზე სვლაა საჭირო. სიყვარული ისაა რაც მარადიულია, მარადიულზე ზიარება კი ღვინის დაღვევითაა შესაძლებელი, სწორედ ღვინოა უკვდავების წყალი, რომელიც მოკვდავთა ღმერთთან შერწყმაში ეხმარება.

„შენ სხვა რაღაცეებით ხარ მთვრალი, მაგრამ გგონია რომ გული სიყვარულის ღვინით გაქვს მოჯადოებული. შენ არ არსებობ, მაგრამ შენთვის უბედურება ისაა, რომ ამ ქვეყნად შენს არსებობას კმნი“ (Can, 2008:341). რუმის თქმით, როცა ღმერთს ერწყმი, ქრები, არ არსებობ და საკუთარ არსებობას, საკუთარ ეგოს ანადგურებ, მაგრამ თუ მიიჩნევ რომ ამ ქვეყნად არსებობ, მაშინ ეს ის სიმთვრალე არაა, რომელიც უზენაესთან შერწყმის გზას გთავაზობს. საკუთარი თავისა და ჭეშმარიტი სიყვარულის შეცნობა, ამქვეყნიური არსებობისგან გადარჩენისა და ექსტაზის პროცესის გავლის შემდეგ ხდება.

„ერთი წამით საიდუმლოების გზაზე რომ შემდგარიყავი, სიყვარულის საიდუმლოება ყურად რომ გელო, ან გესწავლა, საკუთარ თავს გასწირავდი. სიმთვრალისას მოსვენებას კარგავ, ჭკუა-გონება გერევა“ (Can, 2008:329). ღვინით სიმთვრალე, ღმერთის არსის შეცნობასა და მასთან შეერთებაში გამოიხატება. მისდამი სიყვარული გულშია დაბუდებული, რუმის მიხედვით, უზენაესის შეცნობის გზაზე მდგარი, ნამცეცის ოდენა ცოდნის მისაღებად, ერთი ყლუპი ღვინისთვის ყველაფერს დათმობს.

„სიყვარულთან მივდი, მითხრა: „მთვრალი ხარ, გამეცალე“, მე მივუგე: – კარი გამიღე, მთვრალი არ ვარ. მან მიპასუხა: „თუ მასეა წადი, თუ ფხიზლად ხარ და საკუთარი არსებობა არ დაგვიწყებია, აქ არაფერი გესაქმება“ (Can, 2008:294). რუმის სულიერი საზრდო შამს თაბრიზი იყო, მისი შეხედულებები, მისი მისწრაფებები შამსთან ურთიერთობამ სრულიად გარდაქმნა. მან ღმერთი შამსში დაინახა. შამსი იყო საზრდო, რომლითაც ცოცხლობდა, შამსის მემკვიდრით შეიცნო საკუთარი თავი და უზენაესთან შეერთების დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო. მისი სწრაფვა, სურვილები მის შემოქმედებაში ჩაიღვარა. შეიცვალა მისი ენა, მისი თხრობა, არსებობის ფილოსოფია სიყვარულს დაუკავშირა და მიაღწია იმ საფეხურს, რომლის თავშიც ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმჭკრეტელი შემოქმედი იყო. ღვინის ერთი ყლოპისთვის თავს გასწირავდა, ღვინისთვის, რომელიც აბსოლუტურ სიყვარულთან დამაკავშირებელი უწყვეტი ძაფია, რომელმაც განურჩევლად, „მონაც და ბატონიც ჭკუიდან შეშალა“. რუმი ღვინის მეტაფორას სულიერი სიყვარულის მნიშვნელობას ანიჭებს. მისი შეხედულებით სულიერი სიყვარული უპირობო და მუდმივია. ეს არის მარადიული, რაც ამქვეყნიური სიყვარულისგან განსხვავდება, მის მარადიულობას კი მუდმივი ძალისხმევა სჭირდება. აბსოლუტთან შერწყმა სულიერ მოგზაურობას მოითხოვს, თვით სულიერი მოგზაურობა კი მტკიცე რწმენას. სულიერ იდეოლოგიაში სულიერი ღვინის პოვნაა შესაძლებელი, ეს ღვინო სიყვარულია, სიყვარული კი თავად აბსოლუტია.

როგორც აღვნიშნეთ, მისტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის სუფიზმის გენეზისი ისლამის გავრცელებას ემთხვევა. თუმცა სუფიზმი უფრო ადრეულ პერიოდში უნდა ჩამოყალიბებულიყო, რამდენადაც ის ენათესავება ნეოპლატონიზმს,



ბუდიზმს, ქრისტიანობასა და სხვა ფილოსოფიურ თუ რელიგიურ მიმდინარეობებს. სუფიზმმა დიდი გავლენა მოახდინა მთელი აღმოსავლეთის პოეტურ აზროვნებაზე და დიდი ინტერესი გამოიწვია დასავლურ სამეცნიერო წრეებშიც. სუფიზმის შესახებ მნიშვნელოვან კვლევებს დაუდეს საფუძველი დასავლელმა აღმოსავლეთმცოდნეებმა. სუფიზმისთვის ერთადერთი რეალობა ჭეშმარიტი სიყვარულია, ჭეშმარიტი სიყვარული კი თავად ღმერთია. პოეზიაში ღმერთი მშვენიერი „სატრფოა“, ხოლო ადამიანი „მიჯნური“, რომელიც სატრფოსთან განშორების გამო იტანჯება, მასთან შერწყმის საშუალებას კი ღვინო წარმოადგენს. რუმის შეხედულებები, წინამორბედ სწავლულთა აზროვნებით იყო შთაგონებული, მაგრამ მის ცხოვრებაში შამს თაბრიზის გამოჩენის შემდეგ, დიდი გარდატეხა მოხდა. სწორედ შამსი იყო სულისჩამდგმელი რუმის უდიდესი შემოქმედებისა. რუმის შემოქმედებაში ღვინო საკუთარი თავის შეცნობის საშუალებაა, ის ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, შეიცნობს ღმერთს.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

1. Gamsakhurdia, Z.(1991). *Vepkhist'qaosanis Sakhismet'qveleba*. Tbilisi. (გამსახურდია, ზ. (1991). *ვეფხისტყაოსნის სახის-მეტყველება*. თბილისი);
2. Browne, E. (1956). *A Literary History of Persia*. v. II, Cambridge at the University Press, England;
3. Burckhardt, T. (2008). *Introduction to Sufi Doctrine*. World Wisdom. Canada);
4. Can, Ş.(2008). *Rubâiler-Mevlana*. Kurtuba Kitap. İstanbul;



5. Hanieh, H. (2010). *Sufism and Sufi Orders: God's Spiritual Paths Adaptation and Renewal in the Context of Modernization*. Friedrich-Ebet-Stiftung, Jordan;
6. Özön, M. (1954). *Edebiyat ve tenkid sözlüğü*. İnkılap Kitabevi. İstanbul;
7. Perry, W. (2010). *Kalbe Dönüş Kutsal Bilgeliğin İzinde*. Kurtuba. İstanbul;
8. Schimmel, A. (1975). *Mystical Dimensions of Islam*. The University of North Carolina Press. America;
9. Shahida, B. (2010). *Understanding the Concept of Islamic Sufism*. Journal of Education & Social Policy. Vol.1 No 1. India;
10. Suhrawardi, S. (1872). *Awarif al-ma'rif*. Buraq;
11. Yagan, M. (2005). *Ahmsta Kebzeh: The Science of Universal Awe ed*. Kebzeh Publications. Canada;
12. Джавелидзе, Э. (1979). *У Истоков Турецкой литературы*. Тбилиси.

---

**Laz Records**  
**ლაზური ჩანაწერები**

**Nora Kakhidze**

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
nora.kaxidze@bsu.edu.ge

**ნორა კახიძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
nora.kaxidze@bsu.edu.ge

ფაზარი, ძველი ათენა, ერთ-ერთი საინტერესო სოფელია ლაზეთში, დღევანდელ რესპუბლიკურ თურქეთში. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ ამ სოფლის მეტყველებზე დაკვირვება სადისერტაციო თემად, სადაც უნდა გვეკვლია თანამედროვე ფაზარის ლაზური ელემენტები თურქულ ენაში. საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა მოვიპოვეთ, თუმცა ვერ მოვახერხეთ საკითხის ბოლომდე მიყვანა, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ეს მდიდარი ემპირიული მასალა ეტაპობრივად გამოვაქვეყნოთ აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის კრებულებში.

როგორც მოგეხსენებათ, ფაზარის ლაზური მეტყველება მიეკუთვნება ათინურ კილოკავს და ის დიდ დახმარებას გაუწევს ამ კუთხის მეტყველებით დაინტერესებულ მკვლევარებს.

**მთქმელი - ემინე ინჯე**  
**ფაზარი (ათინა)**  
**5 აგვისტო, 1997 წელი**

კოჩი ჩქიმი ქემაჩილუ. ოკულე დორურუ. ხვალახვალა ბერეფე ჩქიმი დოვოჩილონი, ბოზო დოვოქიმოჯი.

უკვანჩხე მუთალეფე მავუ. ოთხო თანე ბეე მივონუნ, ა ბოზო სუმითი ბიჭი. შქვითანეთი მოთა მივონუნ. იფი ჩერეხიდექ მაჰალესინდე დოფხედუტი, ლაშჩა ნოლა ვუწუმეთ, ნოლას ფეტიტ.

ბერეფე დოოჩილით აი-აი ქოდოოხუნით. ბერეფე ჩქიმი ირი ფაზარის ხენან.

ართანე მუმი ზუდას იჩალიშამს, ჩხომი ჩოფამს, ჟურთანე მუშითი იაზი ჰანე ულუნან ექ იჩალიშემან. ბოზო ჩქიმი მალიეს იჩალიშემტუ, აწი ემექლი დივუ. ჰიმუსთი არ ბიჭი ჟურ ბოზო უვონუნ, ბოზოფე დოქიმოჯუ, ჟურთანეთი მოთა უვონუნ არ ბოზო არ ბიჭი. მთელი ფაზარის დოდგითუნ, ართეი მოთა აღმანიადა დოდგითუნ, ართეი ნაზილის დოდგითუნ. (ნაზილი - სოფელი აიდინის რაიონი) ბოზო მოთაში არჩვა ბიჭი ბეჩარი მივოუნ.

**მთქმელი - იაკუბ ბაბუჩოღლუ  
ფაზარი (ათინა), სოფელი პაპილათი  
6 აგვისტო, 1997 წელი**

ლაზური ოგნაფუ ვორსი რე,  
მა პაპილათის დოვიბადი  
ელა ქომოხთი ელა  
ევედი მანი, მანი,  
სქანი დო შქიმიშენი  
დივუ ახირზამანი.

ნაზიმ ჰიქმეთი ირი კოჩეფე აღიმბედეს. ნაზიმ ჰიქმეთისნა ვარ აღიმბეტუ მითი ვაორტუ. ემ ორას მა ხამი მოვოცონი, ნური ოღლუ დოვოდურუნი. ჩემჩაპტუ დო ეშენი. ბინდოკიუზუზ ირმი იედის ისტანბულიშა ვიგზალი. ექ დევამლი კავგა ვიქუმტი. ეჩდოჟურ წანა ხაფისი მოლაფხედი. ექოლე ქოგამაფთი ში ტიმახანას მოლაფხედი. ტიმახანაშენ გამაფთიში კოჩი დოპილი, იდამიშა მიონამტეს ემუშე კულე მუხი ჯეუმქვი, ჰამუმ კულე ვარ იემიჭეს.

ბაქირქოიშა მოშქევს, გალე გამაფტი, კუმკაფია ქომოფთი კაფეჯილიქ ვიქუმტი.

---

ო არადა არ ოხორჯა ქობძირი, ე ოხორჯა ოკვათი, ჭჷალი ქოდოვობელი, ბოლაშა ობტკოჩი.

**მთქმელი - ხაიჯე ბალი  
ფაზარი (ათინა), სოფელი პაპილათი  
6 აგვისტო, 1997 წელი**

მესემეთიშენ პაპილათიშა მოფთი. კაინანა მოვონუტუ. მტიი მივონუტუ. კოჩიჩქიმიში ჯოხო ნეჯათი. აში თანე ბეე მივონუტუ, ა ბიჭი, ხუ ბოზო მოთა, ჩაი მეფჩაფ.

კოჩი ჩქიმი ემექელი ონ, ჩაი ფაბრიკას ემექელი ივუ. ვორსი ჰალი მიღუნან. ბეეჩი ვოჩილაე, ნუსა მივონარე, დუგუნიშა გიოხაე, ბოზო მოთათი მიგორამან, მეფჩარე ალინერიშა ჩაი გოლოვიდი. მათი ჩაი ოშკორუშა ვულუ ოთ მოვიდარე, ფუჯის მეჩარე.

**მთქმელი - ნაზმი იაზარჯი  
ფაზარი (ათინა)  
7 აგვისტო, 1997 წელი**

ჟუეჩი წანერი მოელიმი ვორე. ვიტო ჟუ წანა წოხლე, ემეწლი ვივი. ჰუას ანადოლუ დერსანეში მუდირი მუში ვორე. რიზე მორდეი მოელიმი ვორტიშა, რიზე ბინდოქუზიუზ იეთიშ უჩიშა რიზე ილგილი ქითაბი მახჭარი. ვალიჰამ დულია მა მომჩუ, არ წანა ვიჩალიში. რიზეში თარილი , ჯოღრაფია, სორალ დურუმ, ეკონომი, ელთი, სარლიქ ქითაბი ბჭარი, ჰამ ქითაბიში კულტურ ბოლუმუნუნ არ ფიკრა, ლაზჯა მიში გიწვარე.

ჰიმ კოჩი წამარე  
ფაზარლი ლაზი ასკერიშა იდუ, კომუტანიქ, ლაზის უწუმეს:  
არ ჯიდუმენი ჰუს არბის ორე  
ე თოლის სქანის გოგადიარე,

---

ჰიმ იტუ ადი რუკო  
ოგინე სკანიშენ არ ჯავურიმულუნ  
მუირტუ არნაშართუ დაურ  
ვაიჩოდუ ა ჯავურითი კაპულაშა მელუნ  
იმითი არწამატუ არ თანე სალიშენ მელუნ  
არ თანეტი სოლიშენ მელუნ, გუია არ რიტუა  
ე, თნარი სქანი გოგადარარე ჯე  
ქომუთანი ჩქიმი სი შქიმიინდე კაი  
ასქერი ვარ გილუნიდუბალუ და  
ირი მა ჰტამარეი

შაირი  
ჯელალი ზოპონს- კაპულა მუში  
დემირდალი ჯიმილი სუმ ჩოიო  
ბოზო-ვა დოლოგაქუი ანთერი  
სქანი ხანჭელი დარო  
ჯელალი- სი შქორუმ ფეჯიქ იმბოს  
სი მუ ჩარი გილუნ  
ბოზო- სითი ჰერალდე გურის  
დამხური მივუნ.  
ჯელალი-სითი მენდაგიყონა  
ერთი ოხორის მივუნ.  
ბოზო-სი ორეი ქომოჯეფე მუში,  
ოილეისე ორთაქჩი გილუნ.

მთქმელი - ფევზიე ოზ  
ფაზარი (ათინა)  
8 აგვისტო, 1997 წელი

ბინდოქუზიუზ დოქსანდორთ ეილულის ამაფთი ტესისი ინდორასკალე ოჩალიშუ გევოჭკი, ოხორი შქიმიშე მენდრა დობ-სკუდი ამა ამ სკანი ოხორისთეი მაიო. გოწო ბაბა შქიმი დოლურე

---

ოფშა ზორი მაიო დაშქიმიკალა ხვალა ვორტი. არ და ნანაშქიმი, ჯუმალეფე შქიმი იი მენდრა ორტეს, ბაბა შქიმითი ღურუ, ოფშა ხვალა დოფასქუდი, ხოლო დულია გეგოჭკი, ემ დღას კულე ხვალა ვა დოფსქუდი. ზულაშე ონჩიუში ბოზო მოთალეფეშკალა ვიხაპარამ. დღალეფე შქიმი აშოგოლულენ, მექთები მევაშქვი, ლისე არ მევაშქვი. ოფშა ფიშმანი ვორე, მექთებიშა ვიდიკო აშო ვართი ვორტი, ბელქი ბაშქა მუტი ვიატუ. ა მუალიბი, ა დოქტორი ვიატუ. ბელქი ჰუს (ახლა) გარსონი ვორე. დააშქიმი ქიმოჯეი ვა რენ, ი ჯუმალეფე შქიმითი, ჩილერი ვა რენ. ნანა შქიმითი ონორი ონ , დულიეფეშ კალა კიოის ჩაი მწილუმთ.

ავლა სქანი ჯუნელი  
ჯეფრი მეგიფანარე,  
სი გოლვალი უიოფი  
მა ჩექე გიფინარე  
ფუჯეფე ნაშქვი დო  
ამონა იიულუნ  
სქანი სევდალული გური ომიჭუ

---

## Specialized dictionaries and Georgian-Turkish lexicography

**Zeinab Akhvlediani**

Batumi Shota Rustaveli State University  
Department of Oriental Studies  
Georgia, Batumi  
zeinab.akhvlediani@bsu.edu.ge

### **Abstract**

The history of lexical works dates back to ancient times, which led to the accumulation of immense experience and content-structural refinement changes.

Dictionaries appeared in the second half of the 20th century describing cultural backgrounds beyond language in addition to describing and comparing language systems with the purpose of appropriate, relevant translation.

Sharing of the nation's cultural achievements is done through translation. The function of translator, translating the text into the language of the recipient is only effective through revealing cultural painting, which links the spiritual world together: it aims to reveal cultural traditions and values.

**Keywords:** Georgian-Turkish lexicography.

---

## სპეციალიზირებული ლექსიკონები და ქართულ- თურქული ლექსიკოგრაფია

**ზეინაბ ახვლედიანი**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი  
საქართველო, ბათუმი  
zeinab.akhvlediani@bsu.edu.ge

### აბსტრაქტი

ერის კულტურულ მიღწევათა ერთაშორისი გაზიარება თარგმნის საშუალებით ხორციელდება. მთარგმნელის ფუნქცია, ენობრივი სისტემის მეშვეობით ტექსტის მიმღებ ენაზე გადატანა, მხოლოდ კულტურული ფერწერის საშუალებითაა ეფექტური, რაც ერთა შორის სულიერი სამყაროს დაკავშირებას: კულტურულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე ფარდის ახდას ისახავს მიზნად.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია.



## მსჯელობა

ლექსიკონური ნაშრომების ისტორია სათავეს უძველესი დროიდან იწყებს, რამაც უზარმაზარი გამოცდილების დაგროვება და ლექსიკონის შინაარსობრივ-სტრუქტურული დახვეწა-ცვლილებები განაპირობა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ლექსიკონები, რომლებმაც ადეკვატური თარგმანის განხორციელების მიზნით, ენობრივი სისტემების აღწერა-შედარების გარდა, ენის მიღმა არსებული კულტურული ფონის აღწერის ფუნქციაც იტვირთა.

ერის კულტურულ მიღწევათა ერთაშორისი გაზიარება თარგმნის საშუალებით ხორციელდება. მთარგმნელის ფუნქცია, ენობრივი სისტემის მეშვეობით ტექსტის მიმღებ ენაზე გადატანა, მხოლოდ კულტურული ფერწერის საშუალებითაა ეფექტური, რაც ერთა შორის სულიერი სამყაროს დაკავშირებას: კულტურულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე ფარდის ახდას ისახავს მიზნად.

როცა სპეციალიზირებულ ლექსიკონებზე ვსაუბრობთ, იმ სახასიათო თავისებურების გვერდით, რასაც ერის ცხოვრების ილუსტრირება ჰქვია, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი, როგორც მემატიანის ფუნქცია. ცნობილია, რომ ნებისმიერი ისტორიული ეპოქა სამყაროს აღქმის მისეული ხედვით გამოირჩევა, რაც რასაკვირველია, პირველ რიგში გარემო ფაქტორებთანაა დაკავშირებული. მენტალური ხასიათის დიაქრონული ლექსიკონები საშუალებას მოგვცემს ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ წარსულში და აღნუსხული რეალი-

ების მიხედვით თანმიმდევრულად შევიცნოთ ერის სულიერი და კულტურული მდგომარეობა. ასეთი ტიპის ლექსიკონებს მიეკუთვნება ლინგვისტური ლექსიკონისა და ენციკლოპედიის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი, ერის კონცეპტუალური სამყაროს პრეზენტატორი, ლინგვოენციკლოპედიური (კომპლექსური) და ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონები.

ასეთია მაგალითად, ვ. ს. ელისტრატოვის ლინგვოენციკლოპედიური ლექსიკონი „Язык старой Москвы.“ ეს ლინგვოენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც ძველი მოსკოვის ენისა და ყოფის (მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე) ლექსიკონურ აღწერას მოიცავს, შეიცავს დაახლოებით 7 ათას სიტყვასა და გამოთქმას. ძირითადი ყურადღება ეთმობა მე-19 საუკუნის ბოლო ოცდაათწლეულს. ლექსიკონში აღწერილია ძველი, დღეს უკვე არარსებული რეალიები, რომელიც ძველი მოსკოვური ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ასოციაციურ წარმოდგენებს გვიქმნის.

წიგნი გათვლილია უპირველეს ყოვლისა იმათთვის, ვინც ინტერესდება რუსეთის, განსაკუთრებით მოსკოვის ისტორიით და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სპეციალისტ-ფილოლოგებს, ასევე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ისტორიკოსებს, ჟურნალისტებს, ლიტერატორებს, თარჯიმნებს.

როგორც უკვე ვისაუბრეთ, კონკრეტული ენის შესწავლა და თარგმანის განხორციელება ენის მხოლოდ ლინგვისტურ აღწერა-დაუფლებას არ ითვალისწინებს. ენის შესწავლა, ენის კულტურული სივრცის აღწე-

რასაც მოიცავს, რაც თავის მხრივ ეთნოსის კულტურასა და გეოგრაფიულ-ისტორიული ინფორმაციის შესწავლის აუცილებლობას მოითხოვს. ამ ფაქტორმა ცხადყო ლინგვისტიკის ქვეყანათმცოდნეობის დარგთან დაკავშირება, რამაც გამოიწვია ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონებიდან აღსანიშნავია ი. ე. პროხოროვის საერთო რედაქციით, 2007 წელს გამოცემული დიდი ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონი „რუსეთი“. სიტყვა-სტატიები მოიცავს სიტყვებს, ფრაზეოლოგიზმებს, ფრაზებს, რომლებიც რუსი ერის კულტურული ფონის, რეალიების: ყველა რუსული ნივთის, მოვლენის, ტრადიციის, პიროვნების, მხატვრული ნაწარმოების პრეზენტაციას ემსახურება: пироги, берёза, „богатыри“, „в лесу родилась елочка“, «хлеб и соль», «Война и Мир» და მრავალი სხვა. ასეთი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები განაპირობებს შემდგომში ფრაზეოლოგიზმების, მეტაფორებისა და შედარებების წარმოქმნას (Прохорова, 2007:3). გარდა ამისა, სიტყვა-სტატიები ილუსტრირებულია სტატიის შინაარსის ამსახველი ფოტოებით, რაც გადმოცემული განმარტების ვიზუალურ მხარესაც უზრუნველყოფს.

სპეციალიზირებულ ლექსიკონთა ტიპს მიეკუთვნება ასოციაციური ლექსიკონი, რომლის უნიკალურობაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს არანორმატიული ტიპის ნაშრომი განსაზღვრული ენობრივი კოლექტივის ლექსიკური მარაგის არა გრამატიკულ-სემანტიკური განსაზ-

ღვრების, არამედ ერის ცნობიერების, ფიქრის, კულტურის განსაზღვრის ერთეულად გვევლინება. ეთნოფსიქოლინგვისტური კვლევების საფუძველზე აგებული ლექსიკონის მთავარი მიზანი ერის სოციალურ-კულტურულ მეხსიერებაში შეღწევა, ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით, განსაზღვრული ენობრივი კოლექტივის მიერ სამყაროს მათეული ხედვის აღქმის საფუძველზე, კულტურათშორისი გაუგებრობის თავიდან აცილებაა. როგორც ვიცით, ტექსტში იმპლიციტური მოვლენების არსებობას დიდი კომუნიკაციური დატვირთვა აქვს, რომლის დეკოდირებას, მიმღებ კოლექტივზე წყარო ტექსტის მსგავსი რეაქციის მოსახდენად ახორციელებს მთარგმნელი. ამ ურთულეს პროცესში მთარგმნელზე ყველაზე დიდი დახმარების გაწევა ასოციაციურ ლექსიკონს შეუძლია, რომელიც უკვე არსებობს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სომხურ ენებში.

როგორც წინასიტყვაობაში გვაქვს მოცემული, ერთი რომელიმე ეთნოსის ეროვნულ-კულტურული ცნობიერების ანალიზი ხორციელდება სხვა კულტურებთან კონტრასტული შედარების საფუძველზე. სწორედ, ამან გამოიწვია კონტრასტული შედარების ისეთი მეთოდის ფორმირება, როცა ენა და კულტურა მოიაზრება საზოგადოებრივ ცნობიერებად, რომლის ფუნქციას, როგორც „საკუთარი თავის“, ასევე „სხვისი“ ასახვა წარმოადგენს (Балтова, Ефимова, Липовска, Петрова, 2003:5).

ისეთი ლინგვისტური მოვლენა, როგორცაა „მთარგმნელთა ცრუ მეგობრებად“ წოდებული ენათშორისი

ომონიმი, ანუ სხვადასხვა ენაში მსგავსი ფორმით, თუმცა შინაარსობრივად სხვადასხვა მოვლენის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეული, თარგმნის პროცესში შეიძლება მნიშვნელოვანი შეცდომების გამოიწვევი მი ზეზი გახდეს.

„მთარგმნელთა ცრუ მეგობრები“ საკმაოდ კარგად შესწავლილი და დაფიქსირებულია ორენოვანი ლექსიკონების სახით ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებში.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ და თურქულ სივრცეში „მთარგმნელთა ცრუ მეგობრები“ არ არის შესწავლილი. მაშინ როცა სხვა ენების მსგავსად აქაც მოიძებნება მთარგმნელის ჩიხში შემყვანელი ენათშორისი ომონიმები, ფონეტიკურ-გრაფიკულად მსგავსი სიტყვები, მაგალითად:

თურქების მიერ ქართული ენის შესწავლა-გამოყენებისას, ამგვარი ტიპის ყველაზე ხშირად დაფიქსირებულ შეცდომას ქართული ზმნა „ყოფნის“ I პირის - „ვარ“ ფორმის თურქული „var“-ის გაყინულ ფორმასთან არევა წარმოადგენს. ქართული ენის შემსწავლელ თურქთა, თამამად შეიძლება ითქვას დიდი უმრავლესობა, ასეთი ტიპის შეცდომას უშვებს: „ის კარგი გოგონა ვარ“, რადგანაც თურქ მოსაუბრეს, საუბრის დროს, ფორმების მსგავსების საფუძველზე, პირველ რიგში, მეხსიერებაში აღბეჭდილი მშობლიური „var“-ი უტივტივდება და ძალიან დიდი ხანი სჭირდება იმის აღქმა-შეგუებას, რომ მის გონებაში საგულდაგულოდ ჩაბეჭდილმა „ვარ“-მა, III პირის ნაცვლად, მართალია სხვა ენაში, მაგრამ მაინც, I პირში გადმოინაცვლა.

იგივე ტიპის შეცდომას უშვებს თურქული ენის შემსწავლელი ქართველი, რომელიც თურქულად საუბრისას, რაიმე საკითხთან დაკავშირებით ვარაუდის გამოთქმის დროს, თურქულ სიტყვა *elbet*-ს (ქართული ომონიმი - ალბათ) გამოიყენებს. აქვე მოგახსენებთ, რომ თურქულ სიტყვა „*elbet*“-ს შინაარსობრივად, ქართულ „ალბათ“-თან არანაირი კავშირი არ გააჩნია, უფრო მეტიც, ეს სიტყვები ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს გამოხატავენ (*ალბათ* - სავარაუდოდ; *elbet*, *elbette* - ეჭვგარეშე, აუცილებლად). მსგავსი შეცდომებს შეუძლია „*ალბათ წამოვალ*“-ის ნაცვლად „*რასაკვირველია წამოვალ*“-ის მსგავსი, საკმაო მასშტაბის ცვლილება მოგვცეს და მსმენელიც, შესაბამისად გაუგებრობაში შეიყვანოს.

მსგავსი მაგალითებია: *მამული* (წინაპრებისაგან მიღებული უძრავ-მოძრავი ქონება და სამშობლოდ აღქმული) და გრაფიკულ-ფონეტიკურად ძალიან ახლოს მდგარი თურქული სიტყვა - *mamul* (ნაკეთობა, პროდუქტი); *მასალა* (პროდუქცია, შემადგენელი ნაწილი, დოკუმენტაცია) - *masal* (ზღაპარი, იგავი) და მრავალი მისთ.

როგორც ვხედავთ, ქართულ-თურქული ენათშორისი ომონიმების ეს მცირე ჩამონათვალი, ცხადყოფს ლექსიკოგრაფთა მიერ ქართულ-თურქულ „მთარგმნელთა ცრუ მეგობრების“ სალექსიკონო ნაშრომების შედგენის აუცილებლობას, რადგან მსგავსი ლექსიკონის არსებობა, ზემოხსენებული მაგალითების მსგავსი ლინგვოეთნიკური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანისა და ენის

---

მომხმარებელთათვის სერიოზული დახმარების შესაძლებლობას იძლევა.

### დასკვნა

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, ენის შესწავლა და თარგმანის განხორციელება ენის მხოლოდ ლინგვისტურ აღწერა-დაუფლებას არ ითვალისწინებს. სრულყოფილი თარგმანის განხორციელება კონკრეტული ენის კონცეპტუალური სამყაროს დეკოდირების შემთხვევაშია შესაძლებელი. ზემოხსენებული ლექსიკონები, რომლებიც დაწვრილებით გვიამბობენ ენობრივი საზოგადოების რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებზე, ქვეყნის სახელმწიფო და სოციალურ წყობაზე, ეროვნულ თავისებურებებზე; ლექსიკონები, რომლებიც საკვლევი ერების ცნობიერებაში შეღწევისა და მათი ასოციაციური წარმოდგენების საფუძველზე, ერთაშორისი მსოფლმხედველობის მსგავსებისა თუ აბსოლუტური სხვადასხვაობების აღმოჩენაზეა ორიენტირებული; ლექსიკონები, რომლებიც წარსულში ექსკურსის მოწყობის საფუძველზე ისტორიული ტერმინების, ცნებებისა და რეალიების მომხმარებელთათვის წარდგენას უზრუნველყოფს, დაინტერესებულ პირს კონკრეტული ეთნოსის ფორმირების გზების, მოსახლეობისა და საცხოვრებელი ტერიტორიის, ენის ლინგვისტურად ჩამოყალიბების შესახებ წარმოდგენას შეუქმნის და მისცემს საშუალებას გარკვეული ლინგვოკულტურული პრობლემების გადაჭრის გზები მის ისტორიულ წარსულსა და სხვა ენებთან ურთიერთობებში ეძებოს, სამწუხაროდ, ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიას არ გააჩნია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Балтова, Е. Ефимова, А. Липовска, А. Петрова, К. (2003). *«Славянски асоциативен речник»*. Москва;
2. Прохорова, Ю. Е. (2007). *Россия большой лингвострановедческий словарь*. ООО «АСТ-ПРЕСС КНИГА» Москва.



---

## English for Specific Purposes (ESP) as a Basis for Professional Communication between Specialists of Corresponding Fields

**Anna Teniyeshvili**

Doctor of Philology,  
Georgia, Batumi

### **Abstract**

English has acquired the status of the language of communication of specialists of different fields and it is the language of priority to be learnt in most of the countries. Therefore when the Language for Specific Purposes is mentioned in majority of cases English for Specific Purposes is meant. The term “English for Specific Purposes” appeared in the second half of XX century.

The English Language and English for Specific Purposes in particular are very important especially for intercultural communication - the issue of significant importance for maritime industry and any other professional field. Generally, acquisition of English for Specific Purposes is aimed at successful business communication in specific fields.

English for General Purposes or General English is a basis for any branch of English for Specific Purposes and it is very important for future specialists to acquire any ESP course on the proper level. In order to be able to implement effective communication in the professional field in the future, students should have good basis for it and English for General Purposes can be considered to be such a basis.

The aim of the present article is to demonstrate how English for Specific Purposes can become the basis for professional communication of the specialists of specific fields and how correct

prioritizing during teaching of ESP courses influences efficiency of the received results and formation of specialists of different fields.

**Keywords:** English for Specific Purposes, English for General Purposes / International Standard of English, Maritime English, Terminology, Professional Communication, Intercultural Communication, Respect for the Culture and Traditions of Other Nations.

---

## ინგლისური სპეციფიკური მიზნებისთვის როგორც შესაბამისი დარგების სპეციალისტების პროფესიული კომუნიკაციის საფუძველი

ანნა თენიეშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,  
საქართველო, ბათუმი

### აბსტრაქტი

ინგლისური, რომელიც გახდა საერთაშორისო ენა სხვადასხვა სპეციალისტების კომუნიკაციისთვის, პრიორიტეტულია მრავალ ქვეყანაში სწავლისთვის. ამიტომ, როდესაც საქმე ეხება ინდუსტრიის ენას, ინგლისური ყველაზე ხშირად იგულისხმება. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ტერმინი „ინგლისური კონკრეტული მიზნებისათვის“, რომელიც ცალკეული მიმართულება გახდა ლინგვისტიკაში.

ინგლისურს, განსაკუთრებით ინგლისურს სპეციალური მიზნებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერკულტურული კომუნიკაციის წარმატებული განხორციელებისთვის, ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზღვაო და სხვა პროფესიულ სფეროში. ინგლისური ენის შესწავლის ყველაზე გავრცელებული მიზანი კონკრეტული მიზნებისათვის არის საქმიანი კომუნიკაციის წარმატებული განხორციელება შესაბამის ინდუსტრიაში.

ამ სტატიის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ შეიძლება ინგლისური სპეციფიკური მიზნებისათვის გახდეს პროფესიონალური კომუნიკაციის საფუძველი შესაბამისი ინდუსტრიების სპეციალისტებისთვის და როგორ აისახება პრიორიტეტების სწორად განაწილება კონკრეტული

მიზნებისათვის ინგლისურის სწავლებისას სრულყოფილი სპეციალისტები სხვადასხვა ინდუსტრიაში.

**საკვანძო სიტყვები:** ინგლისური სპეციფიკური მიზნებისათვის, ინგლისური ზოგადი მიზნებისათვის / ინგლისურის საერთაშორისო სტანდარტი, საზღვაო ინგლისური, ტერმინოლოგია, პროფესიული კომუნიკაცია, ინტერკულტურული კომუნიკაცია, სხვა ერების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა.

---

---

**«Английский язык для специальных целей как основа профессиональной коммуникации специалистов соответственных отраслей»**

**Анна Тенишвили**

Доктор филологических наук,  
Грузия, Батуми

**Аннотация**

Английский язык, ставший международным языком для общения специалистов из разных отраслей, является приоритетным для изучения во многих странах. Поэтому когда речь идёт о языке той или иной отрасли, чаще всего подразумевается именно английский язык. Во второй половине 20-ого века появился термин «английский язык для специальных целей» (English for Specific Purposes), ставший отдельным направлением в лингвистике.

Английский язык, в особенности английский для специальных целей, имеет огромное значение для успешного осуществления межкультурной коммуникации, фактора играющую особую роль в морской и любой другой профессиональной отрасли. Чаще всего целью изучения английского для специальных целей является успешное осуществление деловой коммуникации в соответственной отрасли.

Основой любого вида английского для специальных целей является английский язык для общих целей (English for General Purposes/General English) т.н. международный стандарт английского языка, овладение которым очень важно для освоения языка для той или иной отрасли. Для осуществления эффективной коммуникации в профессиональной сфере в будущем студенты должны получить серьёзную основу английского языка в виде английского языка для общих целей.

Целью данной статьи является показать, как английский для специальных целей может стать основой профессиональной коммуникации специалистов соответственных отраслей, и как правильное распределение приоритетов во время обучения английскому для специальных целей влияет на эффективность полученных результатов и на формирование совершенных специалистов различных отраслей.

**Ключевые слова:** английский для специальных целей, английский для общих целей/ международный стандарт английского языка, морской английский, терминология, профессиональная коммуникация, межкультурная коммуникация, уважение к культуре и традициям других народов.

---

## Вступление

Английский язык, ставший международным языком для общения специалистов различных отраслей, является приоритетным для изучения во многих странах. Поэтому, когда речь идёт о языке той или иной отрасли, чаще всего подразумевается именно английский язык. Во второй половине 20-ого века появился термин «английский для специальных целей» (English for Specific Purposes), ставший отдельным направлением в лингвистике. Сейчас это направление имеет как практическую, так и теоретическую основу, многие учёные посвящают научные труды исследованию этой сферы лингвистики (Хатчинсон, Уотерс, Притчард и др.). Интересным наблюдением является то, что часто английский для специальных целей характеризуют как подход, нежели как продукт (Хатчинсон и Уотерс) (4).

Целью данной статьи является показать, как английский для специальных целей может стать основой профессиональной коммуникации специалистов соответственных отраслей, и как правильное распределение приоритетов во время обучения английскому для специальных целей влияет на эффективность полученных результатов и на формирование совершенных специалистов различных отраслей.

## Основная часть

Английский язык, в особенности английский язык для специальных целей, имеет огромное значение для успешного осуществления межкультурной коммуникации - фактора играющую особую роль в морской и любой другой профессиональной отрасли. Чаще всего целью изучения английского языка для специальных целей является успешное

---

осуществление деловой коммуникации в соответственной отрасли. Так, например, морской английский можно смело назвать видом английского для специальных целей, который полностью ориентирован на осуществление коммуникации между морями. Обусловлено это, прежде всего тем, что с середины 80-х годов 20-ого века по решению специального представительства ООН - международной морской организации, английский язык стал официальным языком для общения в морской отрасли и укрепил свой статус т.к. в современной морской отрасли наблюдается тенденция к увеличению многонациональных экипажей. Будучи неотъемлемой частью английского для специальных целей морской английский имеет огромное значение в морской отрасли. Тем не менее, он является предметом изучения такой науки как Лингвистика. Английский язык для специальных целей можно рассматривать как точку пересечения лингвистики и определённой технической сферы.

Каосар в своей статье “The ESPT teacher: Issues, Tasks and Challenges” отмечает: «Английский язык для специальных целей – это английский для профессии, а не профессия на английском языке». Это скорее подготовка по английскому языку для определённой профессии (5, с.9). Для успешного построения и преподавания курса английского языка для специальных целей необходимо чтобы перед началом занятий преподаватель и студенты ответили на два основных вопроса: Является ли английский язык для специальных целей проверкой знания языка с точки зрения специальности или же это проверка знания специальности на английском языке? Достигнув консенсуса в данном вопросе и установив, что английский для специальных отраслей это проверка знания



---

специальности на английском языке можно приступать к немедленному изучению того или иного специального курса английского языка.

Основой любого вида английского для специальных целей является английский язык для общих целей, овладение которым очень важно для освоения языка для той или иной отрасли. Для осуществления эффективной коммуникации в профессиональной сфере в будущем студенты должны получить серьёзную основу английского языка в виде английского языка для общих целей. Подавляющее большинство катастроф на море обусловлено человеческим фактором и языковым барьером. Одной из причин этого является преподавание морского английского студентам, не имеющим достаточную предварительную базу в виде английского языка для общих целей, что является тормозом в освоении языка для специальной отрасли и влечёт за собой пробелы в языковой компетенции учащихся. Поэтому, наряду с морским английским/английским для специальной цели необходимо преподавать английский для общих целей на должном уровне. Чем лучше у студентов знания английского для общих целей, тем легче они смогут освоить язык для специальной отрасли.

Язык для общих целей должен преподаваться студентам на начальной стадии обучения, до того как они получают базовые знания по своей специальности, необходимые для успешного освоения языка для специальной отрасли. Язык для специальных целей включает в себя большое количество специфической информации, которая будет усваиваться студентами лучше, если у них уже будут фоновые знания в

---

соответственной технической отрасли и определённый уровень английского для общих целей.

В течение долгого времени считалось, что будущим морякам, а также студентам изучающим другие виды английского для специальных целей необходимо иметь ограниченные знания английского языка, имеющие непосредственное отношение только к той или иной специальной отрасли. Необходимо изменить этот подход и осознать значимость английского языка в современном мире для всех сфер человеческой деятельности. Поэтому необходимо развивать мотивацию у студентов, чтобы повысить их интерес к изучению английского языка в целях приобретения серьёзной базы в виде английского для общих целей для успешного освоения английского для специальных целей в будущем.

Тексты на морскую тематику, как и все технические тексты, имеют информационный характер, т.к. их основной целью является передать информацию читателю, как с лингвистической, так и с технической точки зрения. Поэтому составители таких текстов, как правило, в первую очередь думают о содержании и основной идее, т.к. они не имеют право упростить текст, ввиду необходимости передачи основной идеи на должном уровне. Это один из аргументов, доказывающих, что студенты, изучающие английский для специальных целей, должны также иметь определённый уровень знаний общего английского языка. Это необходимо для того, чтобы студенты имели возможность, читая технические тексты, концентрировать своё внимание на технических терминах, а не на структуре предложений, т.к. все грамматические, лексические и стилистические аспекты должны быть им уже хорошо знакомы и понятны.

---

Немаловажную роль в успешном освоении английского для специальных целей играет отношение студентов к процессу изучения специального курса языка. Эффективное преподавание английского языка для специальных целей, возможно, только тем студентам, которые имеют мотивацию для его изучения. Настоящая мотивация для изучения английского для специальных отраслей может быть развита только у студентов с хорошим знанием общего английского, т.к. они более заинтересованы в изучении языка, и поэтому овладевают навыками английского для специальных целей быстрее и эффективнее.

Такой вопрос как лексические средства является доминантным при изучении иностранного языка на любом уровне и в любом аспекте. Все специальные тексты основаны на законах общего английского языка, имея такую отличительную черту как специфическая техническая лексика, а также сложная техническая идея, которую они должны передать. Конечно такие тексты будут более понятны студентам, знание общего английского у которых находится на уровне эквивалентном уровню B2 или C1 (средний и продвинутой уровни), т.к. в этом случае, ввиду хорошего знания грамматики и основ языка, студенты будут концентрировать своё внимание только на изучении незнакомой им терминологии, и таким образом смысл им будет полностью понятен. Процесс овладения специальной лексикой можно сравнить с процессом формирования преподавателя английского языка для специальных отраслей. В большинстве случаев такие преподаватели являются специалистами английского языка и литературы, которые постепенно

---

овладевают терминологией и спецификой той или иной отрасли.

Если мы сравним студентов, изучающих английский для специальных целей по такому параметру как предварительный уровень знания общего английского, можно увидеть, что студенты с более высоким уровнем английского языка легче овладевают специальным курсом английского, относящегося к той или иной отрасли. Английский для специальных целей создавался для студентов со средним или продвинутым уровнем общего английского (Дадли-Эванс) (2). Средний уровень общего английского является предварительным условием для эффективного овладения английским для специальных отраслей. «Помимо знания общего английского важным условием также является развитие социально-культурных аспектов у учащихся» (Борис Притчард) (8).

Как известно, целью изучения иностранного языка является осуществление коммуникации. Морской английский, главным образом, ориентирован на осуществление коммуникации, и поэтому знание английского языка подразумевает овладение четырьмя языковыми навыками: чтение, восприятие на слух, разговорная речь, письмо. Для морской отрасли особенно актуально овладение такими навыками как чтение, восприятие на слух, разговорная речь. Если говорить о навыках, с точки зрения их значимости для отрасли, первой будет указана разговорная речь, затем восприятие речи на слух, затем чтение и письмо.

Несмотря на то, что морской английский является одним из видов английского для специальных целей, ввиду его ориентации на коммуникацию, его отличительной особенностью является то, что приоритетными в нём являются

---

такие навыки как: разговорная речь и восприятие на слух. В то время как чтение и письмо имеют особое значение для всех других видов английского для специальных целей, особенно для тех, которые ориентированы на научную деятельность.

Любой язык является частью культуры. Люди, овладевшие иностранным языком, обычно приближаются к культуре этого языка. Владение английским для общих целей – это средство преодоления культурных барьеров. Язык – это часть культуры любой нации, знание английского языка поможет лучше понять культуру данной страны. Когда изучающие иностранный язык глубже познают сам язык не только с лингвистической, но и с культурной точки зрения, разные формы коммуникации, включая язык тела, средства невербального общения становятся им более знакомыми. Так, например, в морской отрасли в условиях работы в многонациональных экипажах, такие знания облегчают общение между моряками из разных стран, таким образом, обеспечивая безопасность и сокращая факторы риска. Знание английского языка и уважение к культуре и традициям другого народа будут способствовать коммуникации, которая в свою очередь поможет установлению хороших отношений и создаст благоприятную рабочую атмосферу, что, в свою очередь, будет способствовать высокой продуктивности.

«Терминология является средством коммуникации в специальном языке» (Сандра Томиак) (10), и, как известно, терминология – это главная отличительная особенность английского языка для специальных целей. Английский язык для общих целей – это средство достижения взаимного понимания и уважения к культуре и традициям другого народа. Английский язык для специальных целей – это основа для

---

сотрудничества между специалистами из разных стран, а также средство получения новой информации из той или иной отрасли в основном с помощью интернета. Только комбинация английского для общих целей и английского для специальных целей может стать серьёзной основой для работы будущих специалистов, облегчит их общение с коллегами из разных стран и сократит фактор риска, который чаще всего зависит от эффективности коммуникации, как это имеет место в морской отрасли. По словам Ахмади А. в статье “Barriersto Englishfor Specific Purposes Learningamong Iranian University Students”: «английский язык является наиважнейшим средством для овладения современными мировыми научными ресурсами, таким образом, главной целью специального английского языка является помочь студентам в подготовке и изучении методов работы с этими ресурсами» (1,с.794).

XXI век, развитие и распространение интернета, большая часть ресурсов которого предложена на английском языке, является одним из факторов, который способствовал укреплению позиций английского языка как основного иностранного языка для специальных целей, а также формированию данного направления в качестве отдельного направления в лингвистике.

Курс английского языка для специальных целей может быть подразделён на: общий курс и специальный курс. В морском английском также имеются два ответвления: общий морской английский и различные курсы специального морского английского, специфика которых зависит от той или иной специальности, например: английский язык для судоводителей, английский язык для судомехаников, английский язык для судовых инженеров-электриков,

---

английский язык для судовых радиоинженеров и т.д. Таким образом, студенты получают знания терминологии отрасли в целом, а затем будут иметь возможность сконцентрироваться на узкоспециальной терминологии. Такой подход расширит и улучшит качество изучения английского языка для специальных целей.

Как уже было сказано выше, одной из наиболее важных задач преподавания английского для специальных целей является развитие коммуникационных навыков на английском языке, чтобы будущие технические специалисты смогли вести диалог с коллегами. В случае надобности, они также должны иметь возможность работы с технической документацией на английском языке, а также и с интернет ресурсами.

По словам Тао Дж. в статье “Identity Constructionsof ESPT eachersina Chinese University”: «Все участники курса английского для специальных отраслей верят, что весь преподаваемый ими материал поможет развитию и продвижению карьеры студентов и, таким образом, будет способствовать социально-экономическому развитию» (9,с.9).

Бриджер, цитируемыйМақдоноу, выделяет 4 типа знаний, предлагаемых в курсе английского языка для специальных отраслей:

1. Общий курс языка
2. Специальный курс языка
3. Общие навыки коммуникации
4. Профессиональные навыки коммуникации (6, с. 472)

Студенты, изучающие курсы английского языка для специальных целей также как и студенты, изучающие курс английского языка для общих целей должны, в той или иной

---

степени, овладеть всеми четырьмя языковыми навыками: чтение, разговорная речь, восприятие на слух и письмо.

Цель любого студента, изучающего курс английского языка для специальных целей – достичь понимания технического текста и овладеть навыками профессиональной коммуникации на английском языке. Технический текст, как и любой специальный текст, требует 100% понимания т.к. такие тексты обычно характеризуются высокой лексической (семантической) «плотностью». Для этого необходимо, чтобы студенты достигли высокого уровня знания английского языка и имели хорошие знания по своей специальности. Следовательно, внедрение английского языка для специальных целей на более позднем этапе подготовки специалистов будет более эффективным т.к. студенты смогут внести весомый вклад в лекции на основе своих профессиональных знаний.

Важную роль в эффективности курса английского для специальных целей играют учебные материалы. Учебники английского языка для специальных целей отличаются по следующим параметрам: способу передачи специальной информации и уровню общего английского, который они требуют от студентов. Все такие учебники, как правило, предлагают адаптированные тексты, но целью этих учебников является подготовка студентов для работы с оригинальными техническими текстами и интернет ресурсами.

В профессиональной деятельности, специалисты, имеющие базовые знания английского языка для специальной цели, могут самостоятельно углублять свои знания и совершенствовать свои навыки коммуникации.

Как уже было упомянуто выше, существенным фактором, влияющим на результаты преподавания курса английского



---

языка для специальных целей, является мотивация студентов. Мотивация студентов, изучающих английский язык для специальных целей, может быть обусловлена тремя факторами:

- 1) Интерес студентов к специальным предметам;
- 2) Хорошее знание общего английского языка, что облегчает овладение курсом английского языка для специальной отрасли, т.к. студенты должны концентрировать своё внимание главным образом только на терминологии;
- 3) Понимание важности английского языка для специальной отрасли для успешной работы и успешной профессиональной деятельности студентов в будущем.

Общий курс технического английского, включающий в себя все технические вопросы, мог бы стать прекрасным основанием для освоения специального курса английского языка, имеющего непосредственное отношение к будущей специальности студентов. Так, например, в качестве учебника по общему курсу технического английского языка мы хотели бы привести Cambridge Professional English in Use for Engineering, содержание, которого включает в себя темы, относящиеся к различным техническим отраслям:

Дизайн/проектирование  
Измерения  
Материалы и технологии  
Производство и монтаж  
Жидкости  
Механизмы  
Электричество

---

Таким образом, курс английского языка для специальных целей (например, для технических специальностей) должен состоять из курса общего технического английского и специализированного технического английского, предлагающего вниманию студентов специальные тексты и узкоспециальную терминологию. Лексические средства и терминология являются основным предметом преподавания в учебных материалах курса английского языка для специальных целей. Поэтому, данный вопрос заслуживает особого внимания при рассмотрении таких материалов. Так, по мнению Гоциридзе Р. термины могут подразделяться на следующие группы:

- 1) Разговорные лексические средства, которые встречаются в специальной литературе, но не представляют собой терминологию: toboil, oil, test;
- 2) Общая научная терминология, встречающаяся в любой отрасли: structure, dynamic, forecasting
- 3) Общая техническая терминология, встречающаяся во всех сферах инженерного дела: fuel, engine, electricity
- 4) Узкоспециальная терминология: machine building, lathe, sliding washer, grip (3, с.51).

Исходя из этой классификации, первые три класса терминов могут быть изучены в курсе общего технического английского, а в рамках изучения специального курса технического английского будет преподаваться узкоспециальная терминология. Естественно, что в учебных материалах такого рода студенты будут встречать и вышеупомянутые первые три класса терминологии.

Таким образом, такие факторы как, английский язык для общих целей, знание специальности на родном языке, мотивация студентов, деление курса английского языка для

---

специальных целей на общий и узкоспециальный курсы, играют ключевую роль в становлении совершенных специалистов той или иной отрасли. Все эти факторы являются залогом осуществления профессиональной коммуникаций на иностранном языке.

### **Выводы**

Английский язык для специальных целей является важной основой для эффективной коммуникации между специалистами из разных стран, а также для работы с различными информационными ресурсами, включая интернет ресурсы.

В свою очередь английский для общих целей является основанием для освоения специального курса английского языка для той или иной отрасли и гарантирует качество обучения. Кроме того, он приближает учащихся к культуре изучаемого языка, таким образом, формируя в них уважение к культуре и традициям другого народа, тем самым способствуя межкультурной коммуникации.

Хорошее знание английского для общих целей наряду с интересом к будущей профессии – это те факторы, которые способны увеличить мотивацию студентов к изучению английского языка для специальных целей.

Курс английского для специальных целей может состоять из двух частей: курс общего технического английского и курс специального технического английского. В любой отрасли ключевую роль играет лексика и терминология. В первой части будут в основном использоваться разговорные лексические средства, которые встречаются в специальной литературе, но не представляют собой терминологию, общая научная

---

терминология, встречающаяся в любой отрасли, общая техническая терминология, встречающаяся во всех сферах инженерного дела. Во второй части курса помимо вышеперечисленных типов терминологии будет также встречаться узкоспециальная терминология.

Английский язык для специальных целей имеет такое же значение в становлении высококвалифицированных специалистов, как и специальные предметы. Данный курс должен рассматриваться как важное звено в процессе формирования будущих специалистов различных отраслей.

### Литერატურა:

1. Gotsiridze, R. (2003). *Sp'etsialuri T'ekst'ebis Damouk'idebeli K'itkhvis Unarchvevata Srulqopa K'omp'iut'eris Sashualebit T'eknik'ur Umaghles Sasts'avleblebshi (Inglisuri Enis Masalebze)*. Tbilisi. (გოცირიძე, რ. (2003). *სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი კითხვის უნარჩვევათა სრულყოფა კომპიუტერის საშუალებით ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში (ინგლისური ენის მასალაზე)*. თბილისი);
2. Ahmadi, A. (2012). *Barriersto EnglishforSpecific Purposes Learnigamong Iranian University Students*. Procedia – Social and Behavioral Sciences 47.;
3. Dudley-Evans, T. (2000). *Genre Analysis: a Key to a Theory of ESP?*. Iberica. No 2.;
4. Hutchinson, T. Waters, A. (1987). *English for Specific Purposes – A Learning-Centered Approach*. Cambridge University Press;
5. Kaosar, M. (2014). *The ESP Teacher: Issues, Tasks and Challenges*. English for Specific Purposes. Issue 42.vol.15.;
6. Master, P. *Research in ESP*. [www.researchgate.com](http://www.researchgate.com);

7. Pritchard, B. A (2018). *Databank of Maritime English Resources – an Invitation to Contributions*. Proceedings of International Maritime Lecturers Association – IMLA. [www.imla.co](http://www.imla.co);
8. Tao, J. Gao, X. (2018). *Identity Constructions of ESP Teachers in a Chinese University*. English for Specific Purposes 49.

**რეცენზია ემზარ მაკარაძის ნაშრომზე - თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები). გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019.**

საქართველოს ისტორიიდან და დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენი მეზობლისა და სტრატეგიული პარტნიორის - თურქეთის უახლესი ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის სათანადო ცოდნა გამორჩეული მნიშვნელობის მატარებელია. ამ მხრივ მეტად მცირეა ნაშრომები, რომლებიც სახელმძღვანელოდ გამოდგება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აღნიშნულ სკითხვებზე კურსების სასწავლებლად. პროფ. ემზარ მაკარაძის ნაშრომი კი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია და ავსებს ზემოაღნიშნულ სიცარიელეს.

წიგნი ცამეტი თავისგან შედგება. თითოეულ თავს თან ერთვის დავალებები სტუდენტებისთვის და გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია საკვანძო მოვლენათა ქრონოლოგია და ცნობილი თურქი პოლიტიკოსების ბიოგრაფიები.

ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი ის ვითარება, რომელიც შეიქმნა უკვე დაშლილ ოსმალეთის იმპერიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესი, ბრძოლა საერთაშორისო აღიარებისთვის. ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს ქემალიზმის პრინციპების ანალიზს, წარმოაჩენს ქემალ ათათურქის როლს თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის შექმნაში. დაწვრილებითაა განხილ-

ული თურქეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები ომთაშორის პერიოდში და ამავე ხანებში თურქეთის საგარეო ურთიერთობები. გაანალიზებულია ვითარება თურქეთში მეორე მსოფლიო ომის დროს. ვრცლად არის შესწავლილი თურქეთში არსებული მდგომარეობა ომის შემდეგ; გამოკვეთილია თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორები, ტრუმენის დოქტრინისა და მარშალის გეგმის მნიშვნელობა ქვეყნისთვის. განხილულია ასევე თურქული მრავალპარტიულობის სპეციფიკა; ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინაშე არსებული გამოწვევები; შიდაპოლიტიკური სიტუაციის გამწვავების მიზეზები და შედეგები. ყურადღება გამახვილებულია სამხედრო გადატრიალებების მიზეზებსა და სპეციფიკურ ხასიათზე. ვრცლად არის შესწავლილი თურქეთის რესპუბლიკის მეორე კონსტიტუცია, გაანალიზებულია კონსტიტუციაში შემდგომ შეტანილი ცვლილებები. დიდი ყურადღება ექცევა თურგუთ ოხალის მმართველობის პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგების კვლევას. ავტორი ასევე ეხება ფეთქულაჰ გიულენისა და მისი მოძრაობის როლს თანამედროვე თურქეთის ისტორიაში. შემდეგ შესწავლილია „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიისა და მისი ლიდერის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის მმართველობის დროს განხორციელებული ცვლილებები ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. წარმოჩენილია ის პრობლემები, რომლებიც დღეს არსებობს თურქეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში. ავტორი ბოლო თავს უძღვნის თანამედროვე


ეტაპზე თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების დინამიკის შესწავლას.

საერთო ჯამში, ნაშრომი, მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული, რომელსაც ავტორი თავმდაბლურად უწოდებს „სალექციო ჩანაწერებს“, როგორც აღინიშნა უდავოდ ფასეული შენაძენია სტუდენტებისთვის, სპეციალისტებისთვის და დაინტერესებული მკითხველისთვის.

**პროფესორი გიორგი სანიკიძე**  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტის დირექტორი



რეცენზია ემზარ მაკარაძის, ოთარ გოგოლიშვილის და დავით ანდლულაძის ნაშრომზე - „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“. გამომცემლობა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2019.



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩაის კულტურისა და ციტრუსების გავრცელების ისტორიას. საქართველოს ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ჰავისა და ადგილმდებარეობის გამო აქ გავრცელდა სწორედ ეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები. რომლის შემოტანის, დამკვიდრებისა და გავრცელების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ცნობილმა რუსმა ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა და ჩაქვის საუფლისწულო მამულის ხელმძღვანელობამ. კ. პოპოვმა ჩინეთიდან ბათუმში ჩამოიყვანა ცნობილი ჩაის კულტურის სპეციალისტი ლაო ჯონჯაუ. სწორედ მას მიანდეს ამ კუთხეში ჩაის კულტურის გაშენება. რომელმაც გაამართლა იმედეები და უმოკლეს ხანში აქ ისეთი ჩაის კულტურა გააშენა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მთელ საქართველოში და უფრო მეტიც, ის კონკურენციას უწევდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ინდურ და თვით ჩინურ ჩაისაც.

სწორედ ლაო ჯონჯაუს საქართველოში მოღვაწეობას ეძღვნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ემზარ მაკარაძის, ოთარ

---

გოგოლიშვილისა და მაგისტრანტ დავით ანდლულაძის მონოგრაფია - „ლაო ჯონჯაუს მოღვაწეობა საქართველოში“. ნაშრომი შესრულდა ჩინეთის რესპუბლიკის საელჩოსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ერთობლივი სამეცნიერო გრანტის ფარგლებში.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ლაო ჯონჯაუზე შესრულებული უაღრესად საინტერესო გამოკვლევა. ავტორებმა დიდი მუშაობა გასწიეს, სიღრმისეულად შეისწავლეს აჭარის, ქუთაისისა და თბილისის ცენტრალურ არქივებში დაცული მასალები, გაეცნენ სამეცნიერო ლიტერატურას, პრესას და მემუარებს, დაამუშავეს ლაოს შესახებ სხვადასხვა პიროვნებებში გაბნეული მასალები და ერთად მოუყარეს მას თავი. არაერთხელ ესტუმრნენ ლაოს შვილიშვილს, ლიოუ ყანდარელ-კუნგვემს და მისგან საინტერესო ინფორმაციები მიიღეს, გამოიყენეს უამრავი ფოტომასალა ამ პიროვნებასთან დაკავშირებით და საზოგადოებას მიაწოდეს საინტერესო ნაშრომი ამ უაღრესად საინტერესო საზოგადო მოღვაწის აჭარაში საქმიანობის შესახებ.

ნაშრომში უამრავი საარქივო მასალებისა და ლიტერატურის გამოყენებით შესწავლილია ბათუმის ოლქში დაარსებული საუფლისწულო მამულები, განსაკუთრებით განხილულია ჩაქვის საუფლისწულო მამულის დაარსება და იქ მიმდინარე პროცესები, ასევე დიდი ყურადღებაა დათმობილი ჩინეთის როლზე საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების საქმეში და

---

საქართველოში ჩაის შემოტანისა და დანერგვის ისტორიაზე, ნაშრომში შესწავლილია ლაო ჯონჯაუს უაღრესად საინტერესო ბიოგრაფია, მისი მეცნიერული კვლევები, მოტანილია ციტატები ბათუმში მოღვაწე ცნობილი პიროვნების, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებლისა და დირექტორის ანდრია კრასნოვის შეხედულებაზე ლაოს შესახებ, აღწერილია ლაო ჯონჯაუს ტრადიციებზე და გატაცებებზე, ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველად გააცნეს საზოგადოებას ლაო ჯონჯაუს შვილები, დაახასიათეს ისინი და ისაუბრეს იმ სასწავლებლებზე სადაც ლაოს შვილებმა მიიღეს განათლება.

ნაშრომში ავტორებმა წარმოაჩინეს ლაო ჯონჯაუს ქართველი რძალის ნონა თუმშალიშვილის და ლაოს შვილიშვილის, ქართველების ჩინელი რძალის ლიოუ ყანდარელ-კუანგვემის მოღვაწეობა, შემოიტანეს ბევრი საყურადღებო მასალა ამ პიროვნებების საქმიანობის შესახებ.

ნაშრომში ჩანს ავტორების პოზიცია ჩაქვში ლაო ჯონჯაუს მუზეუმის დაარსების შესახებ. ავტორთა აზრით ეს ძალიან მნიშვნელოვანია და თუ გაიხსნება ლაო ჯონჯაუს მუზეუმი, ის გახდება ორი ქვეყნის ურთიერთობაში კიდევ ერთი მტკიცე მეგობრობის ხიდი, რომელიც იმავდროულად ხელს შეუწყობს აღნისნულ კუთხეში ტურისზმის განვითარებას.

ნაშრომში ასევე საუბარია ლაოს ბათუმის ოლქში მოღვაწეობის შესახებ და იმ დამსახურებაზე, რომელიც მას მიუძღვოდა ჩაის კულტურის განვითარებაში.

---

ნახსენებია სალიბაურისა და ჩაქვის ჩაის ფაბრიკებზე, სადაც ის ღირექტორად მუშაობდა, მომუშავე პერსონალზე, ფაბრიკებში გამოშვებულ ჩაის ნაწარმზე და იმ საერთაშორისო გამოფენებზე, წარმატებებზე, რომლებიც მის მიერ გამოშვებულ ჩაის ნაწარმს ხვდა წილად. ბოლოს უდიდესი სინანულია გამოთქმული ბათუმიდან ჩინეთში დაბრუნებაზე, რადგანაც მან საქართველოში ჩაის კულტურის განვითარებასა და აყვავებას დიდი ძალისხმევა შეაღია.

ნაშრომი უდავოდ მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენამენია ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

**ასოც. პროფესორი ჯემალ კარალიძე**  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ნოდარ ბარამიძე - 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ პედაგოგსა და მეცნიერს, ისტორიკოს ნოდარ ბარამიძეს, დაბადებიდან 90 ხოლო პედაგოგიური საქმიანობის 65 წელი შეუსრულდა.



ბატონი ნოდარი გურიაში კარგად ცნობილი სახალხო მასწავლებლის ანტონ ბარამიძის შვილია, რომელიც პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა, ტყვედ ჩავარდა, დემობილიზაციის შემდეგ კი გურიაში დაბრუნდა და ჯერ კონჭკათში, პაპავეზის გახსნილ სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა, შემდეგ შემოქმედის №2 საშუალო სკოლაში დანიშნეს სასწავლებლის გამგედ.

ასეთ ოჯახში მოევლინა ქვეყნიერებას 1930 წლის 7 იანვარს ნოდარ ბარამიძე და იმთავითვე დაებედა, რომ მამის კვალზე უნდა ევლო მთელი ცხოვრება.

საიუბილეო წერილები ბიოგრაფიული ელემენტების გარეშე წარმოდგენელია. ტრადიციას ვერც აქ დავარღვევთ და მკითხველს ზოგად შტრიხებში გავაცნობთ ნოდარ ბარამიძის საინტერესო ცხოვრების ზოგიერთ დეტალს.

1949 წელს იგი სტუდენტი გახდა. თავიდან მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, შემდეგ განათლების სამინისტრომ გადაანაწილა და სწავლა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც მაშინ არაერთი

---

საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი კითხულობდა ლექციებს, მათ შორის: სიმონ ყაუხჩიშვილი, მამია ღუმბაძე, პანტელეიმონ ბერაძე, ნიკო ჭეიშვილი და ა. შ. მათ გაუღვივეს ცოდნას მოწყურებულ ყმაწვილს მეცნიერული კვლევის ინტერესი, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა კიდევ მისი ცხოვრების გეზი.

1954 წელს, კურსის დასრულების შემდეგ ნოდარ ბარამიძემ ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, ჯერ პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, შემდეგ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდის და ბოლოს მსოფლიო ისტორიის კათედრაზე.

დღეს სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებიდან 65 წლის შემდეგ, მკვლევარს შეუძლია, ვალმოხდელი ადამიანის უპრეტენზიო კმაყოფილებით შეაფასოს საკუთარი მონაგარი.

მონაგარი კი, არც რაოდენობრივი, არც შინაარსობრივი თვალსაზრისით არ განეკუთვნება მოკრძალებულთა კატეგორიას. თავად განსაჯეთ, ათზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, ასზე მეტი სტატია, რეცენზია და წერილი. თვითონ რომ ჰკითხოთ, გამორჩევა გაუჭირდება, კოლეგა ისტორიკოსები კი განსაკუთრებით გამოყოფენ ისეთ ნაშრომებს, როგორებიცაა: „სახალხო განათლების ისტორიიდან გურიაში“, „გურიის გლებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა 1900-1921 წლებში“. „სამოქალაქო ომის გმირი ნესტორ კალანდარიშვილი“ და ა. შ.

თავის დროზე ნოდარ ბარამიძემ საყურადღებო რეცენზიები გამოაქვეყნა ვ. სიხარულიძის, პ. ცქვიტარის, დ.

---

დიასამიძის, ალ. გობრონიძის, ლ. შარაშენიძის და სხვა ცნობილ მკვლევართა ნაშრომებზე. მის კალამს, პროფ. აბელ სურგულაძესთან თანაავტორობით, ეკუთვნის საინტერესო სტატიები აკად. ნ. ბერძენიშვილის, მამია დუმბაძისა და კუკური ლილუაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრებას ძირითადად ახალგაზრდების გარემოცვაში ატარებს გვიან ბერდება და ჭარმაგობაშიც ინარჩუნებს ჭაბუკურ მუხტს. ალბათ, ამიტომაც შეინარჩუნა ნოდარ ბარამიძემ ახალგაზრდული მუხტი და მისი შემხედვარე, ძნელად დაიჯერებთ, რომ ამ ენერგიით სავსე ადამიანმა უკვე მეცხე ათწლეული შეასრულა და მის მხრებს განათლების სისტემაში მუხჩაუხრელი, მოღვაწეობის 65 წლიანი ტვირთი ამძიმებს.

ნოდარ ბარამიძე ერთდირებული, მაღალკვალიფიცირებული ლექტორია. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს დაწყებითი განათლების განყოფილებაზე, ძველი და ანტიკური ქვეყნების, რუსეთისა და აზია-აფრიკის ქვეყნების, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში. აქვე შეიძლება გავიხსენოთ მისი მოღვაწეობა საზოგადოება „ცოდნასა“ და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გარდა იგი წლების განმავლობაში იყო აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შტატგარეშე ინსპექტორი და კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელმძღვანელი ორგ-

---

ანოების საპასუხისმგებლო დავალებებს, სწორედ ამ საქმიანობისთვის მიიღო მან არაერთი ჯილდო, მათ შორის განათლების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ბატონი ნოდარი დიდებულ მაგალითს წარმოადგენს ბევრი ახალგაზრდა კოლეგისთვის.

ნოდარ ბარამიძე ბათუმის უნივერსიტეტის ცოცხალი მემკვიდრეა. მის თვალწინ განვლო ამ უმაღლესი სასწავლებლის 13 რექტორის საქმიანობამ. თითოეულ მათგანზე შეუძლია საათობით ისაუბროს, რომლებმაც გამორჩეული კვალი დაატყვეს უმაღლეს სასწავლებელს.

ასობით სპეციალისტის აღმზრდელ, ღვაწლმოსილ პედაგოგს 2010 წელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისი იუბილე გულთბილად აღინიშნა უნივერსიტეტში.

ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისა და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნოდარ ბარამიძე დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ასე მიდის ერთი უანგარო, დამსახურებული და უპრეტენზიო მოქალაქის, ნოდარ ბარამიძის ცხოვრება, მიდის და რაც მთავარია, მიდის რეპეტიციის გარეშე.

მრავალჟამიერ ბატონო ნოდარ!

ნოდარ ბარამიძე სტუდენტებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია, ყველაფერი შეუძლია აპატიოს მათ,



---

ყველაფერი... ერთი რამის გარდა. ეს „ერთი რამე“  
პასიურობაა.

ოთხმოცდაათი წლის ვეტერანს გული სწყდება, რომ  
სტუდენტთა დღევანდელი თაობის გარკვეული ნაწილი  
საზოგადოებრივ აქტიურობასა და ბრძოლისუნარი-  
ანობას არ იჩენს. „ახალგაზრდა, რომ სრულ კურსს  
დაამთავრებს და მერე სახელის გახსენება გაგიჭირდება,  
ეს მისი, როგორც მომავალი მოქალაქის პორტრეტზე  
კარგს არას მეტყველებსო“-იტყვის ხოლმე იგი.

თვით ეს შეფასებაც საინტერესო შტრიხია ნოდარ  
ბარამიძის, როგორც მარად ჭაბუკად შთენილი  
ვეტერანის დასახასიათებლად.

ბატონო ნოდარ, თქვენ ბრძანდებით ჩვენი უნივერ-  
სიტეტის დეაწლმოსილი და დამსახურებული პედაგოგი.  
თქვენ რჩებით ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და  
ლექტორ-მასწავლებლებისათვის ქართველ კაცობისა და  
ჭემმარიტი მოქალაქის სიმბოლო და მაგალითი. თქვენ  
2020 წლის 7 იანვარს დაბადებიდან 90 წელი შეგისრუ-  
ლდებათ. ბატონო ნოდარ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ  
თარიღს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და  
ჯანმრთელობას ერისა და ქვეყნის სამსახურში ნაყო-  
ფიერი მოღვაწეობისათვის.

**პროფესორი ემზარ მაკარაძე**  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის  
ხელმძღვანელი

## ნორა კახიძე - 70



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროს მასწავლებელს ნორა კახიძეს, დაბადებიდან სამოცდაათი და პედაგოგიური საქმიანობის ორმოცი წელი შეუსრულდა.

ქალბატონი ნორა კახიძე დაიბადა 1949 წლის 10 ოქტომბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში. 1966 წელს დაამთავრა გონიოს საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაასრულა 1974 წელს.

აღნიშნულ პერიოდში ქალბატონი ნორა მუშაობდა საქართველოს რადიოსა და ტელემაუწყებლობის კომიტეტში საზღვარგარეთის გადაცემათა რედაქციაში დიქტორად, სადაც, ლაზურ ენაზე მიჰყავდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებისათვის გადაცემები.

ქალბატონი ნორა კახიძე 1975-1977 წლებში ასწავლიდა სარფის საშუალო სკოლაში - ქართულ ენასა და ლიტერატურას.

1977 წლის სექტემბრიდან ქალბატონმა ნორამ მუშაობა დაიწყო ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ბიბლიოთეკარად, 1979 წლიდან

---

მეცნიერული კომუნიზმისა და ფილოსოფიის კათედრის ლაბორანტად ხოლო 1986 - 1989 წლებში კი ინსტიტუტის მოსამზადებელი კურსების მეთოდისტად.

ნორა კახიძემ 1998 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა თურქული ენის სპეციალობით. 1991 წელს მან სტაჟირება გაიარა თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ტრაპიზონის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1994-2010 წლებში ქალბატონი ნორა მუშაობდა ბათუმის რ.შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. პარალელურად თურქულ ენას ასწავლიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში.

ვირმა „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო საბჭომ 2002-2003 სასწავლო წელს ნორა კახიძეს მიანიჭა საერთაშორისო პედაგოგის წოდება და საპატიო პროფესორის სტატუსი. ის მონაწილეობდა არაერთ კონფერენციისა და საერთაშორისო სიმპოზიუმებში. ამჟამად მოღვაწეობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტში თურქული ენის მასწავლებლად.

ნორა კახიძე არის მრავალმხრივ განათლებული, მაღალი შინაგანი კულტურის ადამიანი. მისი ჰობია პოეზია. აქვეყნებს ლექსებს ჟურნალ-გაზეთებში. ის პედაგოგიურ საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

---

პედაგოგიურ საქმიანობაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ქალბატონი ნორა დაჯილდოებულია ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმის, აჭარის განათლების სამინისტროსა და პედაგოგთა ასოციაციის სიგელებით.

2019 წლის 10 ოქტომბერს, ქალბატონ ნორა კახიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა და აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ღვაწლმოსილ მასწავლებელს ნორა კახიძეს დაბადებიდან 70 და პედაგოგიური საქმიანობის 40 წლისთავთან დაკავშირებით გადასცეს მადლობის სიგელი.

ქალბატონო ნორა, გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ქვეყნის სამსახურში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

**ასოც. პროფესორი ლილე თანდილავა**  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

## ციალა ლაგვილავა - 65



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის უფროს მასწავლებელს ციალა ლაგვილავას, დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

ციალა ლაგვილავა დაიბადა 1954 წლის 22 სექტემბერს, ქ. ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში.

მე-14 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1977 წელს უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მიენიჭა აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. იმავე წელს, აკად. სერგი ჯიქიას რეკომენდაციით, მუშაობა დაიწყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში თურქოლოგიის განყოფილებაში.

1994 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2015 წლიდან აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტში თურქული ენის უფროს მასწავლებელად, სადაც წლების განმავლობაში ასწავლიდა თურქულ ენას,

2018 წლის 20 დეკემბერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ციალა ლაგვილავას მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი (სადისერტაციო ნაშრომი: «გარდაცვალების სემანტიკა ქართულსა და თურქულში»).

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი: გიორგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი; ლაშა-ექიმი; სამი შვილიშვილი - ლადი, სესილი და მერაბი.

ქალბატონო ციალა, გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი**

